

ბარკაი ერთიანად გახელდა და გაალმასდა, დაოთხილი ლამის მიწას ეხებოდა მუცლით. სტარტამდე ათიოდე მეტრის დაშორებით გვერდზე გავიხედე. მეტოქე ველარ დავინახე.

გადავკვეთე თუ არა ფინიშის ხაზი, ცხენს ალვირი მოვწიე და ყალყზე დავაყენე. ბარკაიმ ისე ხმამაღლა დაიჭიხვინა, როგორც არასდროს.

ჩამოვქვეითდი და ნურადინისაკენ გავწიე. მოხუცს თვალებში ცრემლი მოუჩანდა. ყოჩაღ! – მითხრა ხმამაღლა. მერე ხელი გადამხვია და დასძინა, – დღეიდან ბარკაი შენი უნდა გახდეს, ამქვეყნად ყველაფერს პატრონი სჭირდება, განსაკუთრებით კი ისეთ ბედაურს, როგორიც ბარკაია.

## ვალი

ისტორიის კუთვნილება ხდებოდა მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლები და მასთან საბჭოთა კავშირიც. მე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს, გულმა სამშობლოსაკენ გამიწია. ტელეფონით დაფუკავშირდი დედაჩემს თბილისში და რჩევა გკითხე. მიუხედავად იმისა, რომ მასაც დიდი სურვილი ჰქონდა ჩემი სამშობლოში დაბრუნებისა, მაინც მირჩია არ დავრუნებულყავი და მიზეზებიც ამიხსნა. მისი თქმით, სამუშაოს შოვნის შანსიც არ მექნებოდა ალმა-ათასაგან განსხვავებით. სევდამორეული დავემშვიდობეთ დედა-შვილი ერთმანეთს. მშობელთა საუბრის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა ავწონდავწონე და გავიფიქრე, თუ სამშობლოში მე და დედა ერთად პრობლემებს ვერ გავუმკლავდებოდით, მაშინ მართო ქალს რა უნდა ეღონა ჩემი უმცროსი დისა და ძმისათვის. ისინი ხომ ჯერ სკოლის მოსწავლეები იყვნენ. დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, საერთოდ, მიმენებებინა თავი სწავლისათვის, შინ დავბრუნებულყავი და ოჯახს შევშველებოდი.

გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს, ინსტიტუტის ეზოში შესულს, ხანშიშესული მამაკაცი, თითქოს სპეციალურად, წინ გადამიდგა. უცნობს შევხედე, ბოდიში -მეთქი ვუთხარი, გვერდი ავუარე და გზა განვაგრძე. ორი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, რომ უცნობმა სიტყვა დამაწია ქართულ-რუსულად. „პოსტოი, ბიჭო“. უკან შემოვბრუნდი. ის კი მიღიმის. მიღიმის ისე, როგორც მშობელი საკუთარ შვილს. მან თავისთან მომიხმო და ხელი გამომიწოდა.

- თქვენ ქართველი ბრძანდებით?
- **Нет**, - იყო პასუხი.
- ქართული იცით? - გკითხე ისევ.
- ცოტა-ცოტა.

მე გაოცებული ვუცქერდი უცნობს და ველოდი რას მეტყოდა.

- გავიცნოთ, ახალგაზრდა, ერთმანეთი!

- გავიცნოთ.
- მე პროფესორი შერნიაზ აბლურახმანოვი ვარ, თქვენ?
- მე მეორე კურსის სტუდენტი ლევან კაპანაძე ვარ.
- დღეიდან ჩვენ ერთმანეთის მეგობრები უნდა გავხდეთ, ჩემო ლევან, - თქვა და პაუზის შემდეგ ისევ განაგრძო. - ლევან, მე შენ ერთ ახალგაზრდა ქართველს მაგონებ. ამიტომაც, შენთან მეგობრობა მსურს. არ იფიქრო, ამ მოხუცთან ოცი წლის ახალგაზრდას რა მეგობრობა უნდა გამოუვიდესო, დამიჯერე, ჩვენს მეგობრობას ასაკთა სხვაობა ხელს ვერ შეუშლის.
- გმადლობთ, ბატონო პროფესორო! - ვთქვი და გავწითლდი.
- ლევან, მე მეგობრობა შემოგთავაზე, შენ კი მგონი მორცხვობ? გახსოვდეს, დღეიდან ერთმანეთის მეგობრები ვართ. ახლა კი, ჩვენი საუბრის დრო ამოიწურა, ლექციაზე არ დაგავიანდეს. მხოლოდ გახსოვდეს, დღეს ორ საათზე უნდა შეგხვდეთ ერთმანეთს. მინდა დღეს ჩემი სტუმარი იყო.
- ბატონმა პროფესორმა ისევ ჩამომართვა ხელი და დროებით დამემშვიდობა.

\* \* \*

- სამის ნახევარზე ქალაქის ცენტრალურ უბანში პროფესორმა თავის ბინაში მიმიყვანა. შინ სამოცდაათ წელს მიტანებული ქალბატონი დაგვხვდა.
- ნატალია, იცნობდე, ჩემი მეგობარი ლევან კაპანაძე. მერე ჩემსკენ შემობრუნდა და მითხრა.
  - ლევან, ეს კი ნატალია დეიდაა, ჩემი მეუღლე.
  - შერნიაზ, მართლაც, რა კაი ბიჭი ყოფილა შენი ახალგაზრდა მეგობარი, - უთხრა ქალბატონმა მეუღლეს და ჩემსკენ შემობრუნდა. დაბრძანდი, შვილო! - მითხვა.
  - აბა, ჩემო შერნიაზ, ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ. მოიბოდიშა დიასახლისმა და სამზარეულოში გავიდა. არ ვასულა ნახევარი საათიც, რომ იქიდან გამოგვძახა.
  - ბიჭებო, მობრძანდით, ოჯახური სადილი უკვე მზად არის. რამდენიმე წუთის შემდეგ სამივენი სუფრასთან ვისხედით.

- ლევან, შვილო, - დაიწყო ქალბატონმა. მე მას შევხედე და მივხვდი, რომ ჩემზე საუბარი უკვე აღრევე ჰქონდათ მასპინძლებს და არც პროფესორს უნდა გაეგო დღეს პირველად ჩემი სახელი.

- ლევან, შვილო, ალბათ, ძალიან გენატრება თქვენები არა? - მკითხა ქალბატონმა.

- მენატრება, როგორ არ მენატრება, - ყველანი და ყველაფერი მენატრება, ნატალია დეიდა, უკვე მეორე წელი დაიწყო, რაც არ მინახავს ისინი.

- ძნელია, შვილო, ახლობლებისგან შორს ყოფნა, მეც გამომიცდია ეგ, მაგრამ ნუ გეშინია, ჩვენთან ყველაფერი გაგიადვილდება, ერთმანეთს დავამედებთ, გავამხიარულებთ და ასე გაივლის შენი სტუდენტობის წლები.

სალამომდე ასე თბილი, სასიამოვნო საუბარი მქონდა მასპინძლებთან. იქიდან წამოსულს ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს, ჩვენ პირველად კი არ შევხვდით ერთმანეთს, არამედ მათთან გაზრდილი ვყოფილიყავი.

ამის შემდეგ კვირა არ გასულა ისე, რომ პროფესორს ჩემთვის არ მოეკითხოს და სახლში არ წავეყვანე.

ასე გავიდა თითქმის ორი თვე. ვიცოდი, რომ მათ ჩემთან დამეგობრებას, რაღაც მიზეზი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამის შესახებ ვერ ვეკითხებოდი, მერიდებოდა. ამ ეჭვის საფუძველს მათ ოჯახში კედელზე ჩამოკიდებული სურათიც მძღლევდა. მასზე აღბეჭდილ ახალგაზრდას აშკარად ეტყობოდა, რომ ის ქართველი იყო.

ერთ დღეს ქალბატონი ნატალია შეწუხებული დამხვდა, სტუმრად მისულს შემომჩვილა. ეს რა დამემართა, ლევან შვილო. შერნიაზი რომ მოვა, რით ვიმართლო თავი?

- რა მოხდა, ნატალია დეიდა?

- რა და... მერაბის სურათის ჩარჩოს ვწმენდდი, ძირს დამივარდა და გატყდა. კიდევ კარგი, სურათი არ დაზიანდა, თუ არა, სახლში ვერც დავხვდებოდი შერნიასს.

- მერე რა პრობლემაა სურათის ჩარჩოს გაკეთება, ნატალია დეიდა? წავიღებ ხელოსანთან და ოც წუთში გავაკეთებინებ.

ნატალია დეიდას თვალები გაუბრწყინდა, მაგიდასთან მივიდა, ახალგაზრდის სურათი აიღო, ნაზად აკოცა და გულზე დაიდო. ვიფიქრე, ალბათ, შვილიშვილია –მეთქი. მაგრამ მერაბიო რომ თქვა, საბოლოოდ დავრწმუნდი ახალგაზრდის ქართველობაში. ნატალია დეიდამ ფული და სურათი გამომიწოდა, თან მთხოვა, რაც შეიძლება, ჩქარა დაბრუნდი, შერნიაზმა არ მინდა რომ მომიწროსო. მეც ოცი წუთის შემდეგ სურათი უკვე კედელზე მქონდა ჩამოკიდებული. გახარებული დიასახლისი თვალებში შემოძვინებდა და მაღლობას მიხდიდა.

- ნატალია დეიდა, მერაბი თქვენი შვილიშვილია?

ვიდრე ნატალია დეიდა პასუხს გამცემდა, კარზე ზარმა დარეკა, სახელური დაბლა დაიწია და ჩაუკეტავი კარი გაიღო. ოთახში პროფესორი შემოვიდა. მომიკითხა, შემდეგ მეუღლის მზერას გააყოლა თვალი და კედელზე ახალ ჩარჩოში ჩასმული მერაბის სურათი დაინახა.

- ეს რა გიქნია, ნატალია, როგორ მოიფიქრე? მართლაც, რომ კარგი ჩარჩო შეგიჩრჩევია. ისე, კაცმა რომ თქვას, კი არ არის ეგ მამაძაღლი ღირსი, უკვე ორი თვე გადის და მხოლოდ ერთხელ შეგვეხმინა მოხუცებს, მაგას ვუჩვენებ მე...

- დამწვიდდი, ჩემო შერნიაზ. ისევ მოგვინახულებს ჩვენი ბიჭი, აბა, რას იზამს, ვინ იცის, რამდენი პრობლემები აქვს. მოიცლის ჩვენთვისაც და დაგვიკავშირდება.

- ვინაა ეს ახალგაზრდა, ნატალია დეიდა? - გავიმეორე კითხვა.

- ჩვენი შვილია, მერაბ კობახიძე.

- ის რომ ქართველია, როგორ? - ჩემი უადგილო კითხვის გამო უხერხულობა ვიგრძენი და გავჩუმდი.

- დიახ, ქართველია, მაგრამ ჩვენი შვილია, ჩვენი სულიერი შვილი. მერაბი ოთხი წელი ცხოვრობდა ჩვენთან. წელს დაამთავრა ინსტიტუტი და სამშობლოში დაბრუნდა, - თქვა ნატალიამ, ხელი ჩამკიდა და ოთახში შემიყვანა.

- აი, აქ ცხოვრობდა მერაბი. ეს მისი საწოლია, ეს მისი სკამი, ეს კიდეც სამეცადინო მაგიდა. მას არავინ ეხმარებოდა და ამიტომ ჩვენ ვიკისრეთ მერაბის დახმარება. ახლა კი წავიდა,

წავიდა და ძალიან გვიჭირს მოხუცებს მის გარეშე, - თქვა ნატალიამ.

იმ საღამოს მოხუცები მხოლოდ მერაბზე საუბრობდნენ და მეც საკმაოდ გვიანობამდე დავგრჩი მათთან.

\* \* \*

პარასკევს დაღლილ-დაქანცული ჩემი მობინადრე გვიან ღამით დაბრუნდა შინ.

- რა მოხდა, ქამალ, სად დაიკარგე მთელი დღე? - გკითხე მე.

- ლევან, დროებითი სამუშაო ვიშოვე, დღეში ხუთ დოლარს მაძლევენ, დასაკარგი საქმე არ არის, ძმაო, ორი კვირა რომ წავიმუშაო, ზამთრისათვის ჩასაცემელს ვიყიდი.

- კარგია, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

- ლევან, შენთვისაც რომ გამოჩნდეს სამუშაო, წამოხვალ? მხოლოდ იცოდე, ძალიან მძიმე იქნება, - მთელი დღე ფქვილის მტვერს ვყლაპავ.

- წამოვალ, აბა, რას ვიზამ, ასეთ შანსს ხელიდან გაფუშებ?

- კარგი, დილას გამომყევი, იქნებ ხვალვე დაიწყო მუშაობა.

- აბა, შენ იცი ქამალ. მხოლოდ იცოდე, ლექციებს სწირად ვერ გავაცდენ, მეორე ცვლაში იქნებ მომიხერხო რამე...

- ვეცდები, ლევან. ახლა კი დავიძინოთ, ძალიან დაღლილი ვარ.

სამუშაო ისეთი მომქანცველი იყო, რომ ლექციაზე სწირად ჩამთვლემდა -ხოლმე. ერთ დღეს საკმაოდ ღრმად ჩამძინებია, რომ გამოვიღვიძე პირველი ლექცია უკვე დამთავრებული იყო. მეუხერხულა. ეს რა მომსვლია! - ჩავიჩურჩულე და ჩემს გვერდით მჯდომს ვუსაყვედურე, რატომ არ გამაღვიძე -მეთქი.

- გამაფრთხილეს არ გააღვიძოო, - მიპასუხა მან.

- ვინ გაგაფრთხილა?

- ვინ? მოხუცი პროფესორი შემოვიდა ლექციაზე და ლექტორი გააფრთხილა, თვითონ თუ არ გაიღვიძებს არ გააღვიძოთო.

მივხვდი, ძია შერნიაში იქნებოდა. მე ხომ მათთან მთელი

კვირა არ ვყოფილვარ.

ლექციების შემდეგ აუდიტორიასთან ბიძია შერნიაში მელოდა. მკითხა, როგორ შეეჩვიე სამუშაოს, ხომ არ იღლებიო. ისე, ცოტა მძიმეა, მაგრამ არა უშავს, გაუძლებს კაცო -მეთქი. მერე ხელი გადამხვია და მითხრა - არა, შვილო, შენისთანა კარგ ბიჭს ვერ გავიმეტებ, დღეიდან კომბინატში ვეღარ გაგიშვებო.

იმ დღეს მაინც წავედი კომბინატში და მთელი ცვლა ვიმუშავე. ცვლის ბოლოს საბოლოო ანგარიში გამისწორეს. ასე დამთავრდა ჩემი ხანმოკლე მოღვაწეობა წისქვილკომბინატში.

მეორე დღეს ბატონ შერნიაზთან გავიარე. ნატალია დეიღამ ისე მიმიღო, თითქოს წითელი არმიიდან დაბრუნებული სამი წლის უნახავი შვილი ვიყავი. გვიანობამდე დავრჩი მათთან. შემდეგ მადლობა გადავუხადე და სტუდენტალაქში დაბრუნება დავაპირე.

- ლევან!

- ბატონო!

- დარჩი ამაღამ ჩვენთან, ძალიან გავვიხარებება, ნუ წახვალ, გთხოვთ!

ისეთი გრძნობით მითხრა ეს სიტყვები, რომ უსიტყვოდ დავჯექი სკამზე. მოხუცებს თვალები გაუბრწყინდათ. ერთმანეთს გადახედეს და ეშმაკურად გაიღიმეს.

- დაიწყე, ქალბატონო ნატალია! - უთხრა შერნიაზ ძიამ მეუღლეს.

ნატალია დეიღამ ერთი კი შემომხედა და ისევ ჩქარა მომაცლია მზერა.

- მიდი! მიდი უთხარი! ხომ თქვი მე ვეტყვიო? - შეაგულიანა მეუღლე.

ნატალია დეიღამ ერთხელ კიდევ შემომხედა და დაიწყო

- შვილო ლევან, მოხუცებს ერთი თხოვნა გვაქვს შენთან, ნუ გვაწყენინებ.

რა თხოვნა უნდა ჰქონდეს პროფესორ კაცს, ამ გაღლეტილ სტუდენტთან ნეტავ? - გავიფიქრე.

- ბრძანეთ, ნატალია დეიდა, თუ რამე შემიძლია, მზად ვარ შევასრულო თქვენი თხოვნა.

- ჩვენთან უნდა გადმოხვიდე, შვილო, ნუ გვეტყვი უარს.  
- არა, ნატალია დეიდა, ამხელა პატივისცემას ვერ მივიღებ  
თქვენგან.

- ლევან შვილო, ჩვენ ხომ შვილი არა გვყავს და რად გვინ-  
და ყოველივე, რაც გავგაჩინია, თუ შენისთანა კარგ ახალგაზრ-  
დას არ გამოვადგებით! - თქვა ნატალია დეიდა და გაჩუმდა.

- მერაბ!

- გისმენ, შერნიაზ ძია.

- კარგად მომისმინე, შვილო! 1942 წლის გაზაფხული იყო.  
ჯერ ცხრამეტი წელიც არ შემსრულებოდა. მიუხედავად ამისა,  
უკვე საბრძოლო ოპერაციებში მქონდა მიღებული მონაწილე-  
ობა.

შერნიაზ ძია ცოტა ხანს გაჩუმდა და ისევ განაგრძო.

- ვიტებსკის ოლქის ქალაქ ბოგუშევსკიდან რამდენიმე კი-  
ლომეტრზე ჭაობიან ტყეში დაბანაკებული იყო ჩვენი რაზმი.  
ვცხოვრობდით მიწურებში, მოწყობილი გვექონდა საკმაოდ კარგი  
სიმაგრეები, მაგრამ სურსათის სიმცირის გამო პარტიზანები  
ხშირად ვშიშვლობდით. ერთ ღამეს მეთაურმა ორი ახალგაზ-  
რდა სოფელში გაუშვა სანდო კაცთან სურსათის მოსატანად.  
ეტყობა, ბიჭებმა „კული“ აიკიდეს, რის გამოც, დილით ჩვენი  
ბანაკი ფაშისტთა ალყაში მოექცა. გვიშენდნენ ჭურვებს. ბევრი  
დაგვიჭირეს და დაგვიხოცეს. საღამო ხანს გვიბრძანეს ალყას  
გავსწლოდით და ფაშისტთა ყურადღება მიგვექცია, რომ  
დანარჩენი ბანაკებისათვის საშუალება მიგვეცა შეუმჩნეველად  
გადასულიყვნენ ტყის სიღრმეში. პარტიზანები ტყეში გავიშ-  
ალეთ და ნაბიჯ-ნაბიჯ ვიხვედით სიღრმისაკენ ბრძოლით. არყის  
ხეს ამოფარებულმა, ავტომატს ახალი მჭიდი გავუკეთე და  
წელში მოხრილმა სირბილით შემდეგი ხისკენ გავწიე ამოსაფა-  
რებლად, რომ უცებ მარჯვენა ფეხის ბარძაყზე ისეთი დარტყმა  
ვიგრძენი, თითქოს ურო შემომკრესო. წონასწორობა დაგვარგე  
და დავეცი. გონი არ დამიკარგავს, ფეხზე წამოდგომა ვცადე,  
ვეღარ ავდექი, მარჯვენა ფეხი აღარ მემორჩილებოდა. ზედ  
დავიხედე, შარვალის გახვრეტილი იყო. დაჭრილს თავს კაკო  
წამომადგა. რა მოგივიდაო, მკითხა. მგონი დამჭრეს -მეთქი -



ვუპასუხე. ამის თქმა იყო და შარვლის ტოტიდან სისხლმა დაიწყო ჟონვა, თვალთ დამიბნელდა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი გონდაკარგული. აზრზე ლელიან ჭაობში მოვედი. თავზე ისევ კაკო მადგა, თავისი პერანგი დაენია და ჭრილობას მიხვევდა.

- რა მოხდა, კაკო, სად ვართ?

- არ შეგეშინდეს, ყველაფერი ჩავლილია, აქ ვერავინ მოგვაგნებს. ღამით სოფელში დაგაბრუნებ, იქ მოგხედავენ. ახლა ცოტა ხნით დაგტოვებ. აბა, შენ იცი, არ ინერვიულო. ხომ გითხარი, ყველაფერი ჩავლილია –მეთქი, - თქვა კაკომ და ლელიანში გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ, მართლაც, დაბრუნდა ხელში არყის ხის პატარა სწორი ტოტებით. მოსვლისთანავე მკითხა, როგორ ხარო. შემდეგ ფარაჯა გაიხადა და დაგლიჯა. მე გაკვირვებული შევცქეროდი მას და ტკივილისგან ოფლი წურწურით ჩამომდიოდა სახეზე.

- ახლა ცოტა გაგიჭირდება, მაგრამ მოითმინე, არ შეგეშინდეს. მე ექიმი ვარ, შარშან დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი. ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც საჭიროა.

კაკო დაბნეულად ლაპარაკობდა. ვიცოდი, რომ ის ტყუოდა, მაგრამ იმ წუთში მთავარი სიმართლე არ იყო, მთავარი ის იყო, თვითონაც და მეც დაგვეჯერებინა, რომ ის მართლა ექიმი იყო. კაკომ ჩემს ფეხთან ჩაიჩოქა, მერე ქურდულად შემომხედა თვალებში და ისევ სწრაფად მომაცილა მზერა. ჩემს ფეხქვეშ დახეული ფარაჯის ნაჭერი გაშალა, ზედ არყის ხის ტოტები დააწყო ფეხის გასწვრივ და ქსოვილის შეკვრა დაიწყო. ტკივილისგან გონი დავკარგე. როცა გონს მოვედი, ფეხი უკვე არყის ხის ტოტებისგან გაკეთებულ არტაშანში მქონდა, თვითონ კაკო კი თავს დამტრიალებდა წელზევით შიშველი. მივხვდი, ბარძაყის ძვალი მქონდა დამსხვრეული, ადვილი შესაძლებელი იყო განგრენა განვითარებულიყო და ტანჯვაში ამომხდომიოდა სული.

- კაკო!

კაკომ გადმომხედა.

- კაკო, მე ვიცი, რომ მოგკვდები. ახლა კარგად მომისმინე. ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნაა.

- გისმენ.

- კაკო, შენ ძლიერი ბიჭი ხარ, შენ შეგიძლია, მე ისეთ ადგილამდე მიმიყვანო, სადაც გერმანელები აუცილებლად მიპოვნებენ სიკვდილამდე.

- როგორ, შენ საიქნის გერმანელების უნახავი არ გინდა წახვიდე, თუ რაშია საქმე, ბიჭო? - მითხრა კაკომ და ძალდატანებით გამიღიმა.

- კაკო, - დავიწყე ისევ. - ახლა ღამეა, ისიც ვიცი ჩქარა განგრენა დამეწყება. ეს შენც კარგად იცი. გთხოვ, შემისრულო ჩემი საბოლოო თხოვნა. ჩემი ვაზნები და ხელყუმბარები შენ წაიღე, გამოგადგება. მე ერთი ხელყუმბარა მეყოფა, გთხოვ ამას, ძალიან გთხოვ! თუ ასე არ გააკეთებ, ჩემთან ერთად დაიღუპები, - დავუწყე შეშინება. კაკომ გადმოძხედა. სახეზე გულისწყრომა აღბეჭდოდა.

- სიკვდილი გინდა? - მკითხა დინჯად.

- მინდა, მხოლოდ ვაჟკაცურად მინდა მოგკვდე.

- გინდა და გესტუმრება. ის ხომ ყველას სტუმარია. ვაჟკაცობა ისაა, რომ დროზე ადრე არ მიიღო... მოკვტე. მე შენ ტყვიის წვიმაში არ მიგატოფე, თავი გაფვირე. ახლა კი მთხოვ, სადმე მიმიყვანე, სიკვდილს ვაჟკაცურად უნდა შეგხვდეო! ახლა მომისმინე და გახსოვდეს შენი სიცოცხლე მე მეკუთვნის. ეს იმიტომ, რომ ის მე გადავარჩინე და ჩემი იქნება, ვიდრე ამას ჩავთვლი საჭიროდ. ის კაცი არა ვარ, სიკვდილთან პირისპირ დაგტოვო მარტო.

ხმა აღარ ამომიღია. კაკომ თავის შიშველ ფართო მხრებზე ამიკიდა და სოფლისაკენ წამიყვანა. გზაში გონს ხშირად ვკარგავდი, არ ვიცი, სად და რამდენი მატარა.

გონს სანთლით განათებულ ვიწრო სათავსოში მოვედი. თავს თეთრხალათიანი პატარა მოხუცი, კაკო და საკმაოდ ასაკში შესული ბელორუსი გლეხი დამტრიალებდა.

- სად ვარ? - ვკითხე მეგობარს.

- სამშვიდობოს. სიკვდილის ნულარ გეშინია. ის, აქ ვერ შემობედავს, ნამდვილი ექიმი გადგას თავზე, რომლისაც სიკვდილს ძალიან ეშინია, - თქვა კაკომ, თეთრხალათიან მოხუცს გადახედა, გაუღიმა და ჰკითხა:

- ასე არ არის, ბაბუა თევდორე?
- ასეა, ასე, - ამაყად დაუდასტურა მოხუცმა.

განთიადისას კაკო ბელორუსი გლეხის ტანსაცმელში გადაცმული, ჩემთან შემოვიდა, გადამკოცნა, გამოჯანმრთელება მისურვა, შემდეგ კარი გაიხურა და სიბნელეში გაუჩინარდა.

მისი გასვლიდან ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ სოფელში ავტომატების ხმა გაისმა. გუღმა რეჩხი მიყო. მივხვდი, ადამიანი, რომელმაც სიცოცხლე მაჩუქა, გასაჭირში იყო.

დილა გათენდა, სათავსოში მიშა შემოვიდა (ასე ეძახდნენ ჩემს მასპინძელს) და მომახარა - ტყის პირას ორი გერმანელი პოლიციელის გვამი იპოვეს. შენი მეგობარი კაკო კი არსად ჩანს, ეტყობა მიაწვინა და გაიქცაო. ღმერთს მადლობა შევწირე, სიხარულის ცრემლები გადმომცვივდა.

თითქმის სამი თვე დასჭირდა ჩემს გამოჯანმრთელებას. აგვისტოს შუა რიცხვებში ჩემს მხსნელებს გამოვემშვიდობე. ღამით დავტოვე სოფელი და ვიტებსკის ოლქის ჭაობიდან ტყის ბილიკს დავადექი. იმ იმედით, რომ ტყეში პარტიზანებს შევხვდებოდი.

მთელი ღამე ვიარე. დილით ქანცგამოცლილი ერთი არყის ხის ქვეშ ჩამოვჯექი, ზურგით მივეყრდენი და ღრმად ამოვისუნთქე. მთელ სხეულში სასიამოვნო შვება ვიგრძენი. კაკო გამახსენდა და გავიფიქრე, ნეტავ სად არის ახლა კაკო? ისე რა ოსტატურად მიაწვინა ორი გერმანელი პოლიციელი. ყოჩაღი ბიჭია, კარგადაც ქნა. თუმცა სოფლელებს ამ დახოცილი პოლიციელთათვის კარგი დღე არ დადგომიათ. ნეტავ თუ შევხვდებით ოდესმე ერთმანეთს? - ვკითხე ჩემს თავს და თვითონვე ვუპასუხე.

- შევხვდებით, როგორ არ შევხვდებით, დამთავრდება ომი, ჩავალ ქუთაისში, ქუთაისი არც ისე დიდი ქალაქია კაცი გვართ და სახელით ვერ ვიპოვო. მითუმეტეს, ისეთი ბიჭი, როგორიც კაკოა.

ფიქრებში გართულმა სამი-ოთხი მეტრის დაშორებით რაღაც თეთრი საგანი შევნიშნე. ქვა მეგონა. თუმცა ქვა აქ ტყეში

არასოდეს მინახავს. ზეზე წამოვდექი, თეთრ საგანთან მივედი, დაეხედე, ადამიანის მარჯვენა ბეჭის ძვალი იყო ტყვიით გახვრეტილი. ნეტავ ვინ არის? სადაა ამის სამშობლო და თვითონ სად დალია სული-მეთქი? მოკვდა მარტოდმარტო, ახლობლები-სგან შორს. მოკვდა ისე, რომ დამარხვაც არ ეღირსა უბედურს.

ერთხელ კიდევ დავწყევლე ომი და გულგასიებულმა გზა განვაგრძე. ათი მეტრიც არ მიქონდა გავლილი, რომ ქამრის მოყვითალო მომწვანო ბალთა შევნიშნე. ხელში ავიღე და დავათვალიერე. ბალთას შიგნიდან ეწერა: აკაკი ხურციძე. პირველად ჩემს სიცოცხლეში საყვედური აღმომხდა: ღმერთო, არ გქონია სამართალი! და ადგილზევე ჩავიკეცე. დიდხანს ვიყავი ასე. შემდეგ შემოვარენი შემოვიარე, ნარჩენები შევაგროვე. არყის ხის ძირას დანით საკმაოდ ღრმა საფლავი ამოვთხარე და შიგ ჩავაწყე. არყის ტოტებისგან ჯვარი გავაკეთე და საფლავზე დავსვი. დანის წვერითვე არყის ხეზე ამოვჭერი სიტყვები: „აქ განისვენებს აკაკი ხურციძე (აკაკო), ოცდასამი წლის, რომელსაც სიცოცხლე ჰქონდა და სხვას აჩუქა“.

ერთი დღე და ღამე კაკოს საფლავთან გავატარე. დილით გამოვემშვიდობე და წავედი პარტიზანების საძებნელად. საღამო ხანს ტყეში კვამლი შევნიშნე...

\* \* \*

ომის დამთავრებისთანავე კაკოს მშობლები მოვიძიე ქუთაისში. შვილს ელოდნენ. მოვატყუე, ვუთხარი, რომ ნამდვილად ვიცი, კაკო არგენტინაში წავიდა და ადრე თუ გვიან აუცილებლად დაბრუნდება -მეთქი. დაიჯერეს, დაიჯერეს იმიტომ, რომ მათ ამის დაჯერება უნდოდათ. ასე რომ, მე კაკოს ნაჩუქარი სიცოცხლით დავდივარ მზისქვეშეთში. ყველა ქართველში კაკოს ვხედავ და ყველა ქართველთან ვალში ვარ. მადლობა ღმერთს, რომ ერთხელ კიდევ მომცა საშუალება მცირედი ვალი მაინც გადავიხადო.

# მშობლიური ქვაბი

- ნოდარი ძია, მომეცით თქვენი პასპორტი, ბილეთს გიყიდი.

- რატომ უნდა მიყილო? ფული მეც ხომ მაქვს. მთლად მუქთად კი არ მიშრომია ოთხი წელი ტაიგაში.

- მაპატიე ძია, ჩემი ტყუილების გამო რომ დაზარალდი.

- არც ისე დიდი ბრალი მიგიძღვის ზაზა, ჩემს მიმართ. მე თვითონ არ უნდა ავჩქარებულიყავი და არ უნდა გამოგქცეულიყავი, მაგრამ რას იზამ, გაჭირვებული კაცის ბუნებაა ასეთი. ყველგან საშველი ჰგონია, სადაც თვითონ არაა.

- ნოდარი ძია, ერთი თხოვნა მაქვს შენთან.

- ბრძანე.

- ნოდარი ძია, მამაჩემს ნუ ეტყვი ბაზარში რომ წვრილმანებით ხეღზე ვვაჭრობ. ცოდოა კაცი. ნეტავ რა ეშმაკმა მომაფიქრებინა მეთქვა: ხილის საშრობი მაქვს -მეთქი.

- ეშმაკმა კი არა, გაჭირვებამ გათქმევინა, მაგრამ გახსოვდეს, ტყუილის მთქმელი ფეხმოკვეთილ ჯეირანს ჰგავს, რომელსაც ნახტომის გაკეთება სურს, მაგრამ ვერ შეასრულებს. შენ მხოლოდ გაჭირვებამ გათქმევინა ტყუილი. ამქვეყნად გაჭირვება რომ არ იყოს, ტყუილის მთქმელიც ძალიან ცოტა იქნებოდა.

- რატომ?

- აკი გითხარი ტყუილი გაჭირვებულს სჭირდება -მეთქი. გალაღებულს ტყუილის თქმა არ სჭირდება.

- მაინც რომ ამბობენ?

- მათთვის ტყუილის თქმა გართობაა და მეტი არაფერი.

ახლა კი ნახვამდის, ჩემო ზაზა, წადი ბაზარში და საქმეს მიხედე, ნუ გაცდები.

- არ გავცდე, თუ არა...

- რა იყო, ბიჭო, გული ხომ არ გაგტეხია? ასეთი რამ არ გამაგონო. შენ ოცდამეერთე საუკუნის ადამიანი ხარ, საუკუნისა, როცა ადამიანებმა ყველგან ადამიანურად უნდა იცხოვრონ. მიუთქმეს, ჩვენს სამშობლოში, ნაღდ წალკოტში.

- როგორ, ოცდამეერთე საუკუნემდე ჩვენი წალკოტი არ წალკოტობდა? თუმცა, რად ვიხეთქავ გულს, კიდეც სამი-ოთხი თვე და შევბრძანდებით ოცდამეერთე საუკუნეში.

- ნუ გეშინია, შვილო, ყველაფერი კარგად იქნება. დაგბრუნდები თუ არა შინ, მამაშენთან მივალ და ვეტყვი, რომ მეფესავით ცხოვრობ. გაქვს ხილის საშრობი საამქრო, გაფასებენ და ღმერთივით შემოგციცინებენ ხელქვეითნი.

- არ დაგიჯერებს.

- ნეტავ რატომ არ დამიჯერებს, მატყუარა კაცად მიცნობს, თუ?!

- არ დაგიჯერებს, მიხვდება, რომ ატყუებ.

- რას ამბობ, ზაზა?! არ ყოფილა მამინ საშველი. ე.ი. მქონია შუბლზე მატყუარის იარაღი და ეგაა.

- ასეა, ნოდარი ძია, მაგრამ ცოტა შანსი მაინც უნდა გქონდეს მართალი კაცის სახელის შენარჩუნებისა, ჩაუტანე მამაჩემს ეს ორასი დოლარი. ჯერ გადაეცი და მერე დაუწყე ჩემი ქება-დიდება. ახლა კი ბედნიერ მგზავრობას გისურვებ. მომიკითხე ჩვენები, ყველაფრისათვის პატიებას გთხოვ.

- არა უშავს, ზაზა, მართალია ციმბირიდან მომავალმა გზა გაგიმრუდე და ორიოდე კაპიკი მეც დავხარჯე, მაგრამ ალმა-ათა ხომ ერთხელ კიდეც მოვინახულე სიბერეში.

- როგორ თუ ერთხელ კიდეც, აღრე ყოფილხარ აქ?

- ვიყავი, ჩემი ბავშვობის ოთხი წელი აქვე, სულ რაღაც ორი-სამი საათის სავალზე გავატარე.

- არ გაინტერესებს, როგორ ცხოვრობენ შენი ყოფილი მეზობლები?

- მონატრებაზე რა მოგახსენო. ის დრო მხოლოდ სიხუმედ, ცრემლად და გოდებად დარჩა ჩემს მენსიერებაში, მაგრამ სიზმარში ახლაც ვხედავ ქიმალს, უბაის, დოიას, ნასტიას, არესტოს, მალხაზს, ჩემს ტოლ ბიჭს, რომელიც მდინარეში დაიხრჩო, მასზე დარდით დედამისიც გარდაიცვალა. მამამისმა კი უარი თქვა სამშობლოში დაბრუნებაზე. ცოლ-შვილის საფლავს აქ უპატრონოდ ვერ დავტოვებო.

- არც ბავშვობა გქონია, სანატრელი, ძია ნოდარ.

- რა თქმა უნდა, არ მქონდა. ომის შემდგომი წლები მძიმე იყო ყველასათვის, მითუმეტეს, ჩვენთვის, აქ გადმოსახლებულ-თათვის.

- რა დააშავა მამაშენმა?  
- მამაჩემი ტექსელელი იყო.  
- რას ამბობ, მაგისთვის დასაჯეს?!  
- დასაჯეს. ხშირად სიყვარულისა და გმირობისათვისაც ისჯებიან -ხოლმე.

- ეჰ, ღმერთო ჩემო.  
- რა იყო, ზაზა, რას ოხრავ?  
- შენ მართალი ხარ, ნოდარი ძია. მსგავსი რამ იშვიათი არ ყოფილა ამ ბოლო ათწლეულში ჩვენთან.

- მართალი ბრძანდები, მაგრამ მოვეშვათ პოლიტიკას, წადი ბაზარში, თუ არა გავიცდა დღე.

- ბედნიერ მგზავრობას გისურვებ, ნოდარი ძია. ღმერთს ვთხოვ, ჩქარა შეგხვედროდეთ ერთმანეთს ჩვენს სამშობლოში.

- ღმერთმა გისმინოს, შვილო!

X X X

რეისი №622 ალმა-ათა - ბაქო, მიფრინავს 15 საათზე, - გამოაცხადა დიქტორმა.

საათს დავხედე. თერთმეტი სრულდება. რა უნდა გავაკეთო აქ თვითმფრინავის გაფრენამდე? - ვკითხე საკუთარ თავს.

- როგორ თუ რა?! მართალია, ალმა-ათა ხივას, ბუხარას და სამარყანდს ვერ შეედრება თავისი ისტორიული ძეგლებით, მაგრამ აქაც ბევრი რამ იქნება საინტერესო, რაც არ უნდა იყოს აღმოსავლური ქალაქია, - გავიფიქრე და ხელი ჯიბეში ჩავიყავი.

- ხელი მაღლა! ჩემისთანა გაჭირვებული ადამიანისათვის მუზეუმების ნახვა-არნახვა პრობლემა არ არის, მე სხვა პრობლემა მაწუხებს. დაფუტატანე საკუთარ თავს და ხელი ჯიბიდან ისე სწრაფად ამოვიღე, თითქოს შიგ ქვეწარმავალი დამხვედროდეს. თავი დატუქსული ბავშვივით დავხარე და მოსაცდელი დარბაზისაკენ გავწიე, თან ვფიქრობდი; უნდა ვიჯდე ახლა აქ

სავარძელზე და ვაკანტურო თავი ნასუქი ინდაურით.

ფიქრში გართულმა, ჩემს წინ, გრანტიის იატაკზე, რაღაც მომწვანო ქალაღი შევნიშნე გაკეცილი. ქალაღი ხელში ავიღე და გავშალე.

- ეს რა არის?! ნუთუ მეჩვენება. ქალაღს საკმაო დიდი ციფრებით აწერია ასი. მისი ცენტრიდან კი ბენჯამინ ფრანკლინი მიცქერს პირდაპირ თვალებში.

- კაცი ესაა, თუა! - ჩავილაპარაკე ხმადაბლა და ბენჯამინთან გავაბი საუბარი. - ვაჰ, ბენჯამინ? აქ საიდან? - მან არაფერი „მიპასუხა“, ჯიუტად განაგრძო ცქერა.

- ა, ძმაო, კაცი, მას აქვს უფლება თვალი გაუსწოროს შინაურს და გარეულს, იყენებს კიდეც ამ უფლებას. ღმერთმა აცხონოს, მართლაც რომ, კაცი იყო კაცური.

„ბენჯამინი“ დაგვეცე, ჯიბეში ჩავიღე, მის უფლებებზე ფიქრს თავი ვანებე, დარბაზის სიღრმეში შევედი, წითელ სავარძელზე დავბრძანდი და ფიქრი განვაგრძე

- რა ეშველება ახლა ამის დამკარგავს, იმ უბედურს?

- პატრონი რომ გამოჩნდეს, ნეტავ, თუ დაფუბრუნებ? - ვკითხე საკუთარ თავს.

- დაფუბრუნებ, როგორ არ დაფუბრუნებ, პატიოსან კაცს არც კი უნდა გამჩენოდა ასეთი კითხვა. თუმცა, მე რა პატიოსანი ვარ, როცა ყოველ წუთს ვიშველიებ თუ-ს. ამ მერყევი და უპრინციპო ადამიანების საყვარელ კავშირს. არა, მე არ ვარ პატიოსანი, დამიჯერეთ, ასეა ეს. როდის ყოფილა მერყევი და უპრინციპო პატიოსანი.

- რა ვუყო ახლა ამდენ ფულს? - ამოტივტივდა კითხვა.

- რა უნდა ვუყო და უნდა მოვიხმარო, თუნდაც ერთი პატარა სურვილი ავისრულო. წავალ ახლა ილიჩის რაიონში და ვნახავ იმ ალაგს, სადაც ბავშვობაში ცხელ ქვიშაზე ფეხ-შიშველას მირბენია.

აზრი მომეწონა. სასწრაფოდ წამოვდექი, აეროვაგზლის ეზოში გავედი და ავტობუსისაკენ გავწიე.

გაგანია შუადღე იყო, როცა ფეხი, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ისევ დავდგი ილიჩის რაიონული ცენტრის პატარა



ავტოსადგურზე. აუტანლად ცხელოდა. ირგვლივ მიმოვიხედე, ჩემთვის ნაცნობი აღარაფერი იყო. ვიფიქრე, ან ყველაფერი შეიცვალა აქ, ან თვითონ მე გადამავიწყდა მეთქი.

ნეტავ რა მესაქმებოდა აქ? თუმცა ჩემი ბრალი არაა, ყველაფერი „ბენჯამინის“ ბრალია, ის რომ არ მეპოვა, ახლა ცაში ვიქნებოდი. სამ საათზე ალმა-ათიდან გაფრენილი სამ საათში ბაქოში ვიქნებოდი. იქიდან ან ავტობუსს გავყვებოდი თბილისამდე ან კიდევ თვითმფრინავს. შეიძლება ჩემს სახლში, შვილიშვილებთან გამეთია ღამე.

- ოჰ, ფულო, ფულო! რა ხარ ასეთი, რომ შენი ქონაც და არქონაც ერთნაირად აფორიაქებს ადამიანს. „ბენჯამინმა“ დამტოვა ამალამ შვილიშვილების უნახავი. თუმცა არა უშავს, რაც მოხდა მოხდა, ცოტას გავივლ-გამოვივლი და დავბრუნდები ისევ ალმა-ათაში. შეიძლება დღეს ისევ არის რეისი ბაქომდე, - გავიფიქრე და ფეხით გავუყევი ცენტრალურ ქუჩას. ისე გავედი ქალაქის ბოლომდე, რომ არაფერი მინახავს, რაც ჩემს ბავშვობას გამახსენდა. ის იყო უკან შემობრუნება გადავწყვიტე, რომ ორი მოხუცი ყაზახი გამოჩნდა.

- მოდი ამათ ვკითხავ, თუ ვახსოვართ აქ გადმოსახლებული ქართველები. ესენი ხომ თითქმის მამაჩემის ტოლები არიან. გავიფიქრე და გზის მეორე მხარეს გადავედი. მოხუცებს წამოვეწიე, ბოდიში მოვუხადე და ვკითხე

- თქვენ დიდი ხანია, რაც ამ ქალაქში ცხოვრობთ?

- დიახ, ჩვენ აქ დავიბადეთ.

- გახსოვთ, თქვენს ქალაქში ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ქართველები ცხოვრობდნენ?

- დიახ ცხოვრობდნენ, ჩვენ მათთან ვმეზობლობდით და ვმეგობრობდით კიდევ. მე სახელებიც კი მახსოვს მათი, - თქვა ერთ-ერთმა მოხუცმა.

- ხომ ვერ მეტყოდით რომელიმე მათგანს.

- რატომ რომელიმეს? ყველანი მახსოვს. არდადეგებზე მოსკოვიდან რომ ჩამოვდიოდი, ჩემს ტოლ ქართველებთან ვერთობოდი. რა დამავიწყებს: კაკოს, შერმადინს, ვალერის და სხვებს.

- ცოტა უფრო ასაკოვნები არ გახსოვს?

- როგორ არ მახსოვს, ყველანი მახსოვს.
  - შენ რა გახსოვს? შენ მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდი მოსკოვიდან და მაშინაც მხოლოდ შენს ტოლებთან მეგობრობდი, - შეეკამათა უფრო ასაკოვანი ყაზახი მეორეს.
  - შენ ვის გაიხსენებდი, ძია?
  - როგორ თუ ვის? ყველას.
  - მაინც, ვინ გახსოვს?
  - ისაკი მახსოვს გოგოლაძე. ტექსელზე ნაომარი კაცი. დაუჯერებელ ამბებს მოგვითხრობდა -ხოლმე.
  - ვინ გახსოვს, ძია?
  - ვინ და ისაკი მახსოვს, გოგოლაძე.
- გული ლამის საგულედან ამომიხტა ამის გამგონეს. ერთხანს დავდუმდი.
- რას ჩაფიქრდი „ზემოლიაკ“? - მკითხა ნამოსკოვარმა.
  - მამა გამახსენდა.
  - მამაშენი აქ იყო გადმოსახლებული?
  - ისაკი გოგოლაძე მამა იყო ჩემი.
  - ცოცხალია? - მკითხა ასაკოვანმა.
  - არა, გარდაიცვალა 88 წლის ასაკში. მამას აუსრულდა ნატვრა.
  - რა ნატვრა?
  - რა ნატვრა და, თურმე სულ ნატრობდა ჰოლანდიიდან დაწყებული, ღმერთო, სხვაგან ნუ მომკლავ, ჩემს სახლში მომკალიო. მგონი მხოლოდ ეს ერთადერთი ნატვრა აუსრულდა თავის სიცოცხლეში. გმადლობთ, ძია, მამაჩემის სახელი რომ არ დაგვიწყნიათ.
- მოხუცს გაეღიმა, შემომხედა და გააგრძელა
- ყველანი მახსოვს ვალიკო, გრიგოლი, ამბროსი, სერგო, პარმენ კალმახელიძე, რომელსაც მეუღლე გარდაეცვალა აქ ყოფნისას და ლამის დარდს გადაჰყვა, უბედური.
  - ძია, აქ ერთი ქართველი ღარიბ ტარიელი ერქვა, გახსოვს?
  - მახსოვს, როგორ არ მახსოვს. უბედურს შვილი დაეხრჩო მდინარეში, მერე მეუღლეს დაკარგა. აქ ცხოვრობდა, აი, ამ სახლში, - თქვა მოხუცმა და აივნის სახლზე მიმითითა.

- ახლა სად არის?
- არ ვიცი, ათიოდე წლის წინათ გადავიდა აქედან. საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობდა. ვფიქრობ ვერ შეძლებდა. საკმაოდ მოხუცი იყო. დიდი ხანია არ მინახავს. მე მგონი...- და აღარ დაამთავრა მოხუცმა სათქმელი.
- ძია, ჩვენი ოჯახი სად ცხოვრობდა?
- აი, აქ, ამ ლობის შიგნით. მხოლოდ მაშინ აქ არც ლობე იყო, არც ეს სახლი. ბარაკი იყო.
- მახსოვს ის ბარაკი, მაგრამ ეს ადგილი ვერა და ვერ ვიცანი. თუმცა არა უშავს, ერთხელ ზომ მაინც დავადგი ფეხი იმ მიწაზე, სადაც ჩემს ბავშვობაში ფეხშიშველს მირბენია. კარგად იყავით, ნახვამდის.
- როგორ თუ ნახვამდის? ვერსადაც ვერ გაგიშვებ. ისაკის შვილი გვესტუმრე და ასე იოლად გაგიშვებთ?
- მართალს ამბობს, მართალს! თქვენ ქართველები გამოგვისტუმრებდით ასე იოლად, იქ რომ ჩამოგსულიყავით? წამოეშველა ნამოსკოვარი მეზობელს, - მე მათ სახლში გავეყვი.
- ნოდარ! არაფერი გახსოვს იმდროინდელი? - მკითხა ქამალმა.
- მახსოვს, საერთოდ ყველაფერი მახსოვს, რა დამავიწყებს აქაურ ლიპიოშკებს. ცხელ-ცხელი რომ შემოგქონდათ -ხოლმე მეზობლებს და ჩვენს მშობლებს ურჩევდით, ბავშვებს აჭამეთ, ჭვავის პურს ნუ აჭმევთო. ჩემი ტოლებიც ყველანი მახსოვს. უბაი და დოია მახსოვს და-ძმანი.
- უბაი და დოია გახსოვს და მე არ გახსოვარ, მათი მამა?
- ბოდიში ქამალ ძია, ვერ გიცანი, მაშინ შენ ძალიან მალა-ლი კაცი იყავი, ახლა კი... - ლამის წამომცდა გულში ნადები.
- დაამთავრე, ახლა უკვე მოკაქული მოხუცი ხარო, გინდოდა გეთქვა? - მოხუცებმა ხმამაღლა გაიცინეს.
- სად არიან უბაი და დოია?
- აქ არ გაჩერდნენ შვილო, ალმა-ათაში ცხოვრობენ, იქ ჰყავთ ოჯახები.
- როცა ჩამოვლენ, აუცილებლად უთხარი აქ რომ ვიყავი. ვიცი რომ გამისხენებენ.

- გაგიხსენებენ, როგორ ვერ გაგიხსენებენ, რაც თქვენ გან-  
ურებულ უდაბნოში დარბოდით ერთად.

- ყველა და ყველაფერი გამახსენდა, ქამალ ძია. ასე მგო-  
ნია გუშინ წავედი აქედან და დღეს ისევ დავბრუნდი. კარგია  
ადამიანებს ერთმანეთი რომ ენატრებათ, კარგია ერთმანეთის  
მოფერების უნარი რომ გაგვაჩნია. ახლა კი უნდა დავემშვიდო-  
ბოთ. იქნებ მოვახერხო დღეს ბაქოში ჩასვლა, ვინ იცის, თუ  
ვიყოჩაღე ხვალინდელ დილას სახლშიაც შევხვდე.

არყით საგსე ჭიქა ხელში ავიღე და ჩვენებურად, ქარ-  
თულად გამოგემშვიდობე, ჩემს წასვლას და თქვენს დარჩენას  
გაუმარჯოსო.

ქუჩაში გამოსულმა ისევ აქეთ-იქით დავიწყე ცქერა. ყველაფ-  
რის შეცვლა შეუძლია ადამიანს? რა კარგი იქნებოდა ყოველთ-  
ვის სიკეთეს რომ ემსახურებოდეს მისი ეს უნიკალური უნარი,  
- ჩავიზურჩულე და ისევ დავადექი სადგურისაკენ მიმავალ გზას.

წავალ ახლა და ალბათ ველარასოდეს დავბრუნდები აქ.  
კარგადაც ვქენი, რომ მოვინახულე აქაურობა. ცოტა დავი-  
ბოღმე, ცოტა გავიხარე კიდევ. კარგი იყო მოხუცებს რომ  
შევხვდი. რა თბილად საუბრობდნენ მამაჩემზე. მართლაც რომ,  
ვაჟკაცი იყო მამა. სიცოცხლეში მუდამ ტანჯულს ერთხელაც არ  
მანსოვს რომ დაეწუწუნოს.

- Отар! Отар! - შემომესმა ხმა ფიქრებში წასულს და  
თავი ავწიე. ჩემგან რამდენიმე მეტრში ქართული შესახედაობის,  
ორმოცსმითანებული მამაკაცი იდგა. მას ვილაც რუსი ეძახდა.

- Что хочешь Юра, Я твою душу...

- Пойдем, выпим! - თქვა რუსმა და კუბიურა უჩვენა.

- У меня деньги нету

- Наиди

- Не смогу, а где я деньги найду?!

- Не найдешь не выпишь, - წყრომით თქვა რუსმა,  
კუბიურა ჯიბეში ჩაიკეცა და წავიდა.

- ქართველი ხარ, ბიჭო?!

- კარტველი ვარ.

- აქაური ხარ?

- Не понимаю.
- Здешний?
- Да.
- По родом?
- Из Кварели.
- Когда нибудь был в Грузию?
- Какой в Грузию, - თქვა ოთარმა, ღემოსტრაციულად შებრუნდა და წავიდა.

- ერთი შენიც!.. - შევუკუროთხე და გზა განვაგრძე.

ნეტავ კი არ შევხვედროდა, რას ჰგავდა ამხელა ვაჟკაცი? ეს ლოთი გრუზინ, გრუზინს ეძახდა. თვითონ სულ არ აინტერესებდა გრუზინი იყო თუ სკვითი. მისმა ნახვამ ერთი რამ გამახსენა. ამასწინათ ერთი წიგნი მომხვდა ხელში. მცენარეებზე იყო ერთ მცენარეზე ეწერა წყალშიაც იზრდება და ხმელეთზეცო. ერთად იყვნენ დახატული ორივენი და სრულიად არ ჰგავდნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ, ვითომ ქართველი შემეცოდა.

ფიქრებში გართული პატარა მოედანს მივაღეჭი. მოედნის მარჯვნივ ქუჩა იწყებოდა, ქუჩის პირველივე სახლზე ყაზახურად და რუსულად ეწერა: სასაფლაოს ქუჩა. გამეცინა. კაცი დაგბერდი. დღემდე ლამის მსოფლიო შემოვლიარე და ასეთი დასახელების ქუჩა არ მინახავს. თუ ეს მართლა სასაფლაოს ქუჩაა, მაშინ ეს გზა საიქიოსაკენ მიმავალი გზა იქნება. ჩავილაპარაკე და „საიქიოს გზას“ დავაღეჭი. იმ რწმენით, რომ აუცილებლად სასაფლაოზე მიმიყვანდა. ინტუიციამ არ მიღალატა, „საიქიოს გზამ“, მართლაც, სასაფლაოზე მიმიყვანა. მისვლისთანავე მივიწყებული საფლავებისაკენ ავიღე გეზი. ბალახებში, მართლაც რომ, საშიში იყო სიარული, ორჯერ უხამიან ქვეწარმავალსაც კი გადავეყარე, მაგრამ ისეთი სურვილი მქონდა ჩვენების საფლავის ნახვისა, რომ საფრთხე არაფრად ჩავაგდე. დიდხანს ვეძებე, რომ ვერ ვნახე ვიფიქრე, ალბათ, ტარიელ ძიამ თავისი მიცვალებულები საქართველოში გადაასვენა -მეთქი და სასაფლაოს დატოვება გადავწყვიტე. რამდენიმე საფლავის იქით ბილიკი შევნიშნე. ვიფიქრე ბილიკი ან სასაფლაოს ჰკვეთდა და ტრამალში გადიოდა, ან რომელიმე საფლავთან მიდიოდა და

იქ მთავრდებოდა. ბილიქს დავადექი. არ გამივლია ოცი მეტრი, რომ ბილიქმა ერთ საფლავთან მიმიყვანა. ვარდებს შორის საფლავის ქვიდან მიცქერდა რვა წლის ბიჭი ღელასთან ერთად. ბიჭი ჩემი ბავშვობის მეგობარი მამუკა იყო. მივხვდი საფლავზე ვილაც დადიოდა და უვლიდა.

ნუთუ ცოცხალია ტარიელ ძია და იმდენი შეუძლია, რომ თავისი მიცვალებულების საფლავს ასე უვლის?

ფიქრებში გართულს, მხრებში მოხრილი მოხუცი მომადგა. ხელში ორლიტრიანი პლასტმასის ბოთლი ეჭირა წყლით სავსე. ის მოულოდნელობისაგან შეკრთა და კითხვის დასმაც ვერ მოახერხა. მე დინჯად წამოვდექი, გამარჯობა, ტარიელ ძია -მეთქი ვუთხარი და გადავეხვიე.

- შენ, შენ, შენ - დაიწყო დაბნეულმა მოხუცმა.

- მე ისაკის ბიჭი ვარ ვახტანგი. შემთხვევით მოვხვდი ამ ქალაქში და მამუკას საფლავი რომ არ მენახა, ისე ვერ წავიდოდი.

- გმადლობ, შვილო, - თქვა ხმადაბლა მოხუცმა და თვალზე კურცხალი მოწყდა.

მოხუცს რამდენიმე წუთი აღარაფერი უკითხავს, მერე ცხვირსახოცით ცრემლი მოიწმინდა და ხმა ამოიღო.

- ისაკი როგორაა?

- მამა აღარაა.

- დიდი ხანია?

- ხუთი წელია.

- სად დაასაფლავეთ?

- ჩვენი სოფლის სასაფლაოზე.

- ნეტავ იმას, - თქვა მოხუცმა და ისევ გადმოუგორდა თვალზე კურცხალი.

- ვისთან ერთად ცხოვრობ, ტარიელ ძია?

- შვილთან, ჩემს ოთართან, იმ უბედურთან.

- მეუღლე გყავს?

- არა, გარდამეცვალა.

- ცუდია, - ვთქვი მე.

- შენ გახსოვს ვახტანგ აქ გატარებული წლები? თუმცა,

რომ არ გახსოვდეს, ახლა აქ არ იქნებოდი.

- ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს, ტარიელ ძია, შურა დეიდა თუ გადაასვენეს საქართველოში.

- არა, მის საფლავს მე ვუვლი.

- ტარიელ ძია... - სათქმელი დავიწყე, მაგრამ ვერ დავმთავრე. თქმა ძალიან გამიჭირდა. მინდოდა მეთქვა უნდა წავიდეთ -თქო.

- გისმენ, ვახტანგ!

- ტარიელ ძია, დღეს ალმა-ათაში უნდა დავბრუნდე, ოჯახში მისვლა მეჩქარება. მომენატრნენ.

- რას ამბობ, შვილო? ასე როგორ დამტოვებ, ჯერ ხომ ჩემი სამშობლოს ამბებიც არ გამომიკითხავს შენთვის, კაცს ლამის გული გამისკდეს ისეთი ხმები მესმის, ჩემი სამშობლოს შესახებ.

- მაგის თქმას რა უნდა, ახლავე ორი სიტყვით გეტყვით ყველაფერს.

- მითხარი შვილო!

- ტარიელ ძია, როდესაც სამოცს მიტანებული მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი იძულებულია სამშობლო დატოვოს და წლობით ტაიგაში გადაიხვეწოს ლუკმა-პურის საშოვნელად, ხომ წარმოგიდგენია მის სამშობლოში როგორ არის საქმე.

ჩემი პასუხის შემდეგ მოხუცი დიდხანს იდგა მღუმარედ და მიწას დაჰყურებდა. შემდეგ თავი ასწია, შემომხედა და მითხრა:

- ნოდარ, დარჩი ამაღამ ჩემთან, მე ხომ ათეული წელია ქართველი სტუმარი არ მყოლია, ქართველთან ჭიქა არ ამიწევია და ქართული სადღეგრძელო არ მითქვამს. დარჩი, გეხვეწები.

- შვილთან ხომ გითქვამს ქართული სადღეგრძელო?

- ჩემი შვილი ქართველი არ არის. მას ეროვნება არ გააჩნია. უბედურია ის და ყველაფერში მე ვარ დამნაშავე.

- შენ რა შუაში ხარ? - ვკითხე ინსტიქტურად.

- მე ვარ, როგორ არ ვარ? - თქვა მოხუცმა და დაიწყო:

როდესაც ქართველები განთავისუფლდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ, მხოლოდ მე ერთი დავრჩი აქ, ჩემს მიცვალებულებთან ერთად. მარტობამ დამრია ხელი. გამიგონია ჯოჯოხეთი ტანჯვის სამყარო, მაგრამ არ მგონია მარტობა

ჯოჯოხეთზე ნაკლები ტანჯვის სამყარო იყოს. წლები გადიოდა, ვატყობდი, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობდა, მაგრამ მორწმუნე ვარ და მჯეროდა, თუ თავს მოვიკლავდი საიქიოს ჩემს ცოლ-შვილს ვერ შევხვდებოდი. დიდი განსჯის შემდეგ ცოლის შერთვა გადავწყვიტე და შევირთე კიდევ გარუსებული უკრაინელი. არ იყო ურიგო ადამიანი. წლის თავზე შვილი შეგვეძინა. მაშინ აქ ძალიან ჭირდა თავის გატანა. იძულებული გავხდი ბამბის საპენტ ქარხანაში დამეწყო მუშაობა, მპენტავად. ეს ისეთი მძიმე საქმე იყო, რომ დიდხანს არავის შეეძლო ამ სამუშაოზე გაძლება. ორი წელი ვიმუშავე, მესამე წელს ავად გავხდი, ფილტვები დამინაგვიანდა და წლობით დამჭირდა მკურნალობა. ბავშვს კი მეუღლე ზრდიდა, რომელიც არც უკრაინელი იყო და არც რუსი. ასე რომ ბავშვის სულის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა არ მიმიღია. ყოველივე ამის გამო ჩემს შვილს ეროვნული კუთვნილების გრნობა არა აქვს.

- პასპორტში ქართველი ხომ უწერია?

- უწერია, როგორ არ უწერია, მაგრამ პასპორტი რას უშველის, თუ სული არ ექნა ქართული შვილო, მშობლიური სულის მომზადება მხოლოდ მშობლიურ ქვაბში შეიძლება. ასეთი ქვაბი მე ჩემს შვილს დაფუკარგე, - თქვა მოხუცმა, თავი დახარა, მიწას დაჟინებით დააცქერდა და გაჩუმდა...



## ახალწლის ღამეს

ორი დღე და ღამეა სოხანეზე გაშლილ ცხვრის ტყავებზე მწოლიარემ წამოდგომა ველარ შევძელი. ცის და მზის დანახვა მენატრება.

გუშინ კიდეც რა მიშავდა, საკუთარ კუნთში ნემსის გაკეთება თვითონვე შევძელი. დღეს, ნემსის გაკეთება კი არა თვალის გახელაც მიჭირს. ნუთუ აქ, ამ ფუნასა და თივისაგან შეთითხნნილ ქოხში უნდა...

სათქმელი აღარ ვთქვი. შემეშინდა და სხვა რამეზე ვცადე ფიქრის გადატანა, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. სიცოცხლის დაკარგვის შიშმა თითქმის ყველაფერი გადამაფიწყა.

დღეს დილით ორჯერ გონივ დაგვარე, მაგრამ მადლობა ღმერთს, ისევ ჩქარა დამიბრუნდა. გონზე მოსულმა რის ვაივალახით შევძელი ყელიდან ჯვრის მოხსნა და დოქის ყელზე ჩამოკიდება. მერე საქალაღდედან ამოვიღე ჩემი უმცროსი დის სურათი და ღვთისმშობლის ხატი. ორივე დოქს მივაყუდე. მათზე ვლოცულობ -ხოლმე. ჩუროჩულით ლოცვა გახდა ერთადერთი იმედი ჩემი გადარჩენისა. რა ყოფილა, სიცოცხლის დაკარგვის შიში?! ის თურმე არასოდეს არ ტოვებს ადამიანს. წუხელ მგლები მოადგნენ ქოხს და კარზე მათი ბრჭყალების ხმა რომ გავიგონე, იცით როგორ შემეშინდა დღედათვლილს?! არა და არ მინდოდა იმ ბანჯგვლიანებს მოესწრაფათ ჩემთვის სიცოცხლე. თითქმის დამწვარი ფილტვებიდან ისე მქუხარედ გავძახე - გაეთრიეთ აქედანო, რომ ჯარის სარდალსაც კი შემურდებოდა. მართლაც რომ, უცნაურები ვართ ადამიანები. იმაზეც კი ვფიქრობთ, რა მოუვა ჩვენი სიკვდილის შემდეგ ჩვენს სხეულს. იმ სხეულს, რომელიც სააქაოს სულს გვიმახინჯებს და გვიმწარებს.

მართლაც, რა გამოუცნობია მზისქვეშეთში ყველაზე ჭკვიანი ამავდროულად ადამიანი, - გავიფიქრე და წამოწევა ვცადე.

მეტი არაფერი მახსოვს.

X X X

გონდაკარგულს რაღაც ხმა ჩამესმა და გამომამხიზლა, თვალი გავახილე. თავზე ნაცრისფერი მოჩვენება მადგა. ძალიან არ მესიამოვნა მისი დანახვა და ისევ დაეხუჭე თვალები.

- ნუთუ ჯინია? აკი ამბობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, ჯინი ვნახეო. მე კი არ მჭეროდა მათი. ან შეიძლება მიქელაბრიელია ჩემს წასაყვანად მოსული. ღმერთო, დამიფარე! შენ ჩაეც, წმინდაო გიორგი, ჯინსაც და მიქელაბრიელსაც მახვილი! რა უნდათ ჩემგან მაგ ღმერთისაგან დაწყევლილებს. თავი დამანებონ, რა ღროს საიქიოს ჩემი წაყვანაა, ჯერ ოციც კი არ შემსრულებია!

- ბესო, თვალი გაახილე, შემომხედე, - მთხოვა მოჩვენებამ.

ჯინის თუ ჯანდაბის თხოვნას ყური არ ვათხოვე და მოჩვენებას დავაკვირდი. თავს ჩემი მეგობარი თუგაი მადგა.

- ცუდად ხარ, ბესო?

- ცუდად ვარ, ალბათ, მალე მოგკვდები თუგაი.

- შენ არ მოკვდები, ბესო. შენ ლომივით ბიჭი ხარ.

- საუბედუროდ ლომებიც კვდებიან, მეგობარო.

- შენ არ მოკვდები. ჩემთან გადაგიყვან და მოგხედავ.

- შენთან ვერ გადმოვალ.

- რატომ ვერ გადმოხვალ, აქ რომ შენი დატოვება არ შეიძლება, ვერ ხვდები?

- ვხვდები, მაგრამ ხვალ რომ ახალი წელია.

- იყოს მერე.

- ახალწელს ავადმყოფი ოჯახში როგორ მოგადგე?

- რატომ ვერ მომადგები?

- არ შეიძლება, ხომ არ დაგავიწყდა ხელისუფლებას რომ ვემალე. ესეც რომ არ იყოს ავადმყოფი დაგეკვებებათ.

- ვერ გავიგე.

- დაგეკვებებათ -მეთქი. მთელი წელი ავადმყოფი გეყოლებათ ოჯახში.

- შენ ეგ გჯერა?!

- ასე ამბობენ, თუგაი.

- მერე მაგის გულისათვის დაგტოვებ აქ ასეთ მდგომარეო-

ოცდაათი ოდე მეტრის დაშორებით „კაცუნები“ შევნიშნე. მათ ხელები ჩამოეშვათ და გაკვირვებულნი ჩემსკენ იცქირებოდნენ.

- ღმერთო, დამიფარე ყოველივე ეშმაკეულისაგან! - ჩავიჩურჩულე და ინსტიქტურად ამოვხტი ქვიშიდან. მიუხედავად იმისა, რომ თვალი წამითაც არ მომიცილებია ასტრალური არსებებისათვის, მაინც ვერ გავიგე, როგორ და სად გაქრნენ ისინი.

- ნუთუ მოჩვენებები დამეწყო!

ფიქრი ისევ კაცუნებმა შემაწყვეტინეს. ისინი თითქოს არსაიდან გაჩნდნენ იქვე და ისევ ინტერესით დამიწყეს ცქერა.

- ღმერთო, მიშველე, სიზმარში ხომ არა ვარ, ან კიდეც ზღაპრების სამყაროში?! - ჩავიჩურჩულე, ხელებით თვალები მოვიფშვინტე და ისევ გავიხედე კაცუნებისაკენ, მაგრამ ვერაფერი ვეღარ დავინახე.

- ან ასტრალურ სამყაროში მოვხვდი, ანდა ჭინკების ქვეყანაში, რომელთა არსებობა არასოდეს მწამდა ბებიჩემისა და დედაჩემისგან განსხვავებით.

- არა! არა! არც ერთის არსებობა არ მწამს, ყველაფერი ნერვიული დაძაბულობის ბრალია. რის ჭინკები, რა ჭინკები! ახლა ისევ ჩავწვები ქვიშაში და მოჩვენებებისაკენ ერთხელაც არ გავიხედავ.

მართლაც, ასე მოვიქეცი, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მაინც ვერ მოვთოკე. ის მუდმივად მაიძულებდა მოჩვენებებისაკენ მეცქირა.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირებია, კაცუნები თითქმის ერთდროულად აღმოცენდნენ ქვიშიდან.

- დედას გიტყობთ თქვენ, ეშმაკის მოციქულნო, თქვენა! - შეგვივლე და „კაცუნებისაკენ“ გავექანე, მაგრამ ორიოდ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, რომ ისევ გაქრნენ. მოულოდნელად ჩემს ფეხთით მიწა ჩაიქცა, მეც თან ჩამიყოლა და თითქმის წელამდე დამმარხა.

- ეშმაკმა გაიმარჯვა! - დავასკვენი და მიწიდან ამოსვლა ვცადე, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, ჩემი „დამარხვიდან“ რამდენიმე წამში ჩემს ირგვლივ, აქა-იქ ქვიშა შეინძრა და

დილით თუგაი მომაკითხავს, წყალს ამიდულებს, ჩაის დავლევ, ქონიც დათბება და, ალბათ, მეც შემოგბრუნდები სააქაოსკენ.

ფიქრებში გართულს ძილმა მომაკითხა. ის იყო ჩავთვლიმე, რომ კარს ვილაც მოადგა. ფეხები დააბაკუნა და ყერო გადასწია.

- ვინ ხართ?! - გაეძახე მოსულს.

- თუგაი ვარ, ბესო, - მიპასუხა მოსულმა, კარი გაიღო და ქონში თუგაი შემოვიდა.

- თუგაი, როგორ გაბედე ამ უკუნ ღამეში გარეთ გამოსვლა, მგლების არ გეშინია?

- მგლების? მე მგლების არ მეშინია.

- ახლავე გაბრუნდი, მეგობარო შინ...

თუგაიმ თქმა აღარ მაცალა, პირდაპირ მითხრა; მე უშენოდ არსად წავალო, მერე სახლიდან წამოღებულ თბილ პლედში გამახვია და მარხილზე დამაწვინა, თვითონ კი შიგ შეება.

- თუგაი!

- გისმენ, ბესო.

- თუგაი, ქონში ჩემი დის სურათი და ღვთისმშობლის ხატი დამრჩა.

- ღვთისმშობელი ვინაა? - მკითხა მან და ქონისაკენ შებრუნდა.

- ღვთისმშობელი ქრისტეს დედაა.

- ქრისტესი?!

- ჰო, ქრისტეს მშობელია.

- მერედა რად გინდა სხვისი დედის სურათი?

- ის ჩვენი, ქრისტიანთა მფარველია, მე მასზე ვლოცულობ - ხოლმე.

- რას შესთხოვ?

- ყველა კეთილი ადამიანის კარგად ყოფნას და დიდხანს სიცოცხლეს.

- ბესო, ხვალ დილით მზის ამოსვლისას მეც უნდა ვილოცო, ალაჰს უნდა შევთხოვო შენი გამოჯანმრთელება და იცი კიდევ რა უნდა შევთხოვო?

- რა უნდა შესთხოვო, თუგაი?

- უნდა შევთხოვო, რომ ხვალ ახალი წლის შემობრძანებისას შენც ჩვენი ოჯახის სუფრასთან შესძლო ყოფნა. შენც შესთხოვე ყოველივე ეს ღვთისმშობელს. ხომ შესთხოვ?
- შევთხოვ, თუგაი. როგორ არ შევთხოვ?

# უდაბნოში

მზე მყისიერად შემოიჭრა მტრედისფერ სივრცეში და აღმოსავლეთის ცას მეწამული ფერი უცვალა. მისგან ნასროლმა სხივებმა „კუკურუნის“ შუბლა მინა გამოიარა, თვალეზზე დამეცა და დამახუჭვინა. თვალმოჭრილმა შუბლიდან ფერადი სათვალე ჩამოვიწიე და მნათობს თავხედურად გავუსწორე თვალი. ის სწრაფად იწვედა ჰორიზონტის ხაზიდან ზევით. მე, ამის მნახველი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ აქ, უდაბნოში ყველაფერი, თუნდაც, ცის უპირველესი მნათობი, სულ სხვა-ნაირად მოძრაობდა ცის კამარაზე, ვიდრე ჩემს სამშობლოში.

უდაბნოს დილის ხილვის ცდუნებამ წამძლია და სათვალე ისევ ავიწიე შუბლზე. ჯერ ზეცას ავხედე, რომელიც ლურჯ უძირო გარსად მომეჩვენა, რომლის ცენტრში მე ვიმყოფებოდი ჩემს თვითმფრინავთან ერთად, მერე კი დედამიწას დავხედე, ყვითელ დედამიწას, უსიცოცხლო დედამიწას, რომელსაც ცისფერი ზარფუში ზედ დასდგომოდა ძაბრივით და მკვეთრი საზღვარი დაედო მის სიყვითლესთან. მომეჩვენა, რომ „ძაბრის“ ყელის დასაწყისში მე ვიმყოფებოდი და ვცდილობდი ჩემი მანქანით თავი დამეღწია ჩაკეტილი სივრცისათვის. გაზს მყისიერად მოვუმატე და მანქანამაც უმატა სიჩქარეს. რა არის ადამიანის ბედისწერა! სად შავი ზღვის პირას გაზრდილი ადამიანი და სად ეს უსიცოცხლო უდაბნო. რა მინდა აქ? ამას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე აქ მოვხვდებოდი? თუმცა, რატომ არ უნდა მეფიქრა, მე ხომ ადამიანი ვარ და ჩემი ცხოვრების სვლის გეზი სხვა სულიერთაგან განსხვავებით არც მკვეთრად განსაზღვრულია და არც არავინ უწყის საით იქნება მიმართული, გარდა განგებისა. ალბათ, ასე მეწერა, რომ აქ მოვხვდრილიყავ და მოვხვდი კიდევ.

ფიქრში გართული ძრავის ხმამ გამომაფხიზლა.

- ნეტავ რა დაეტაკა ამ ეშმაკის მოგონილს? არაფერიც არ დაეტაკა. უბრალოდ, მიღებში გაიჭედა რალაც და გაიტანს, დავიმიდე თავი და კიდევ უფრო მოვუმატე გაზს, მაგრამ ძრავამ

ერთი-ორი „ამოახველა“ და გაჩერდა.

- ღმერთო მიშველე, ნუთუ აქ უნდა დავჩრე? - ვთქვი და უდაბნოს დავხედე, რომელზედაც ქარისაგან გამოფიტული კლდეები მოჩანდა.

- არა, ღმერთი არავითარ შემთხვევაში არ გამწირავს! აკი მომხედა მტრის ზურგში, უსიერ ტყეში ჩამოვარდნილს და მშველელად პარტიზანები მომივლინა. მწამს, არც ახლა მიმატოვებს. ყოველი ცდა ძრავის ამუშავებისა უშედეგო აღმოჩნდა.

- ამ „ტყის“ თავზე მაინც არ მწვეოდა ეს უბედურება, აქ თვითმფრინავის დასმას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევძლებ!

- მაშ რა გქნა? - დამებადა კითხვა.

- რა და ინერციის წყალობით, რაც შეიძლება მეტი სიმაღლე უნდა ავაღებინო თვითმფრინავს, მერე კი პლანირებით უნდა განვაგრძო ფრენა. იქნება მივალწიო ისეთ ადგილამდე, სადაც თვითმფრინავის დასმა იქნება შესაძლებელი.

მართლაც, ასე მოვიქეცი და როცა მანქანამ ზეასვლა ვეღარ შეძლო პლანირებაზე გადავიყვანე.

- ყველაფერს ბედი უნდა, ეს დალოცვილი თუ მაინც უნდა გაფუჭებულიყო, რალა ამ ჯოჯოხეთურ ადგილზე გაფუჭდა, შუა უდაბნოში, ცოტა ადრე ან გვიან მაინც გაფუჭებულიყო, - ჩავილაპარაკე და ერთხანს გაფრთხიდი. ნორმალურად ფიქრიც კი არ შემეძლო. ერთხანს თვალი დავხუჭე და ბედს დავემორჩილე. კარგად მესმოდა ის საშინელება, რომელიც მიწაზე, თუნდაც, მშვილობიანად დაბრუნების შემდეგ მელოდა. უდაბნო აუცილებლად საესე იქნებოდა შხამიანი ქვეწარმავლებით და მორიელებით, ისინი ალბათ პირველსავე ღამეს დამგესლავდნენ. ან უწყლოობას როგორ გავუძლებდი, როცა ჩემს მათარაში სულ ლიტრანახევარი წყალი თუ მექნებოდა.

- მაშ, სიკვდილი გარდაუვალია? - გავიფიქრე სასოწარკვეთით.

- არა, არა, მე არ უნდა მოგკვდე! რატომ უნდა მოგკვდე, როცა სახლში ჯერ ისევ ჩვილი შვილი მელოდება, ჩემი ორი თვის პატარა!

თვითმფრინავის საჭეს მთელი ძალით ჩავჭიდე ხელები და

კურსი გავასწორე. რამდენიმე წუთის შემდეგ, მე უკვე ხუთი-ექვსი ათეული მეტრით მაღლა მივფერინავდი გამოფიტულ კლდეთა წვერებიდან. არც ისე შორს თვალუწვდენელი ქვიშიანი უდაბნო გამოჩნდა.

- მგონი გადავრჩი! - შევძახე და უფრო ძლიერად ჩავჭიდე საჭეს ხელები და უსიცოცხლო უდაბნოში ოსტატურად დავსვი თვითმფრინავი. ახლა ყველაფერი ამინდზე იყო დამოკიდებული. თუ უდაბნოში ქარი ამოვარდებოდა, აუცილებლად დიდი პრობლემა შეემქმნებოდა.

თვითმფრინავიდან არ ჩამოვსულვარ, უდაბნოში ჯერ კიდევ არ იყო აუტანელი სიცხე. კაბინაშივე ფეხზე წამოვდექი და იქიდან დავიწყე გარემოს დათვალიერება. აღმოჩნდა, რომ წინ ხელისგულივით ბრტყელი, ძალიან დაბალი ბარხანებით დახაზული უდაბნო მედო.

მართალია, ბევრი რამ წაკითხული და გავონილი მქონდა უდაბნოს შესახებ, მაგრამ მისი უსიცოცხლო ლანდშაფტის ხილვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

- რის ქვეწარმავალი, რა ქვეწარმავალი? განა ცოცხალი არსებები მთლად უჭკუონი არიან, რომ აქ, ამ უსიცოცხლო გარემოში იარსებონ საცხოვრებლად? ღმერთმა დამიფაროს და ფეხით რომ მომიწიოს წასვლა აქედან საშიშროება გამოორიცხული იქნება -მეთქი.

- რის ფეხით, რა ფეხით, მე ხომ დასახლებული პუნქტიდან მრავალი ათეული კილომეტრით ვარ დაშორებული. ამხელა მანძილს ამ უსიცოცხლო უდაბნოში აქლემიც კი ვერ გაივლის, თანაც ჩემი წყლის მარაგი ამ სიცხეში შუალდემდე თუ მეყოფა.

- რა სისულელეებზე ვფიქრობ ახლა მე? შუა საუკუნეები ხომ არ არის, უკვე მეოცე საუკუნის შუა წლებია, ვინ დამტოვებს აქ. ერთ-ორ საათში ძებნას დამიწყებენ და მიპოვნიან კიდევ, - დავიმედე თავი.

ფიქრში გართული სიცხემ გამომაფხიზლა. მზის ამოსვლიდან სულ რაღაც საათნახევარში ის თითქმის აუტანელი გახდა. თვითმფრინავის ქვედა ფრთაზე გამოვფედი და მზის მწველ სხივებს დავემალე, მაგრამ ცოტა ხანში მეტალი ისე გახურდა,



ზედ არა თუ ჯდომა, დგომაც კი შეუძლებელი გახდა. ქვიშაზე ჩამოვხტი და თვითმფრინავის ქვეშ შევძვერი. სულ ნახევარი საათის შემდეგ იქაც ვერ გავძელი.

- უკვე სამი საათი სრულდება, რაც ჩემმა თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. მაშველი კი არ ჩანს. ჩავიჩურჩულე და ნათქვამმა შემაკრთო. გონება მოვიკრიბე და საკუთარ თავს შემოვფიქვანე:

- ნეტავ რას ბუზღუნებ, ჯერ ხომ არც ისე ძალიან დაუფვიანიათ -მეთქი, - შემოვფიქვანე ჩემს თავს და თვითმფრინავის ჩრდილიდან გამოვძვერი. თითქოს არსაიდან, ჩემგან სულ რაღაც რამდენიმე მეტრში მიწის კურდღელი გაჩნდა. ის ისე სასაცილოდ ცქმუტავდა, რომ, თითქმის საგონებელში ჩავარდნილი კაცი, გამაცინა.

- ესეც შენი მკვდარი უღაბნო! - ჩავილაპარაკე ხმადაბლა და არც ისე სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა, მაგრამ ნადიროსათვის თავი არ მომიცილებია. მოულოდნელად მიწიდან, როგორც ისარი, ისე ამოვარდა რაღაც საგანი თუ არსება და თითქმის ნახევარი კურდღელი საკუთარ სხეულში მოიქცია. ეს ისე ამაზრზენი სანახავი იყო, რომ თვალი სასწრაფოდ მოვაცილე, პიროვნები გადავიწერე და ღმერთს შეველა შევებოფე. მე, ამის მნახველი უკვე დავრწმუნდი, რომ მკვდარ უღაბნოში სიკვდილი ბევრგან იქნებოდა ჩასაფრებული.

X X X

იძულებითი დაჯდომიდან ოთხი საათი გავიდა, მაშველი კი არა და არ ჩანდა. მზე უკვე ზენიტშია, სუნთქვა მიჭირს. ქვიშა ისეა გახურებული, რომ ფეხით ზედ ველარ ვდგები. თვითმფრინავი, მართალია, მზის სხივებისაგან მიცავს, მაგრამ თვითონ ისეა გაცხელებული, რომ მის ქვეშ თვით უღაბნოს ცხოველსაც კი გაუჭირდება გაძლება. გონებას ვძაბავ და თავს ვეკითხები: რა ვქნა, როგორ დავიცვა თავი მომაკვდინებელი სიცხისაგან? მდგომარეობამ აზროვნების უნარი გამიათკეცა. გავიხსენე ოდესღაც წაკითხული, უღაბნოს ქვიშის ფენაში ოცდახუთი სანტიმეტრის სიღრმეზე, მის ზედაპირთან შედარებით, თხუთმეტი-ოცი

გრადუსით ნაკლები ტემპერატურა არისო. გავიხსენე და იმავე წუთს დავიწყე ორმოს ამოთხრა თვითმფრინავის ქვეშ. იმედი გამართლდა. ორმოში ჩავწევი და ამოთხრილი ქვიშა ზევიდან დავიყარე. ოდნავ გაფერილდი თუ არა, ისევ ფიქრს მივეცი თავი.

- ასე ხომ მთელი კვირა გავძლებ, - ჩავილაპარაკე გახარებულმა.

მზე დასავლეთით გადაიხარა. უკვე ექვს საათზე მეტია, რაც აქ ვიმყოფები. ნუთუ არ დამეძებენ? შეიძლება თვითონ მე დავკარგე კურსი და აქ არ ელიან ჩემს ყოფნას. თვითმფრინავს ვერ მოგცილდები, რომ წავიდე აქედან და ღამით ვიარო, როგორ უნდა შემნიშნონ ერთი კინკილა კაცი ამ უკიდურეს უდაბნოში. თვითმფრინავს კი უფრო შენიშნავენ.

როგორც გამიგონია, უდაბნოში ღამით ტემპერატურის დიდი ვარდნა იცის. მართლა თუ ასეა თავი სად შევაფარო? ალბათ ისევ კაბინაში აჯობებს ღამით რომ ჩავიკეტო. იქ ხომ უხამიანი ქვეწარმავლებისგან ვიქნები დაცული. ასე, რომ საშიში არაფერია, დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად მიპოვნიან და გადამარჩენენ. დავიბედავ თავი და ცას ავხედე, რომელსაც ჩრდილოეთით მორუხნო-მოყვითალო ფერი მოსდებოდა. ფიქრი შევწყვიტე და შეშინებულმა შევძახე:

- ღმერთო, მიშველე!..

არ გასულა ორი-სამი წუთიც რომ საშინელი ქარ-სიციხე დამეტაკა სახეზე.

- ქარიშხალი!.. - შევძახე და წამოვდექი. სულ ახლოს ჩემთან რამდენიმე ბურთმა გაირბინა სამხრეთისაკენ.

- ეს რა ჯანდაბაა?! მიწიერ სხეულებს არც კი ჰგვანან! ზოგიერთი მათგანის დიამეტრი, ალბათ, ორ მეტრსაც კი აღემატება.

- ღმერთო, დამიფარე ეშმაკეულისაგან! - შევძახე გაოცებულმა, როცა ორი ასეთი ბურთი გონიერი არსებასავით ერთმანეთისაკენ გაემართა და ერთ ბურთად იქცა.

გამიგონია, უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებში რაღაც ბურთივით მრგვალი მცენარეები დაგორავნო, მაგრამ ორ

მეტრზე მეტი ღიამეტრისა?!

როგორც იქნა თვალი მოგწყვიტე უღაბნოში მორბენალთ და მზერა ისევ ჩრდილოეთით მივმართე. იქ ცა უფრო ჩამუქებულიყო და ნიავი ქარად ქცეულიყო. მივხვდი, ჩემთვის რაღაც ჯერ არნახული საშინელება მიახლოვდებოდა. მართლაც, სულ რაღაც ოც წუთში, მე და თვითმფრინავს საშინელი ძალის გრიგალი დაგვეჯახა. ირგვლივ აღარაფერი ჩანდა. მე მიწას განვეერთხე და ხელები თვალებზე ავიფარე. რამდენიმე წამის შემდეგ ისევ შემოგვიტია გრიგალმა, მივხვდი ამ ძალის ქარს ჩემი „ფანერკა სამალიოტი“ ველარ გაუძლებდა. ამის გაფიქრება ძლივს მოვასწარი, რომ იგი ადგილიდან მოწყვიტა გრიგალმა და სამხრეთისაკენ გაიტაცა ზედაფრთააგლეჯილი.

- დავილუბე! ნამდვილად დავილუბე! - დავიღრიალე და გახურებულ ქვიშას მუშტები დავუშინე. ჩემს სიცოცხლეში პირველად შემეშინდა სიკვდილის ამდენ ჭირგამოვლილს. მე, ჩემი სიცოცხლე მენანებოდა. მენანებოდა ისე, როგორც არასდროს და, ალბათ, ამის მიზეზიც მქონდა. შინ ჯერ ისევ ჩვილი შვილი მელოდებოდა.

- აუცილებლად უნდა გადავრჩე! ახლა, ჩემი სიცოცხლე მხოლოდ მე არ მეკუთვნის, - გავიფიქრე და საშველის ძებნა დავიწყე. მივხვდი რომელიმე კლდესთან უნდა მივხობნებულიყავ და ზედ ავკროდი. მხოლოდ ასე თუ შევძლებდი თავის გადაჩენას. მართლაც, პირველივე კლდესთან მივხობი და სამხრეთის მხრიდან ზეავეკარ. მერე ჩემს მათარას საცობი მოვხსენი, ნახევარი ყლუბი წყალი პირში ჩავიგუბე და ნელ-ნელა დავუწყე ყლაპვა. საკმაო შვება ვიგრძენი.

ნახევარ საათსაც არ გავრძელებულა ჯოჯობეთი. ჩემს ირგვლივ ყველაფერი დაწყნარდა და დამშვიდდა. მე სამხრეთით გავმუშურე და ჩემი თვითმფრინავის ძებნა დავიწყე. შიშმორეული საერთოდ აღარ ვგრძნობდი სიცხეს. დაღამებამდე ვეძებე, მაგრამ მისი კვალიც ვერ ვიპოვე.

X X X

მზის ჩასვლისთანავე უღაბნოში მკვეთრად იწყო დაცე-

მა ტემპერატურამ. მე ჩრდილოეთით ავიღე გეზი. მივდიოდი უმისამართოდ, მაგრამ მაინც მივდიოდი. მთელი ღამის განმავლობაში არ შემხვედრია არც ერთი მცენარე. ხანდახან მოჩვენებასავით თუ გაირბენდა წვრილ-წვრილი ნადირი ან ხვლიკი, თორემ სხვა მე არაფერი მინახავს.

გამთენიისას მზე ისევ ერთბაშად ამოიჭრა აღმოსავლეთით და ისე დააგრძელა ჩემი ჩრდილი, რომ მის ბოლოს ძლივს ვხედავდი. თუმცა, ეს გრძელი ჩრდილი ჩქარა დამოკლდა და მშისარა ფინიასავით შემომიძვრა ფეხებში. კიდევ ერთხელ მივათვალ-მოვათვალიერე მიდამო. არც ისე შორს, ჩემგან ზუსტად ისეთივე სხვადასხვა ზომის ბურთები შევნიშნე, როგორებმაც წინა დღით თითქმის ცხვირწინ ჩამირბინეს. მართალია ერთხანს ვიყოყმანე, მაგრამ მაინც გავბედე ერთ-ერთ მათგანთან მისვლა. ჩემი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, ის ბურბურა ანუ გონგოლა აღმოჩნდა. ჩემგან არც ისე შორს შავი ტყე გამოჩნდა. მივხვდი, რომ ეს საქსაულის ტყე იქნებოდა, სადაც ვერც ერთი სულიერი ჩრდილში თავს ვერ შეაფარებდა პაპანაქება სიცხეს.

ძლივს მივალწიე ტყემდე. იქ, ხეთა ტოტებში გაჩხერილი ბურბურას ქვეშ, ჩრდილში ქვიშა ამოვთხარე და ისევ ჩავიმარხე შიგ. მერე ერთი ყლუპი წყალი პირში ჩავიგუბე და ისევ დავუწყე ულუფებად ყლაპვა. წყალმა შიშმილი გამახსენა. მიმოვიხედე, ირგვლივ არავითარი სულიერი არ ჰაჰანებდა. ისევ საქსაულის ტოტებს ავხედე. იქ წვრილი ტოტებისაგან გაკეთებული რამდენიმე სფეროსებრი ბუდე შევნიშნე.

ნუთუ აქ, ამ ჯოჯოხეთში, რომელიმე სულიერს შეუძლია ბუდის გაკეთება და შთამომავლობის გაზრდა?!

ფიქრში გართულს, პირდაპირ ცხვირწინ, რაღაც პატარა არსებამ გადამირბინა. თვალი გავაყოლე. არსება ჩიტი აღმოჩნდა, ის ცოცვით აჰყვა საქსაულს.

- ყოჩაღ, ჩიტო! შენ ყოფილხარ რაც ყოფილხარ, მაგრამ რა ვქნა, სიცოცხლე მეც მინდა და მეც ისეთივე კანიბალი ვარ, როგორც ყველა სხვა ცოცხალი არსება. ამიტომაც, ამალამ შენი სიცოცხლე შეეწირება ჩემი სიცოცხლის გადაარჩენას. რა ვქნა, ჩიტო? როცა ასეა თვით ბუნებისაგან დაწესებული.

ოცდაათი ოდე მეტრის დაშორებით „კაცუნები“ შევნიშნე. მათ ხელები ჩამოეშვათ და გაკვირვებულნი ჩემსკენ იცქირებოდნენ.

- ღმერთო, დამიფარე ყოველივე ეშმაკეულისაგან! - ჩავიჩურჩულე და ინსტიქტურად ამოვხტი ქვიშიდან. მიუხედავად იმისა, რომ თვალი წამითაც არ მომიცილებია ასტრალური არსებებისათვის, მაინც ვერ გავიგე, როგორ და სად გაქრნენ ისინი.

- ნუთუ მოჩვენებები დამეწყო!

ფიქრი ისევ კაცუნებმა შემაწყვეტინეს. ისინი თითქოს არსაიდან გაჩნდნენ იქვე და ისევ ინტერესით დამიწყეს ცქერა.

- ღმერთო, მიშველე, სიზმარში ხომ არა ვარ, ან კიდეც ზღაპრების სამყაროში?! - ჩავიჩურჩულე, ხელებით თვალები მოვიფშვინტე და ისევ გავიხედე კაცუნებისაკენ, მაგრამ ვერაფერი ვეღარ დავინახე.

- ან ასტრალურ სამყაროში მოვხვდი, ანდა ჭინკების ქვეყანაში, რომელთა არსებობა არასოდეს მწამდა ბებიჩემისა და დედაჩემისგან განსხვავებით.

- არა! არა! არც ერთის არსებობა არ მწამს, ყველაფერი ნერვიული დაძაბულობის ბრალია. რის ჭინკები, რა ჭინკები! ახლა ისევ ჩავწვები ქვიშაში და მოჩვენებებისაკენ ერთხელაც არ გავიხედავ.

მართლაც, ასე მოვიქეცი, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მაინც ვერ მოვთოკე. ის მუდმივად მაიძულებდა მოჩვენებებისაკენ მეცქირა.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირებია, კაცუნები თითქმის ერთდროულად აღმოცენდნენ ქვიშიდან.

- დედას გიტყობთ თქვენ, ეშმაკის მოციქულნო, თქვენა! - შეგვივლე და „კაცუნებისაკენ“ გავექანე, მაგრამ ორიოდ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, რომ ისევ გაქრნენ. მოულოდნელად ჩემს ფეხთით მიწა ჩაიქცა, მეც თან ჩამიყოლა და თითქმის წელამდე დამმარხა.

- ეშმაკმა გაიმარჯვა! - დავასკვენი და მიწიდან ამოსვლა ვცადე, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, ჩემი „დამარხვიდან“ რამდენიმე წამში ჩემს ირგვლივ, აქა-იქ ქვიშა შეინძრა და

ფეხბანჯგვლიანმა, ვირთხისტოლა არსებებმა დაიწყეს ამოხტომა. ისინი შორს არ გაქცეულან, შორიახლოს დამიდგნენ და ზუსტად ისეთი პოზა მიიღეს, როგორიც უწინ ჰქონდათ. მათი ახლოს მნახველი დავრწმუნდი, რომ „ემმაკის მოციქულები“ სხვა არაფერი იყვნენ, თუ არა მღრღნელების ერთ-ერთი სახეობა.

ძლივს დავიხსენი თავი ქვიშის ხაფანგიდან და ისევ ორმოში ჩავწექი. შებინდებისას ჩიტების ბუდეებიდან კვერცხების ნაწილი ამოვალაგე და მთვარიან ღამეში ისევ დავადექი გზას ჩრდილოეთით, რადგანაც იქ უფრო მეტად მქონდა იმედი გამაგრებული ნიადავების არსებობისა. ამის დასტურად ისიც მიმაჩნდა, რომ ბალახის „ბურთები“ სწორედაც ჩრდილოეთის მხრიდან მოჰქონდა ქარს...

მზის ამოსვლისას დაღლილობისა და შიმშილის გამო, ფეხები აღარ მემორჩილებოდა. რამდენიმე კვერცხი გავტეხე და დავლიე, მერე მათარა ამოვიღე, შიგ ორას გრამამდე თუ იქნებოდა დარჩენილი წყალი. მართალია საცობი მოვხსენი, მაგრამ დაღვევა ვერ გავბედე.

ასცდა თუ არა მზე ჰორიზონტის ხაზს, სიცხემაც არ დააყოვნა. მივხვდი, ისევ თავდაცვაზე უნდა მეზრუნა. ისევ ამოვთხარე ორმო, შიგ ჩავწექი და ჩემი ტანსაცმელი სახეზე დავიფარე. მიუხედავად მაღალი სიცხისა, მაინც ჩამეძინა და როცა გამომეღვიძა მზე უკვე საკმაოდ იყო გადახრილი დასავლეთით და მე ჯოჯობეთურად განვიცდიდი წყურვილს. მათარა პირში ჩავიწურე. მართალია, იქიდან ორიოდ წვეთი წყალი ჩამოიწურა, მაგრამ ეს ჩემთვის უშვება იყო. კბილებს შორის ენა მოვიქციე და პირით დავიწყე სუნთქვა. მართალია, ამ ხერხით ცოტა ხანს უშვება ვიგრძენი, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ წყურვილის მოკვლის ეს მეთოდი ორგანიზმის მოთხოვნილებას ხელს ვერ შეუშლიდა.

მოულოდნელად, ჩემგან სულ ახლოს, ქვიშა ჯერ მალლა აიწია და მერე წინ წავიდა. მივხვდი, ქვიშის ქვეშ რალაც მოძრაობდა. შეშინებულმა პირჯვარი გადავიწერე და იქაურობას გავცალე.

X X X

უკვე მესამე ღამეა რაც მშვიერ-მწყურვალე უმისამართოდ დავეხეტები უღაბნოში. უკვე პირი მიმრება და ხანდახან გონებაც მებინდება. მათარას საცობი მოვხსენი. იქიდან ერთი წვეთი წყალიც კი აღარ ჩამოვარდა. ვიცი, უწყლოდ ვეღარ გავძლებ და საღამომდე აუცილებლად მოგვევლები. მუშლივით ირევიან ტვინში ჩემი წარსულის ეპიზოდები. მათ შორის ერთდერთი ჩემი შვილია, რომელიც ვეღარასდროს ვერავის დაუძახებს მამას. მე უკვე სიკვდილის მეშინია და მასზე ვიწყებ ფიქრს.

- სიკვდილი სამარდჟამო სიმშვიდეა, ჩემო კარგო. ის განთავისუფლებული სულია, დასრულებული და სრულყოფილი.

- შენ გინდა თქვა, რომ...

- მე არაფერიც არ მინდა ვთქვა. არ მინდა ვთქვა იმიტომ, რომ ყველამ ყველაფერი კარგად იცის.

- რა ვიცი მე? მე არაფერიც არ ვიცი!

- იცი, როგორ არ იცი, აბა შენი პატარა გაიხსენე.

პატარის გახსენებისთანავე უფრო მეტად შემეშინდა, შემეზიზლა და შემძულდა სიკვდილი. მე მისი ნამდვილი სახე დავინახე. დავინახე ის, რომ მასში არ არის იმედი მომავლისა. მე ზეზე წამოვდექი და ისევ განვაგრძე გზა.

X X X

გონს საავამდყოფოში მოვედი. ზანტად წვეთავდა გადასხმის აპარატის კოლბიდან სითხის წვეთები.

- სად ვარ? - შევეკითხე თეთრხალათიანს.

- სამშვიდობოს ხარ, - იყო მოკლე პასუხი.

- აქ საიდან?..

- მექარავნებმა გიპოვეს გონდაკარგული. ნულარაფრის გეშინია, ერთ კვირაში წამოდგები და ოჯახს დაუბრუნდები.

- ოჯახმა იცის ჩემი ამბავი?

- ოჯახმაც იცის და რესპუბლიკამაც. ახლა კი დაიძინე, - მითხრა გიშრისთმიანმა მედლამ, გამომემშვიდობა და პალატიდან გავიდა.

## დღია

ლურჯ ცაზე მავალი მზე ჰორიზონტიდან საკმაოდ აწეულყო. მის სხივებს ჯერ ისევ ყინულივით ცივი ჰაერი გაეკვეთა და ჩემი ოთახის უფარდო ფანჯრის რაფას დაჰყენოდა.

- დედა, ავდგები რა!

- გაცივდები, შვილო, ხომ არ დაგავიწყდა, ფენსაცმელები რომ არ გაქვს და წინდებიდანაც შიშველი ქუსლები გიჩანს.

- ავდგები, რა!.. - ვთხოვე ისევ.

დედას აღარაფერი უპასუხნია. ღუმელი თანხმობის ნიშნად მივიჩნიე და რუსული ღუმელიდან ჩამოვხტი, რომელზედაც ჩემი და ჩემი ძმის ქვეშაგები იყო გაშლილი.

- აკი გითხარი, გაცივდები -მეთქი! - მისაყვედურა დედამ.

- რა გამაცვივებს, გუშინ მთელი დღე რაფაზე არ ვიჯექი?!

- განა აუცილებელია ყოველდღე იჯდე რაფაზე.

- აბა, სად წავიდე ფენშიშველი?!

დედამ ცოტა ხნის შემდეგ ჯერ ისევ ღუმელზე მწოლიარე ჩემ ძმას სთხოვა: - ადექი, შვილო, შემოსვი რაფაზე შენი ძმა! მშობლის თხოვნას დამორჩილებული აჩი ზანტად წამოდგა და მისაყვედურა:

- რა მოგდის, თაზია, კურდღელივით დილაუთენია რომ არ წამოხტე, არ შეგიძლია?!

- მე თუ კურდღელი ვარ, შენ ფისო ხარ, - შევეპასუხე უფროს ძმას.

- რა მიგავს, შე ლიფსიტა, ფისოს?! დათვი მაინც გეთქვა.

- დათვი არა?..

- მაშ, რა?!

- აკი გითხარი, ფისო -მეთქი. შენ ჩვენს მძინარა წითურ ფისოს მაგონებ. მის მსგავსად დღედაღამ გძინავს.

- რომელ ფისოს, თაზია?

- რომელსა და საქართველოში რომ დარჩა ჩვენი სახლის პატრონად.

ამის შემდეგ, კარგა ხანს, არც დედას და არც ჩემს ძმას



ხმა აღარ ამოუღიათ. ვდუმდი მეც.

სიჩუმე ეზოდან ბამბის ხმელი ღეროებით იღლიასავსე მამა-ჩემის შემოსვლამ დაარღვია.

- რას დაგიყენებია, ადამიანო, ეს ერთი ციდა ბავშვი ფეხშიშველი გაყინულ ოთახში? - უსაყვედურა დედას. დედას მამაჩემისთვის არაფერი უპასუხნია. ჩემი უფროსი ძმისაკენ შებრუნდა და უსაყვედურა:

- ხომ ვითხარი, ფანჯარაზე შესვი -მეთქი. ძმამ ხელი დამაგლო და მზის სხივებით დაფარულ ფანჯრის რაფაზე ამისროლა.

- აჩი, შვილო, ფეხებზე აი ეს შემოახვიე, არ გაცივდეს, - თქვა დედამ და პირსახოცი გვესროლა. ძმამაც საგანგებოდ შემიფუთა ფეხები, თან მისაყვედურა.

- ნეტავ რას ხედავ, თაზია, ამ ფანჯრიდან გაყინული უდაბნოს გარდა.

- ვხედავ.

- მაინც რას?

- ახლა აქ ერთი გოგონა გამოივლის პატარა ძმასთან ერთად.

- დიდი ამბავი! მერე რა?

- მერე ხელს დამიქნევენ, გამილიმებენ და წავლენ. თუ არ გჯერა, ცოტახანს დაელოდე და თვითონ ნახავ.

- რას გაძლევს მათი ხელის დაქნევა, თაზია?

- როგორ რას, გაზაფხული რომ მოვა, ხომ შემეძლება ეზოში გასვლა ფეხშიშველს.

- მერე?

- მერე, გავალ და იმ ბიჭთან ვითამაშებ. აი, ისინიც! - შეეძახე ხმამაღლა და ძმას ჩვენსკენ მომავალ პატარა ბიჭსა და მოწითულ გოგონაზე მივუთითე.

ჩემი ძმა ფანჯარას მოსცილდა, რომ მომავალთ ვერ შეემჩნიათ. გამვლელებმა გაიარეს, ჩვეულებისამებრ, ფანჯარას შემოხედეს, ხელი დამიქნიეს და გზა განაგრძეს.

- თაზია, ეს რა ლამაზი „კაზაჩკა“ დაგმეგობრებია, ძმაო!

- მერედა შენ რა?

- როგორ თუ რა? მეც გავიცნობ.

- რა საჭიროა ყაზახი გოგონას გაცნობა, ის ხომ სხვა რჯულისაა, - ჩაერთო საუბარში დედა.

- დედა მართალს ამბობს, ჩვენ აქ უცხონი ვართ. სითამამე უცხოსთან ურთიერთობაში თავხედობის ტოლფასია, - წამოეშველა დედას მამაჩემი.

\* \* \*

ზამთარს დღეები ეთვლებოდა. ბოლო კვირის განმელობაში მხოლოდ დილით თუ შემოვჯდებოდი რაფაზე, თორემ ათითერთმეტი საათიდან ისეთი მცხუნვარე იყო მზის სხივები, რომ მათი გაძლება უკვე მიჭირდა.

ერთ დღეს დედამ ფანჯარა გააღო და მეც, ტრადიციულად, მის რაფაზე დამასკუბა.

- აჩი, ნეტავ რას გადაეყუდე ფანჯარაში. შენც „კაზახკას“ და იმ ბიჭს ელოდები? - გაეხუმრა უფროსი და ძმას.

- შენ ვინ გკითხავს? ვისაც მინდა, იმას დაველოდები. ასე რომ, მშვიდად იყავი.

- მე მშვიდად ვარ, მაგრამ...

- ლეილა მართალს ამბობს, რაც შენ ფანჯარაში დაიწყე ცქერა, მას შემდეგ ერთხელაც არ შემოუხედავს გოგოს აქეთ, - ვუსაყვედურე ძმას.

- აი, ისინიც! - თქვა აჩიმ და ფანჯარას მოსცილდა.

ისინი ჩემს ფანჯარასთან შეჩერდნენ ერთი წამით. მერე დამ მასზე ხელჩაკიდებულ ძმას რაღაც უთხრა და ორივენი ჩემსკენ წამოვიდნენ. მოსვლისთანავე გოგონამ ალერსიანად ლოყაზე მიჩქმიტა და თავიანთ ენაზე ბიჭუნას რაღაც უთხრა. მერე თავიდან ფეხებამდე რამდენჯერმე ამათვალ-ჩამათვალიერა და ხელი ჩამოსართმევად გამომიწოდა. მითხრა ერთმანეთი გავიცნოთო. მას ღოია ერქვა, პატარას - მახამბეთი. ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და დავცილდით.

\* \* \*

- დედა! დედა! ამას ხედავ? - მივვარდი ეზოდან სახლში შემოსულს და დიდი ფუთა დავუდე ფეხთით.

- ეს რა არის, ვინ მოგცა, შვილო?!  
- დოიამ და მახამბეთმა მაჩუქეს.  
- როგორ თუ მაჩუქეს?! ვინ არიან ისინი?  
- ჩემი მეგობრები არიან. მაჩუქეს! ასე მითხრეს, შენი იყოსო.

- მაღლობა გადაუხადა?  
- გადავუხადა დედი, გახსენი ფუთა, ვნახოთ შიგ რა არის! დედამ უხმოდ გახსნა ფუთა. შიგ ფეხსაცმელი, რამდენიმე ხელი ტანსაცმელი, მათ შორის ახალიც და გამომცხვარი ლიპ-იოშკებიც იყო.

- ყოჩაღ, თაზია! ეს რა ძვირფასი საჩუქარი მოუერთმევიათ შენთვის! მომავალი კვირიდან საბავშვო ბაღშიც კი შეიძლება შენი გაშვება.

- დედა იმ ბაღში მიმიყვანე, სადაც მახამბეთი დადის.  
- მახამბეთი ვინაა?  
- მახამბეთი ის ბიჭია, ვინც საჩუქარი მომიტანა. წელან რომ ვახსენე.

ერთ დღეს კოხტად ჩაცმულ-გაპრანჭულს დედამ ხელი ჩამკიდა და საბავშვო ბაღში მიმიყვანა. თვალისცეცებით დავეძებდი ბავშვებს შორის მეგობარს. როგორც იქნა ჩემი მეგობრები - მახამბეთი და დოია გამოჩნდნენ. მე მათკენ გავემართე და უხმოდ წინ დავუდექი.

- თაზია?! - გაიკვირვა დოიამ.

\* \* \*

არასოდეს ეზარებოდა ჩემს ძმას ბალიდან ჩემი გამოყვანა. მახამბეთიც დოიას გაჰყავდა -ხოლმე. ვამჩნევდი, თუ მახამბეთი ბაღში იყო, აჩი ყოველთვის მამღლედა უფლებას ბავშვებთან თამაში გამეგრძელებინა.

დრო გადიოდა. უკვე საკმაოდ კარგად შევისწავლე ყაზახური ენა. ცოტ-ცოტა ეს ჩვენი ოჯახის ყველა წევრმაც შეძლო.

ერთხელ ჩემს წასაყვანად მოსულ ძმას უარი ვტყვიც, ბალიდან მარტო არაფრით არ წამოვალ სახლში, თუ მახამბეთიც ჩემთან ერთად არ წამოვა -მეთქი. შეიტყო თუ არა ჩემი სურ-

წუხს თქვენს გამო.

- თამაზ, მახამბეთი სადაა?
- მასწავლებელმა წაიყვანა პირის დასაბანად, ძალიან დაისვარა.
- თამაზ, ერთ თხოვნას შემისრულებ?
- შეგისრულებ!
- მაშინ დაიფიცე, რომ რასაც გთხოვ, არავის ეტყვი.
- არც აჩის უთხრა?
- არა, აჩის უთხარი.
- თქვი!
- თამაზ, აჩის უთხარი, დღეს, საღამოს, უდაბნოში გამოვიდეს. იქ ჯოხზე მიმაგრებულ ნაჭერს დაინახავს და მეც იქვე ვიქნები.
- თამაზ, ხომ არავის ეტყვი, რაც გითხარი, აჩის გარდა?
- გაიმეორა დოია.
- გინდა, დავიფიცო, დოია?
- არა, არ გინდა. მჯერა, რომ არავის ეტყვი. ახლა კი წავედი, მახამბეთსაც არაფერი უთხრა ჩემი აქ ყოფნის შესახებ. ხომ არ ეტყვი?
- არა, არ ვეტყვი, დოია, - მივეცი პირობა კიდევ ერთხელ.

\* \* \*

შუალამე მოახლოვდა. რკალადქცეული მთვარე ოდნავ ასცდა ჩვენი ბარაკის მეზობლად მდგარი ბარაკის სახურავს, ჩვენს ფანჯარაში, მკრთალი სინათლე შემოაპარა და იატაკს მოჰფინა. არ ეძინათ უფროსებს და არ მეძინა მეც. აჩის დაბრუნებას ველოდი. ის კი არა და არ ჩანდა. მე დოიაზე მიცემულ პირობას არ ვტეხდი.

- განთიადის მოსვლა მამლის მესამედ ყვილმა გვამცნო. მამამ ფანჯარა გამოაღო და იქით გაიხედა, საიდანაც ხმაური ისმოდა.
- რა ხმაა, ადამიანი? - ჰკითხა დედამ.
  - ადგილობრივი მცხოვრებნი არიან, აქეთ მოემართებიან.
  - ასე ადრე! ნეტავ რა მოხდა? - შეშინდა დედა.
- ხალხმა ეზოში შემოუხვია და ცოტა ხნის შემდეგ ჩვენს

კარზე კაკუნის ხმა გაისმა.

- ალბათ, ცუდი ამბავია ჩვენს თავს! - ატირდა დედა.

- ცუდი რატომ, კარგი ამბავია.

- შენ რა იცი, თაზია? - მკითხა გაოცებულმა მამამ.

- მამა, აჩი და ღოია გაიპარნენ.

- სად?!

- უდაბნოში უნდა შეხვედროდნენ წუხელ ერთმანეთს.

კარი მამამ გაუღო მოსულთ.

- სადაა შენი შვილი? - იკითხა ყველაზე მაღალმა.

- შინ არ გახლავთ.

- მაშ სადაა?

- ღოია და აჩი გაიპარნენ. მათ ერთმანეთი უყვართ და ამიტომ გაიპარნენ, - იყო პასუხი.

- ოი, ალაჰ! - აღმოხდა ერთ-ერთს.

- ჩვენ მათ ვიპოვით და ორივეს დავბოცავთ, - ჩაილაპარაკა მოსულობათგან ერთ-ერთმა.

- რატომ? მათ ხომ ერთმანეთი უყვართ?!

- ალბათ, იცით, სად არიან ისინი?

- მე ვიცი, მაგრამ ღოია არასოდეს დაბრუნდება თქვენთან, - ამოვიდგი ენა.

- სად არიან, თქვი, თუ მართლა იცი, შე ლაწირაკო! - დაიყვირა ერთმა მომსვლელობათგანმა.

- უდაბნოში არიან, აი იქით, - ვთქვი და ხელით ფანჯრიდან უდაბნოსაკენ მივუთითე.

ისინი უხმოდ გავიდნენ. დედაჩემმა მოთქმა დაიწყო.

- ნუ გეშინია, ადამიანო, ბავშვები უკვე აქედან ძალიან შორს იქნებიან, - დააიმედა მამამ.

ცოტა ხნის შემდეგ ქუჩაში ცხენის ფლოქვების ხმა გაისმა. ყველანი ფანჯარას მივკვივდით. ორი მოხდენილი ყაზახი მხედარი უდაბნოსაკენ მიაქროლებდა ცხენებს.

- დაეწვივან! - თქვა დედამ და ჩაიკეცა. მამამ ჩემს დას სთხოვა დედას მიხედეო. თვითონ შიშველი ფეხი სასწრაფოდ ჩაჰყო ფეხსაცმელებში და მხედრებს ფეხდაფეხ დაეღევნა.

\* \* \*

უკვე გათენებული იყო, როდესაც ვილაცამ ფანჯარაზე მოგვიკაკუნა. ყველანი წამოგვივიდით და ზედ მივაწყდით. ქუჩაში ის ორი ახალგაზრდა იდგა, რომლებმაც ღამით ცხენზე ამხედრებულებმა გაიქროლეს. დედამ ფანჯრის გაღება დააპირა, მაგრამ ერთმა ანიშნა კარიდან მოვალთო. დედამ კარი გაუღო და მოსულთ ჰკითხა: რა ხდება, ხომ არ გინახავთ ბავშვებიო.

- ღიახ, ვნახეთ, - იყო პასუხი.

- ახლა სად არიან?

- არ ვიცი, მაგრამ მაგარი ბიჭი ყოფილა აჩი, - თქვა ერთ-ერთმა, რომელმაც თავი დოიას ძმად გაგვაცნო.

- სად და როგორ არიან ბავშვები? - იკითხა ისევ აცრემლებულმა დედამ.

- ისინი გაიქცნენ, მათ ველარავინ დაეწევა, - იყო პასუხი.

- როგორ გაიქცნენ? რით გაიქცნენ?

- რით გაიქცნენ და ჩვენი ცხენით.

- მიეცით?

- არა, წავგართვეს. როდესაც წამოვეწიეთ ქალი ვაჟს წინ აეფარა და მითხრა, რომ ყველაფერი მისი ბრალი იყო. მე ცხენიდან ჩამოგვქვეითდი, დასთან მივედი და მაჯაში ხელი მოგვიდევ, რათა სახლში დამებრუნებინა.

- ხელი გაუშვი! - ჩვენ ერთად გვინდა ვიყოთ და ერთად დავრჩებით! - მტკიცედ მითხრა აჩიმ.

- შენ ვინ გდინხარ?! - ვუყვირე და საცემად წავიწიე.

მეტი აღარაფერი მახსოვს. როდესაც გონს მოვეგე ხელფეხეშეკრული მიწაზე ვგდებ ჩემს მეგობართან ერთად. აჩი და დოია ჩემს ცხენზე ამხედრებულნი უდაბნოში მიჰქროდნენ ცის დასალიერისაკენ.

## ეპილოგი

ეს ამბავი 1954 წლის გაზაფხულზე მოხდა. აჩის და დოიას გაქცევიდან მეთერთმეტე დღეს წერილი მივიღეთ, გვატყობინებდნენ, ინდოეთის საზღვართან ახლოს ვიმყოფებით და საზღვარზე გადასვლას ვაპირებთო. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ აღარაფერი ვიცი მათ შესახებ. მე მათ ახლაც ველოდები.

## უშიშროების პოლკოვნიკი

გალვიძებისთანავე თვალი ცელოფანგადაკრულ სარკმლისაკენ გამექცა, საიდანაც მზის სინათლე უკვე შემოპარულიყო და ნაცრისფრად გაენათებინა ჩემი საცხოვრებელი.

- კარგი ამინდი ჩანს, ახლა ავღგები და დღიურში ჩავწერ: 1967 წლის ოცდაორი დეკემბერი, დღე კრიალა ლურჯი ცითა და კაშკაშა მზით, რომელსაც ყინვის შიშით ზენიტისაკენ აწევა ვერ გაუბედავს და თითქმის ზედ ჰორიზონტის ხაზზე „მიიპარება“ დასავლეთისაკენ.

თუმცა, რა მზის ბრალია, დროა ყველაფერში დამნაშავე, ან კიდევ ის, ვინც დროთა ბრუნვა დააწესა. დიახ, მისი ბრალია ისიც, რომ მე ცხელი ხინკალივით ამდის ოზშივარი სიცივისაგან.

ხინკლის გახსენებამ სამშობლო, ჩემი სახლი და აგიზგიზებული ბუხარი გამახსენა. შავი, გაჭვარტლული, მაგრამ მუდამ გულთბილი და სხვისი გამათბობელ-გამალღებელი.

- ეჰ! როდის შემოგუჯდები ბუხარს ჩემიანებთან ერთად. ან შემოგუჯდები საერთოდ?... აჰ, ამ დავიწყებულ მხარეში, კაცს ან ნადირი შეგჭამს, ან სიცივე მოგკლავს, ან სულაც შიმშილი ამოგხდის სულს, - გავიფიქრე და ჭერში ტომრებით დაკიდებულ ზამთრის მარაგს თვალი შევაგლე.

- როგორ „დაჩუტულან“? ეს მეყოფა გაზაფხულამდე? არ უნდა შემცოდებოდა ის ცხენირემი ხაფანგში რომ გავაბი. რამდენ ხანს დავცქეროდი უმწეოს ხელში დანით. ჯერ ერთი წლისაც არ იქნებოდა და ჩემს კუჭს უნდა შესწიროდა. ისეთი სევდიანი თვალებით მიმხერდა, რომ ქარქაშიდან ამოღებული დანა ხელში შემეყინა. ვერადა ვერ შევძელი მისთვის ყელში გამოსმა. ბაწარი რომ გავუჭერი თავისუფლად ამოისუნთქა და მეც გამიხარდა, როცა ის გაიქცა და გალალდა, მაგრამ ახლა რა ვქნა? მარაგი მაქსიმუმ ერთი თვე მეყოფა, ზამთარი კი კიდევ სამი თვე გაგრძელდება. რა საშინელებაა. წუწუნს მოგრიჩი და გონება დაეძაბე, მაგრამ რა, ციყვი რომ ციყვია, ისიც გადაკარგულიყო უჩინმაჩინეთში. იქნებ და ისევ დაიარება ახლომახლო

ცხენ-ირემი? ერთი ცხენ-ირემი მთლად მომიხსნიდა ამ ზამთარს თავის გატანის პრობლემას, - გავიფიქრე და ზეზე წამოვდექი. ცეცხლი არ ამინთია, თბილად ჩავიცვი და ირმის კვალის საძებნელად გავწიე თოვლით ჩამობუმბლულ ტყეში.

რა ლამაზი იყო ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ ჩემი სული ვერ აღიქვამდა ამ სილამაზეს. იმ დღეს მივხვდი, რომ ადამიანი ყოველთვის ერთნაირად ვერ აღიქვამს ვერც თვალით დანახულს და ვერც ყურით გავონილს. ყველაფერი მის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ჩემს მდგომარეობაში სილამაზისათვის არ მეცალა.

დილით გასული, შუადღისას დაღლილ-დაქანცული და გათოშილი დავბრუნდი ქოხში. რამდენიმე კილომეტრის რადიუსზე ქოხის გარშემო სულიერის კვალიც კი არ შემინიშნავს.

- ნეტავ საერთოდ არ შემეხედა ზამთრის მარაგისათვის, სანამღე მეყოფოდა - მეყოფოდა და, როცა აღარაფერი მექნებოდა, მაშინ ვიზრუნებდი საკვებზე.

ერთხანს ფიქრიდან თავის დახსნა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი.

- ჰმ, დაველოდო, არა! რას უნდა დაველოდო, სიკვდილს? სხვა აქ ჩემთან, აბა, ვინ მოვა? ეგ დაწყევლილი ყველა სულიერთან თვითონ მიდის. სხვა დანარჩენთან ჩვენ თვითონ მივდივართ. ასეთია ნება განგებისა.

- კი, ბატონო, მივალ ყველასთან, ჩემი ფეხით მივალ, მაგრამ ახლა ჩემს ირგვლივ არავინაა, მარტოდმარტო ვარ.

- მართლა, მარტოდმარტო ვარ დარჩენილი?! - ჩაჯდა ეს კითხვა ჩემს ტვინში და მაწვალა მანამ, სანამ პასუხი არ მაპოვნინა.

- მარტო რატომ ვარ, აქ ხომ ჩემს ირგვლივ ხეებია, რომლებიც ულამაზეს ტყეს ქმნიან. კიდევ ჩემი ქოხი, რომელიც სიცივისაგან მიცავს და აქედან სულ რაღაც სამი-ოთხი კილომეტრის მანძილზე - მოზრდილი ტბა.

ტბა, სულ რაღაც სამი-ოთხი კილომეტრის დაშორებით აქედან?! თევზით სავსე ტბა! რატომ აქამდე არ გამახსენდა. ეს ტბა უნდა ვახდეს ჩემი გადამრჩენი! ტყუილად ხომ არ



ჩასკუპულან იქ, ყინულზე „მუჭიკები“ და გახვრეტილ ყინულში მოკლეთარიან ანკესს აცანცარებენ. მეც ვიშოვი ანკესს და ვითევზავებ. მუდამ მექნება ცოცხალი თევზი.

დამწვიდებულმა, საკუთარი თავის გასაკიცხად მოვიცალე.

- შე ბენტერა, შენა, არ იცი, რომ ღმერთს ამქვეყნად არავინ გაუჩენია საზრდოს გარეშე. მითუმეტეს ადამიანი, რომელიც მთელი სამყაროს პატრონადაა მოვლენილი განგების მიერ.

ფილოსოფიას თავი ვანებე და ისევ ყოფით პრობლემებზე გადავერთე:

- კი, ბატონო, თევზი არის, მაგრამ როდის და რა საშუალებებით უნდა დავიჭიროო ის. მე რომ ანკესი არ მაქვს? სად ვიყილო? აქედან ქალაქამდე მინიმუმ ოცი კილომეტრი იქნება, ახლო-მახლო სოფლებში კიდევ რომ იყოს, ჩემი გამოჩენა არ შეიძლება, ვინმემ შეიძლება კიდევ მკითხოს, ვინ ვარ და საიდან მოვსულვარ. რა ვუპასუხო მას?

- არა, სოფელში ვერ გამოვჩნდები, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ვერც ქალაქში წავალ. ჩემი ფეხსაცმელები ორმოც კილომეტრს ვერ გაივლიან და არც მე შემიძლია დაუსვენებლად აშხელა გზის გავლა.

- მაშ, რა ვქნა?

- რა უნდა ვქნა და ვინმე მეთევზისგან უნდა ვიყილო უკანასკნელი კაბიკებით.

- რომ არ მომყიდონ?

- მომყიდიან, აუცილებლად მომყიდიან.

დავარწმუნე თუ არა საკუთარი თავი ჩემი გეგმის უტყუარობაში, სასწრაფოდ შევუდექი მზადებას.

შავი ღლისათვის გადამაღული ფული სამალავიდან ამოვიღე და ჯიბეში ჩავიდე. მერე, ყოველი შემთხვევისათვის, გადანახულ „სტოლიჩნი“ დავწვდი, ხელში შევანჯღრიე, მალლა ავწიე და სარკმლიდან შემოსულ შუქზე გაფხედე. გაფხედე და შიგ „ჯაჭვი“ დავინახე, რომელმაც მამაჩემისგან გამოხდილი არაყი გამახსენა. არაყმა და მისმა ჯაჭვმა პატარა თაღლითობისკენ მიბიძგა.

- რატომ „სტოლიჩნი“ და არა ჭაჭა? „სტოლიჩნი“ აქ ყველა მაღაზიაში შეიძინო, ჭაჭა-ნურას უკაცრავად. ბორჯო-

მის წყლის ცარიელი ბოთლი ავიღე, „სტოლიჩნიტ“ ავაგსე და ქოხიდან გამოვძვერი.

გამოვეყავი თუ არა ცხვირი გარეთ, იმ წუთში დაეტაკა გაყინული ჰაერი ჩემს ფილტვებს. შემდეგ შეეჩვია და თვალეში ნათელი ჩამიდგა. ტბისკენ გავწიე. ლურჯი ციდან კაშკაშა სხივი ირიბად ეცემოდა გოლიათ ხეებს. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ეს ცივი, თეთრი მასა ბრილიანტის მარცვლებით არის დაფარული. ირგვლივ გამეფებულმა ცივმა სილამაზემ ჩემს სამშობლოში მოსმენილი ერთი სიმღერა გამახსენა და ყინვას შევუტეე, - შენც იმ ქალის გულივით უკარება და დაუნდობელი ხარ -მეთქი.

### X X X

- Привет дядя, - მივესალმე ყინულზე ჩაცუცქულ ჭარმაგ მეთევზეს.

- Привет, - მიპასუხა მან, ისე რომ ჩემთვის არც კი შემოუხედავს.

თვალი ყინულზე დაყრილ, ცილის ტოლა, ჭრელ პუტკუნა თევზებისაკენ გამექცა.

- ყოჩაღ, ძია!

- დღეს კარგად მოჰყვება, - თქვა მოხუცმა და შემომხედა.

- ძია, თევზს ვერ მომიყიდი?

- დღის ბოლოს ვნახოთ.

- ანკესს ხომ ვერ მომიყიდი, - ვკითხე მოულოდნელად.

- შენ რა, მეხუმრები?

- არ გეხუმრები!

მეთევზეს არაფერი უპასუხნია, უხმოდ გახსნა ზურგჩანთა, სათადარიგო ანკესი ამოიღო და გამომიწოდა. თან თითით მანიშნა აი, იქ ყინული გახვრეტილიაო.

- ჯერ ჩვენი გაცნობა აღვნიშნოთ ძია, - ვუთხარი და ბორჯომის ბოთლი ჯიბიდან ამოვიღე.

- შენ რა?..

- როგორ თუ რა. ჩვენში ასე იციან, ასე იწყებენ მეგობრობას.

- მაშინ დაასხი! - თქვა უცნობმა და ჯიბიდან მომცრო სასმისი ამოიღო, რომელიც პირამდე აფუქსე.

- ჩვენ გაგვიმარჯოს, - თქვა და სასმისი პირისკენ წაიღო, მაგრამ ისევ შეყოვნდა და მკითხა:

- რა გქვია, ახალგაზრდა?

- ბესარიონი. ბესო შეგიძლია დამიძახოთ.

- ბესარიონი? ქართველი ხარ?

- ქართველი ვარ.

- იოსიფ ბესარიონოვიჩი სტალინი კაცობრიობის გენიაა! რომ იცოდე, შვილო, ომში სამშობლოსა და სტალინისათვის ვიბრძოდი.

მე გავჩუმდი, საკუთარი აზრი არ გამომითქვამს იმ გენიოსზე, რომლის მიზეზითაც სრულიად ახალგაზრდა ყოფელდღე სიკვდილს თვალეზში ვუყურებდი. არ მითქვამს იმიტომ, რომ ამ ნაომარი კაცისათვის გული არ მეტყინა.

- ბესარიონ, მოდი ერთად ვთქვათ სტალინის სადღეგრძელო!

- ვთქვათ, ძია!

ნაფრონტაღმა სასმისი გამომიწოდა და მეც პირამდე აფუქსე.

- შენ? შენ რატომ არ ივსებ სასმისს?

- მე არყის დალევა არ შემიძლია, ძია კონდრატ. (ასე გამეცნო ჩემი თანამეინახე.)

- თქვენ, ქართველები, მაგარი ბიჭები ხართ, მაგრამ არაყს რომ არ სვამთ დიდი ნაკლია, - გამაკრიტიკა კონდრატმა და არაყი გადაჰკრა.

- კიდევ დალევ, ძია?

- ცოტა მაცადე, - თქვა და ტილოს ჩანთიდან თხლად-დაჭრილი ღორის ხორცის საკმაო რაოდენობა ამოიღო.

- მიირთვი, ბესარიონ! - შემომთავაზა მან.

ღორის ხორცი დიდად არ მიყვარს, მაგრამ ასე გემრიელად და მადიანად არც მანამდე და არც მის შემდეგ არაფერი მიჭამია. ძია კონდრატმაც ბოლომდე დაცალა ჭაჭად გასაღებული არაყი და კიდევ ალიღინდა. რამდენჯერმე მეც აფუქვი, ასე რომ,

სახელდახელოდ შეიქმნა ღუეტი, რომლის მიმართაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენს ირგვლივ მყოფმა მეთევზეებმა.

- ბესარიონ, ჩემო შვილო! - დაიწყო კონდრატმა.
- გისმენ, ძია.
- აი, ეს ანკესიც შენი იყოს და დღევანდელი ნადავლიც.
- როგორ გეკადრებათ, ძია კონდრატ, რას ამბობთ?
- მე ჩემი მეგობრისათვის არაფერი მენანება!
- ვერა, ვერ ავიღებ. სახლში რაღაც ხომ უნდა მიიტანო.
- მათი... - და ბოლომდე დაამთავრა სათქმელი კონდრატმა.

გახარებული დავბრუნდი ქობში. იმ ღამეს ჩემს სუფრას ჩემთვის მეტად საჭირო თევზის წვნიანი ამწვენიდა. რამდენიმე დღეში კონდრატესაგან ნაჩუქარმა ანკესებმა ერთბაშად შეცვალა ჩემი ეკონომიკა და გუნება-განწყობილება. ორჯერ თევზაობის შემდეგ საჭირო გახდა თევზის მარაგის შენახვაზე ზრუნვა. თუმცა ეს პრობლემა ჩემთვის ყველაზე საშიშმა ყინვამ გადამიწყვიტა. ახლადდაჭერილი თევზი ოც-ოცდაათგრა-ლუსამდე ყინვაში გარეთ გავიტანე და ხის ტოტზე ჩამოვკიდე.

ერთ მთვარიან ღამეს გარედან რაღაც ხმები შემომესმა.

- ნეტავ რა უნდა იყოს? - გავიფიქრე, ტანთ ჩავიცვი, გარეთ გამოვედი და, რას ვხედავ - ტოტზე დაკიდებულ თევზზე ტურაა ჩამოკიდებული. დანარჩენებს თავები აუწვევიათ და მოლოდინით შესცქერიან. ეს ისეთი სასაცილო სანახავი იყო, რომ მათთვის არც კი დამიტატანებია. ჩემი აზრით, ღირდა ის ზარალი იმათ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ერთხელ გულიანად გამეცინა. ტურამ მომავლის იმედის ნაპერწკლის არსებობა დამანახა. იმედდაკარგულები გულით ვერ იცინიან, ვიცი მე ეს!

\* \* \*

ძია კონდრატემ მართალია ძალიან გამიიოლა ცხოვრება, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა.

ერთ მზიან დღეს, როგორც ყოველთვის, ვთევზაობდი.

- Ставай, сука! - დამძახა ვიღაცამ ჩაფიქრებულს.

მე ინსტიქტურად წამოვხტი და მომხდურისაკენ შევბრუნდი.

ჩემს წინ ორი ახალგაზრდა იდგა, მათ შორის, ერთი თოფით ხელში.

- ნუთუ ყველაფერი დამთავრდა? - გავიფიქრე და ერთიანად გამეყინა სისხლი ძარღვებში.

- ეს რა არის? - დასჭყა ერთმა მათგანმა და ფეხით მიმოფანტა ყინულზე დალაგებული თევზები.

- რა ხდება, ბიჭებო? - ძლივს ამოვიდგი ენა.

- რაც ხდება განყოფილებაში გაიგებ. აბა, აილე შენი ნივთები და გამოგვყევი!

მე უხმოდ დავიწყე ნივთების ალაგება.

- წავედით! - მიბრძანა თოფიანმა და წინ გამიგდო.

გავცდით თუ არა ტბას, ტყეში სოფლისაკენ მიმავალ თოვლიან გზას დავადექით. წინ უიარალო მიმიძლოდა, უკან კი, სულ ერთი ნაბიჯის დაშორებით, თოფმომარჯვებული მომდევდა.

- ბიჭებო, მითხარით რაშია საქმე? მე არაფერი დამიშავებია.

- ნუ ლაყბობ! - იყო მოკლე და მკაცრი პასუხი.

- სერგეი, უთხარი პატიმარს მისი დანაშაულის შესახებ, - უთხრა უიარალომ თოფიანს.

- ნეტავი შენ, ნიკოლაი, ლაპარაკი არ გეზარება, მივიყვანოთ განყოფილებაში და იქ ეტყვიან ყველაფერს.

- კატეგორიულად მოვითხოვ დაპატიმრების მიზეზს. ეს ჩემი კონსტიტუციური უფლებაა! - შეეუტიე ახალგაზრდებს.

- მოქალაქე, თქვენ ეჭვიტანილი ხართ თევზის უკანონოდ მოპოვებაში, - მითხრა უიარალომ.

- რა იცით, რომ უკანონოდ მოვიპოვებდი? თქვენ ხომ ჩემთვის საბუთი არ მოგიტხოვიათ. მე თქვენ გიჩივლებთ.

- ინტრიგანი ხართ?

- რატომ ინტრიგანი? მე ყველაფერს კანონის შესაბამისად მოვითხოვ, - ავუწიე ხმას.

- მიგიყვანთ განყოფილებაში, პატარა ჯარიმას გამოგიწერენ და გაგიშვებენ. მეტი არაფერი არ იქნება, - „დამაიმედა“ წინმაკალმა.

- რატომ უნდა დამაჯარიმოთ? იმიტომ ხომ არა კავკასიელი

რომ ვარ? იქ ჩემს გარდა ათასი უსაბუთო თევზაობდა.

საუბარში საკმაო დრო გავიდა და სოფელსაც მივუახლოვდით. მივხვდი, თუ სოფელში შესვლამდე ვერაფერს გავახერხებდი, იქ უკვე ძალიან გამიჭირდებოდა ამ უბირი ახალგაზრდებისაგან თავის დახსნა.

ნაბიჯი შევანელე. მინდოდა იარაღიანი, რაც შეიძლებოდა, ახლოს მოსულიყო, მერე მოულოდნელად თავს დავსხმოდი, იარაღი წამერთმია და მუშტის დარტყმით გამეთიშა. ასევე მუშტის დარტყმით გამეთიშა მეორეც. შემდეგ თოფი ნაწილ-ნაწილ დამეშალა და ტყეში მიმომებნია, რათა მისი ნაწილების მოგროვებაში მათგან დაკარგული დრო ჩემს სასარგებლოდ გამომეყენებინა.

გეგმის განხორციელებას შევუდექი. ნაბიჯი შევანელე თუ არა, იარაღიანმა თოფის ლულით მხარზე მიბიძგა. მე ძირს დავეცი, მარჯვენა მუხლზე ორივე ხელები წავივლე და საცოდავად მოვიკაკვე.

- შენ რა, ფეხი მოგტყდა? - მკითხა იარაღიანმა და ჩემსკენ დაიხარა. მე აღარ დამიყოვნებია, ქვემოდან ბეჭებში ხელი ჩავავლე ზურგზე დაწოლილი, ფეხები მუცელზე მივადე, ზემოთ ავიტაცე და დაბლა დავაგდე. ზეზე არც კი ავმდგარვარ, ისე დავახტი ზემოდან და ყბაში დარტყმით გონი დავაკარგინე. ხმაურზე ჩვენგან უკვე საკმაო მანძილით წინ წასული ახალგაზრდა შემობრუნდა და ჩვენსკენ გამოეჭანა.

- მე შენი დედა... - მომაძახა.

- შენი დედაც და შენი ჯიმიც! - ვუპასუხე და ერთმანეთს დავებეგრეთ. პირველი მან დამასწრო. ისე ძლიერად დამარტყა მარჯვენა თვალის არეში, რომ სიმწრისაგან სულ ნაპერწკლები მცვიოდა.

- მოგკლავ მე შენი! - შევძახე და ჩემს დასარტყმელად მოქნეული ხელი ჰაერში დავუჭირე, ტომარასავით ზურგზე გადავიტარე და ბეჭებით დავაგდე. როგორც მისი მეგობარი, ისიც ყბაში დარტყმით გავთიშე. მერე თოფს ხელი დავავლე და სოფლისკენ გავიქეცი. იქნებ ვინმეს გომურში შევძვრე და დაღამებამდე თივაში დავიმალო -მეთქი. სირბილისას თოფი

დავშალო და მისი ნაწილები მიმოფანტე.

არ მექნებოდა ნახევარი კილომეტრი გარბენილი, რომ ცენტრალური გზიდან მარცხნივ გადახვეული მანქანის კვალი და ამ კვალზე აღბეჭდილი ორიოდე ადამიანის ნაფეხური შევნიშნე.

- აქეთ ხომ არ აჯობებდა გაქცევა? ალბათ, აქ უფრო მივარდნილი სოფელი იქნება, - გავიფიქრე და მანქანის ბორბლის ნაკვალევში ჩავდექი. გავრბოდი თავგამეტებით. აღმართზე ასულმა პირველად მოვიხედე უკან, მღვერებს უკვე გადმოეხვიათ და კვალში ჩამდგომოდნენ.

- დამიჭერენ ეს ღმერთძაღვლები? - ჩავილაპარაკე და თავქუდმოგლეჯილი დავეშვი დაღმართზე.

ცივმა ჰაერმა ფილტვებში დამიარა და ყელშიაც დაღლილობისაგან ბურთივით რაღაც მომებჯინა.

- ნუთუ მაჯობებენ და დამეწვეიან ეს ძაღლისშვილები? - გავიმეორე ისევ.

- არავითარ შემთხვევაში! დაჭერა ჩემს დაღუპვას ნიშნავს.

შიშმა ძალა შემმატა. სოფელს გავხედე და როცა სახლებიდან ამომავალი კვამლი ვერ დავინახე, მივხვდი რომ არა სოფელი, არამედ ზამთრობით მიტოვებული აგარაკები იყო ჩემს წინ.

- აქ ხომ ადამიანი ვერც შეშას და ვერც საჭმელს ვერ იშოვის! თუმცა, ამას რას დავეძებ, გაუკვალავ თოვლზე დამჩნეული კვალი, როგორც კურდღელთან მეძებრებს, ისე მოიყვანს ჩემთან ამ უღმერთოებს. თოფი მაინც წამომეღო. შეცდომა დავუშვი. მაშინ ნამდვილად მექნებოდა გადარჩენის შანსი.

სააგარაკო სოფელში შესვლისას ერთხელ კიდევ მოვიხედე უკან. მღვერე ჩერ არ იყო გორაკზე ამოსული. მათ გამოჩენამდე უნდა მოვასწრო სადმე თავის შეფარება. ვფიქრობდი და ქოშინით მივიწვედი წინ. თითქმის შუა სოფელში მანქანის კვალმა ცენტრალური ქუჩიდან მარცხნივ გადაუხვია. ადამიანის ნაფეხურები კი პირდაპირ წავიდა. ძალიან კარგი. გავიფიქრე და მანქანის კვალში ჩავდექი, რომელმაც გზაჯვარედინზე ისევ მარცხნივ ჩაუხვია. გზაჯვარედინზე მისულმა იქვე ახლოს ერთ-ერთი ეზოს ჭიშკართან გაჩერებული „უაზი“ დავინახე. მასპინძელს ჭიშკარი გაეღო და აღარ დაეკეტა. მე დაუფიქრებლად შევ-

ვარდი ეზოში და კარზე დავაკაკუნე. კარი ორმოცდაათიოდე წლის ყაზახმა მამაკაცმა გაშილო.

- ძია, გთხოვ შენთან შემომიშვი და დამმალე! საცემრად მომდევნ!

- ვინ მოგდევს?

- ახლა ამის ახსნის დრო არ არის! ძალიან გთხოვთ, შემომიშვით!

- მეც რომ მცემონ? - თქვა მამაკაცმა და გაიღიმა.

- ხუმრობის დრო არ არის, თუ არ მიმიღებ დროზე მითხარი, სადმე სხვაგან შევაფარებ თავს.

- მოდი, - თქვა იმ წუთში ჩემთვის ყველაზე სანატრელი სიტყვა.

სახლში კი არ შევედი, შევევარდი. მასპინძელმა კარი ჩარაზა. მაგიდასთან დამსვა და მკითხა ვინ ვიყავი და რა მოხდა.

- აქაური არ ვარ ძია, სამხედრო სამსახურის შემდეგ დავრჩი აქ.

- აქ, ახლოს, სამხედრო ნაწილი რომ არ არის?

- რაიონულ ცენტრში ვცხოვრობ და ხორცკომბინატში ვმუშაობ. დღეს ტბაზე ჩამოვედი სათევზაოდ, აქ კი ბუნების დამცველებმა დამაპატიმრეს და მცემეს. ვერ მოვითმინე შეურაცხყოფა და ხელი შევუბრუნე, - ერთმანეთში ავურიე ტყუილმართალი.

- კავკასიელი ხარ?

- დიახ, კავკასიელი ვარ.

- ამაყი ხალხი ხართ კავკასიელები. ახლა ეს მითხარი, როგორ გიშველო?

- უნდა დამმალო, სადმე, როგორმე.

- გეშინია, კავკასიელი?

- მეშინია, ძია, ძალიან მეშინია.

- ნუ გეშინია, ახალგაზრდა, მათ რომც მოგაგნონ, აქ მაინც ვერ შემოვლენ, ამის უფლებას არ მივცემ.

- ძალით რომ შემოვიდნენ?

- ძალით? - თქვა და გაიცინა მასპინძელმა.

- ჰო, ძალით.



- შიში არ გქონდეს, მე სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი გახლავარ. ასე რომ, მშვიდად იყავი, ხვალ დილით მე თვითონ გაგიყვან აქედან.

ვაიმე, ეს რა თქვა, უშიშროების პოლკოვნიკო, ახლა კი მართლა დავიღუბე!

ერთხანს გარეთ გამოფარდნა და გაქცევა დავაპირე, მაგრამ ჩქარა მივხვდი, რომ ეს გამოსავალი არ იქნებოდა. არჩევანი ისევ გამოპარვაზე შევაჩერე.

კარზე კაკუნი გაისმა. მასპინძელმა თვალით მანიშნა მეორე ოთახში გადიო, თვითონ კი კარის გასაღებად გაემართა.

- თქვენთან უცხო ახალგაზრდა ხომ არ შემოსულა, - იკითხა მოსულმა ისე, რომ არც მისალმებია ჩემს მასპინძელს.

- რა თქვი, ახალგაზრდა?

- ჩვენ დამნაშავეს მოვდევთ. კვალმა თქვენთან მოგვიყვანა. იცოდე, ვერ მოგვატყუებ, სჯობს დროზე გადმოგვცეთ.

- როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდებო, მე, უშიშროების პოლკოვნიკი ქამალ უბაიდულოვი დამნაშავეს შევიფარებ?

- თქვენ ბრძანდებით ბატონი უბაიდულოვი?!

- დიახ, მე გახლავარ.

- გვაპატიე, პოლკოვნიკო!

- არა უშავს, ბიჭებო, ასეც ხდება -ხოლმე. მჯერა აუცილებლად იპოვით დამნაშავეს და სათანადოდ დასჯით კიდეც. ასე როგორ გაგიმეტათ იმ უღმერთომ.

- ვნახავთ და ერთი ათად მიუზღავთ. - ჩაიბურტყუნა ერთ-ერთმა მღევარმა.

- ეს რა გიქნია ამხელა ვერზილებისათვის, მოზამბიკელი ზანგებისათვის არ დაგიმსგავსებია, - გამეხუმრა მასპინძელი.

- არც მე უნდა ვიყო კარგ დღეში, ალბათ?

- შენც არა გიშავს, მაგრამ მათ ვერ შეედრები. მოდი, ბუხართან დაჯექი, ცივ ტილოს მოგიტან, თვალზე დაიდე, შელავათს მოგცემს.

მე უსიტყვოდ დავეთანხმე მასპინძელს. მან სველი ტილო მომიტანა, გადმომცა და მკითხა:

- არ გავიცნოთ, სტუმარო, ერთმანეთი?

- მე, მე ავთანდილი მქვია, ქუთაისიდან ვარ, - დამება ენა.
- ქართველი ხარ?
- ღიახ, ქართველი ვარ.
- მე, როგორც გაიგონე, ქამალ უბაიდულოვი ვარ, აქ დაბადებული და გაზრდილი, თითქმის გარუსებული ყაზახი.  
მასპინძლისავენ თვალი ქურდულად გავაპარე.
- ასეა, ასე, ჩემში წვეთი სისხლიც არაა რუსული, მაგრამ აღზრდა მაქვს რუსული.
- მერე და მაგაში რაა საამაყო? - წამომცდა უნებლიედ და ჩემი ნათქვამის გამო უხერხულობა ვიგრძენი.
- პირიქით, საამაყო კი არა სამარცხვინოა, მაგრამ რას ვიზამ.
- როცა აქ მიწაა მხოლოდ ყაზახური, სული კი უკვე დიდხანია რუსული ტრიალებს. თუმცა, ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ. ახლა კი ვისადილოთ.  
მასპინძელმა კარადა გახსნა, ორი ქილა თევზის კონსერვი, ერთი პური და ძეხვი გამოიღო. ყველაფერი ეს მაგიდაზე დაალაგა და ისევ კარადისავენ შებრუნდა.
- რუსული არაყი უნდა დაგაღვეინო, სტუმარო. მართალია თქვენებურ ჭაჭას არ ჰგავს, მაგრამ, იმედია, არ დამიწუნებ.
- არ ვსვამ, ძია.
- ნუ ინაზები, - გამეხუმრა მასპინძელი და ჭიქები აავსო.
- ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, ავთანდილ, - თქვა და გადაჰკრა.
- ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, - გავიმეორე მეც, ცოტა მოვსვი და ჭიქა მაგიდაზე დავდე.
- შენ რა?!
- ვერ დავლევ, სასმელი არასოდეს დამილევია.
- როგორც ვატყობ, რუსებს შორის დიდი ხანი არ არის რაც ცხოვრობ?
- არც ისე ცოტა ხანია.
- მაშინ რუსული ენა რატომ ვერ ისწავლე, სიტყვას სიტყვაზე ძლივს აბამ.
- ღიახ, ენების სწავლის ნიჭი არ მაქვს.

- ავთანდილ, შენ თქვი ხორცკომბინატში ვმუშაობო?..
- დიას, ხორცკომბინატში ვმუშაობ.
- და მერე სადაა ეგ ხორცკომბინატი ტერიტორიულად. მე, რამდენადაც ვიცი, ჩვენს რაიონში მსგავსი საწარმო არ არის.
- პოლკოვნიკის კითხვაზე პასუხს თავი ავარიდე, გაგზუმი.
- რამდენი წელია, რაც აქ ცხოვრობ?
- ოთხი.
- მერე და ოთხ წელიწადში ახალგაზრდა კაცმა ენა ვერ ისწავლე? - გაიკვირვა მასპინძელმა.
- არავისთან ვმეგობრობ და როგორ ვისწავლიდი?
- ახალგაზრდა კაცი ხარ და არავისთან მეგობრობ?
- ბუნებით ვარ ასეთი.
- და მაინც, როგორ მოხვდი ამ მივიწყებულ მხარეში?
- სამხედრო სამსახურის შემდეგ დავრჩი. ხომ გითხარით.
- სამხედრო სამსახურის შემდეგ.
- დიას!
- რომელ სამხედრო ნაწილში მსახურობდი? აქ მინიმუმ ასი კილომეტრის რადიუსის ფარგლებში სამხედრო ნაწილი არ არის.
- აქტიუბინსკში ვმსახურობდი.
- მერედა შე კაცო, ქალაქი დატოვე და აქ, ამ მივიწყებულ მხარეში წამოხვედი?
- დიდი მადლობა, ძია, მე უნდა წავიდე, - ისევ ავარიდე კითხვაზე პასუხის გაცემას თავი.
- სად უნდა წახვიდე, რალა დროს წასვლაა, ერთ საათში დალამდება.
- აუცილებლად უნდა წავიდე, დარჩენა არ შემიძლია.
- ვერ გაგიშვებ, სად უნდა იარო ამ ყინვიან ღამეში. ამაღამ აქ დარჩი. ხვალ მე თვითონ ჩაგიყვან რაიონის ცენტრამდე. შენ რომ ახლა გაგიშვა, არ ვიქნები საკუთარ სინდისთან მართალი. ასეთ რამეს მე არ დაფუძვებ.
- ჩათრევას ჩაყოლა ვარჩიე და მასპინძელს დარჩენაზე დავთანხმდი.
- მაშ, გაგიტბო ოთახი არა? - მკითხა ჩემი დარჩენით ნა-

სიამოვნებმა და მეორე ოთახში გავიდა ელექტროქურის ჩასართავად.

დაძინებამდე მასპინძელს ჩემთვის ერთი კითხვაც არ დაუსვამს, მხოლოდ საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე მელაპარაკებოდა. მიუხედავად მისი ასეთი ქცევისა, ჩემთვის აშკარა იყო, რომ მან რაღაც იეჭვა.

\* \* \*

შუალამისას ლოჯინიდან წამოვდექი, ჩუმი ტანთ ჩავიცვი, ფანჯარასთან მივედი და გაღება ვცადე. ის ორმაგი იყო. შიგა ფანჯარა თავისუფლად, უნძოდ გაიღო. გარეთა კი ჩაყინული აღმოჩნდა. თითქმის ნახევარ საათს ვწვავლობდი, მაგრამ გაღება ვერ შევძელი. გატეხვას ხმაურის გამო ვერ ვბედავდი. იმედ-დაკარგული მასპინძლის კართან მივედი და დავაყურადე. მას ღრმად ეძინა.

მის ოთახზე გავლით უნდა გავიპარო, სხვა გზა არ მაქვს.  
- გავიფიქრე და ნელა დავწვიე ოთახის კარის საკეტი.

კატასავით ჩუმიდ ვაფუარე გვერდი მძინარეს და ეზოში გასასვლელ კართან მივედი. ჩემდასაუბედუროდ ის ჩარახული დამხვდა.

- რა ვქნა, ახლა, მე? - გავიფიქრე და მზერა მძინარე მასპინძლისაკენ მივმართე. მან თითქოს რაღაც იგრძნო, ერთი ღრმად ამოისუნთქა და გვერდი იბრუნა. სუნთქვა შევწყვიტე და კედელს ავეკარი, ასე ვიყავი, სანამ ცაზე ბადრმა მთვარემ თავი შავი ღრუბლის ტყვეობიდან არ დაიხსნა, სხივები ოთახში შემოაპარა და ჩემი მასპინძლის თავთან, სკამზე მიმოფანტა. სკამზე გასაღებების ასხმულა და იარაღი შევნიშნე.

- ჩემი მასპინძელი ან მეტისმეტად მიმნდობია, ანდა დაუღე-ვარი, - გავიფიქრე.

- უნდა მოიპარო, ავთო, იარაღიც უნდა მოიპარო და გას-აღებიც, შენ სხვანაირად აქედან თავს ვერ დააღწევ, - მიკარ-ნახა ჩემმა გონებამ.

ბევრი აღარ მიფიქრია, მძინარესთან მივიპარე, ჩუმიდ ავიღე ერთიც და მეორეც და ისევ დავბრუნდი ეზოში გასასვლელ

კართან. გასაღების მოძებნა ვცადე. ერთი, ორი, სამი, არც ერთი არ მოერგო.

- ღმერთო ჩემო, ეს რა ღვთის რისხვაა, რამდენი გასაღები აუხსამს ამ რგოლზე, - გავიფიქრე და ის იყო ახალი გასაღების ძებნას შევუდექი, რომ ჩემი მასპინძლის ხმა გავიგონე.

- ავთანდილ, რა ხდება?

- არ წამოდგე თორემ გესვრი! - იყო ჩემი პასუხი.

- რატომ უნდა მესროლო, მე ხომ არაფერი დამიშავებია.

- თქვენ ყველამ დამიშავეთ! ამქვეყნად ყველა მძულხართ და მეზიზღებით, განსაკუთრებით შენისთანა იმპერიის ნაყოფი და მსახური, - ვუპასუხე ნახევრად მძინარეს.

- ავთანდილ, სისულელე არ ჩაიღინო, ბიჭო! - ბოლო სიტყვა ქართულად თქვა ქამალმა და წამოდგა.

- ფეხი არ გადმოდგა, თორემ გესვრი!

- შენ ის არ ჩანხარ, ვინც უდანაშაულო ადამიანს ასე იოლად გაიმეტებს. დამიჯერე, შვილო, თუ მენდობი ჩემი მხრიდან არაფერი დაგიშავდება. მე ვიცი, შენ რომ დამნაშავე ხარ. ისიც ვიცი, ყველაფერი ტყუილი რომ მითხარი შენს შესახებ, - მითხრა მან და ნაბიჯი გადმოდგა.

- შეჩერდი, თორემ გესვრი! - გავუძეოლე ისევ.

- დაუშვი იარაღი. კაცურ სიტყვას გაძღვე, არ გიღალატებ. მხოლოდ იცოდე, არც შენ მიღალატო, ბიჭო!

მე მასპინძელს მზერა მოვარიდე, იარაღი დაუშვი. ფანჯარაში გავიხედე, ცას შევავლე თვალი.

- მომეცი იარაღი, შვილო. შენ კაცის მოკვლა არ შეგიძლია!

- მე უხმოდ მივაწოდე იარაღი და ისევ ფანჯარაში გავიხედე, სადაც მთვარეს თავი დაეხსნა შავბნელი ღრუბლიდან და გაბადრულოყო.

- დაჯექი და მითხარი რა გიჭირს?

- სიყვარულისათვის ვისჯები, ძია. სხვა დანაშაული არც ღმერთთან და არც ადამიანთან არ მაქვს.

- მაინც არ იტყვი რისთვის ისჯები?

- სამშობლოს სიყვარულისათვის ვისჯები.

- მაგისათვის ვინ დაგსჯის!

- მე უკვე დამსაჯეს.
- შენ, ასე ახალგაზრდა, იმპერიას ებრძვი და იმ მასშტაბით, რომ შენით დაინტერესდნენ?!
- დაინტერესდნენ, დაინტერესდნენ! სიყვარულისათვის დამსაჯეს და სიბოლოვილი მასწავლეს. მე იმპერიის ყველა მსახური და ნაყოფი მძულს, მათ შორის შენც, დიას შენც, შე ცნობიერებადაკარგული!
- რატომ ვარ მე ცნობიერებადაკარგული?
- როგორ თუ რატომ?! შენ თვითონ არ ბრძანე ყაზახი ვარ, მაგრამ ყაზახური არ გამეგებაო. სული რუსული მაქვსო?!
- შენ მართალი ხარ. დიდად ვიამაყებ, თუ როგორმე დაგეხმარები.
- მე შენგან დახმარებას არ მივიღებ.
- რატომ?
- შენ მას ემსახურები, ვინც მე მძულს.
- მინდა მამაშვილურად დაგეხმარო, გთხოვ, ნუ მეტყვი უარს და ნუ გაჭიუტდები.
- როგორ უნდა დამეხმარო, ჩემით რომ რამე გაგიფუჭდეს, მთელი ცხოვრება დამტანჯავს სინდისის ქენჯნა.
- ავთანდილ, ეს ზამთარი აქ გაატარე, მე ყოველ კვირას მოგაკითხავ და სურსათს მოგიტან. სიცივე არ შეგაწუხებს, ორი ელექტროქურა გექნება. იყავი აქ გაზაფხულამდე, მერე სადაც გინდა, იქ წადი. აქედან წასვლა შენს დალუბვას ნიშნავს. მე ამას ვერ დავუშვებ. ძალიან კარგი ბიჭი ხარ. შენ იმის თქმა გაბედე, რომელსაც მე ვერასოდეს გავბედავდი. შენი ტკივილი მეტკინა, შვილო, მადლობელი ვარ ამისათვის.

\* \* \*

2007 წლის 22 დეკემბერი იღვა.

ჭიშკართან ელენგატურად ჩაცმული მამაკაცი მივიდა ხელბარგით. ის ერთი წუთით შეჩერდა, ხელბარგი გაყინულ თოვლზე დადო და ჭიშკარზე დამაგრებულ ელექტროლილას თითი დააჭირა. არ გასულა ერთი წუთიც, რომ ეზოს ჭიშკარი გაიღო და მასავით ჭარმაგი ყაზახი ხელგაშლილი გამოვარდა.

- ავთო, ძმაო, როგორ შეძელი აქ ჩამოსვლა?
  - შევეძელი, მე უფლება არ მქონდა არჩამოსვლისა, ძია ქამალი, როგორაა?
  - მამა ლოგინადაა. ხშირად გახსენებს -ხოლმე.
  - ჩემი ჩამოსვლის შესახებ იცის?
  - არა, არ გვითქვამს, ასე ვარჩიეთ.
- მოსულს აღარაფერი უკითხავს. ის ჩუმად გაჰყვა მასპინძელს ოთახისაკენ, სადაც ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული მისი მეგობარი იწვა.

# ჩემი მეგობარი ჩოკანი

- ნახვამდის, ჩოკან!  
- არ იშლი წასვლას, ნოდარ?  
- ვეღარ დავრჩები. გასულ ზამთარს მამაშენს რომ არ შევეკედლებინე სიცივე, შიმშილი ან მგლები მომიღებდნენ ბოლოს.

- მეგობარო, არ გეგონოს სხვაგან უკეთესი იყოს, ამ მივიწყებულ მხარეში ყველგან ცუდია ცხოვრება. მაინც, სად აპირებ წასვლას?

- დასავლეთით ვაპირებ, კომსომოლსკში.  
- შენც დაგიპირებია, რა!  
- რატომ ამბობ ასე, რითაა კომსომოლსკი ცუდი?  
- კომსომოლსკი ერთი მჭიდროდ დასახლებული სოფელია და მეტი არაფერი. იქ თავშესაფრის შოვნა გაგიჭირდება, ერთი პატარა ქარხანა აქვთ და ეგაა მათი ავლაღილება.

- შენ სად მირჩევ?  
- მე თუ მკითხავ, აქ სჯობს შენი დარჩენა. გაქვს თავშესაფარი, უფასო ელექტროენერჯია და ჩვენც აქ ვართ. რომ გაგიჭირდეს თამამად დაგვიკაკუნებ კარზე. ცოტას არ ნიშნავს ეს შენისთანა კაცისთვის. გთხოვ დარჩე. ერთ თვეში კარტოფილისა და კომბოსტოს მოსავლის აღება დაიწყება. ისევ დაგასაქმებს ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

- მართლაც რომ, კეთილშობილი კაცია თქვენი თავმჯდომარე, ხორბლის მოსავლის აღებასა და დაბინავებაში სამასი მანეთი გადამიხადა. ამდენი ფული მე არასოდეს არ მქონია. წავალ, იქნებ კი ვიშოვო სადმე ზამთრისათვის თბილი ბინა და სამსახური. თუ ვერ ვიშოვი უკან დავბრუნდები. მე სხვა გზა არც მაქვს.

საუბარი ზედ ჰორიზონტის ხაზზე გამოჩენილმა კვამლმა შეგვაწყვეტინა.

- მატარებელი მოდის, - თქვა ჩოკანმა და შლაგბაუმის ძელების დაწევა დაიწყო.



- რატომ სწევ დაბლა ძელებს? უკვე ორი საათია ტრანსპორტის გამორჩენას ველოდები და არ გამორჩენილა, რაღა მაინც-დამაინც ახლა გამორჩდება.

- წესია და კანონი, როდესაც რკინიგზაზე შემადგენლობა გვიახლოვდება შლაგბაუმი უნდა დაიკეტოს. წესსა და კანონს პატივი უნდა ვცეთ ყველამ, მათ შორის შენც, - გამეხუმრა მეგობარი.

- მე ყველა წესსა და კანონს ვერ დავემორჩილები.

- რატომ?

- იმიტომ, რომ, როგორც სხვა ყველაფერი, ისინიც ცვალებადნი არიან, ამასთან ერთად იქნებ მე შემწვევს უნარი სხვებზე ადრე დავინახო მათი შეცვლის აუცილებლობა. ჰოდა, სწორედაც ვერ ჩავთვლი თავს ვალდებულად იმას ვუცადო, სხვები როდის დაინახავენ და შეცვლიან ამა თუ იმ კანონს.

- ნოდარ, ახლა კი მივხვდი რაც ყოფილა მიზეზი შენი აღმა-დაღმა დევრიშვით ხეტიალისა, - გამეხუმრა ისევ მეგობარი და მადიანად გადაინახარა.

გაგვცდა თუ არა შემადგენლობა, გზის მეორე მხარეს ეტლიანი მოტოციკლი გამოჩნდა ორი მგზავრით.

- ჩოკან, ვთხოვოთ იქნებ შემომისვან და ფეხით სავალი შემომოკლონ.

- ვთხოვოთ, მაგრამ არ მგონია შენთვის თავი შეიწუხონ, ვერ ხედავ, რუსები არიან.

- მერე რა, რუსები რომ არიან?

მეგობარმა ხელი ისე ჩაიქნია ჩემთვის არც კი შემოუხედავს.

- ჰეი, შენ, ყრუ, დროულად გახსენი შლაგბაუმი! - უთხრეს ხმამაღლა ჩოკანს მოსულებმა.

მათ შენიშვნაზე ჩემს მეგობარს არაფერი უპასუხია, მშვიდად გააგრძელა თავისი საქმე. მორჩა თუ არა ძელების აწევას, ბიჭებს სთხოვა ხომ ვერ გაიყოლებთ ჩემს სტუმარსო.

- შენ რა შეიშალე, გვერდში როგორ მოვისვა ეს აყროლებული ტაჯიკი! - იყო პასუხი.

- ეს ტაჯიკი არ არის, ქართველია.

- მერედა რითაა უკეთესი ეს შავი ტ... კი აყროლებულ

ტაჯიკზე?

- ბიჭებო, რა საჭიროა თქვენი ტოლი ბიჭის ასე შეურაცხყოფა?

- შენ რა, იცავ?

- ამას ჩემი ღაცვა არ სჭირდება. უბრალოდ რუსული არ იცის ძმასთანაა სტუმრად ჩამოსული და თქვენი ნათქვამი ვერ გაიგო თორემ... - იცრუა ჩემმა მეგობარმა.

- გაიგოს თუ არა ფეხები არ მოგვაჭამოს.

- ჩოკან, ესენი უნდა ვცემო. - ვუთხარი ყაზახურად მეგობარს.

- არ გინდა ნოდარ, სანადიროდ მიდიან, თოფი ექნებათ. აქაური რუსები გათავებულნი არიან, რაიმეს არ გადაგეყაროთ.

- შენ საქმეში არ ჩაერიო, დანარჩენი მე ვიცი. ხომ გესმის, ძმობას გაფიცებ თუ ჩაერიო.

- ამ ტ...კმა ყაზახური იცის? მე ამის ღედა... - თქვა დაკუნთულ-გარუჯულმა ახალგაზრდამ და ჩემსკენ წამოვიდა.

- ნაბიჭვარო, მე შენ ღედას არ შეგაგინებ, არავითარი სურვილი არ მაქვს ამქვეყნად კიდევ ერთი შენისთანა ნაბიჭვარის მოვლენა ჩემი დამსახურება იყოს, - ვუთხარი სუფთა რუსულით.

- აკი არ იცისო?!

- პირველად ვხედავ, მეგონა რომ არ იცოდა. ჩემთან მხოლოდ ყაზახურად წაიბლუყუნა რამდენიმე სიტყვა, - თავი იმართლა ჩემმა მეგობარმა.

- არ იცის და ვასწავლი, რუსულსაც ვასწავლი და იტალიურსაც - თქვა და ისე ძლიერად მომიქნია მარჯვენა, რომ თავს წამაგლეჯდა მოხვედრის შემთხვევაში. მე მისი ხელი ავიცდინე და მთელი ძალით ჩავარტყი მარჯვნივ, ილლიის ქვემოთ ნერვების დაბოლოების წერტილში. ის სუნთქვაშეკრული გაგორდა. მეორეს შემოტევა ვეღარ მოვიგერიე, მან ისე ძლიერად ჩამარტყა კეფაში, რომ ჩემი თვალებიდან ციციანათელებმა იწყეს გაფრენა. მართალია დავბარბაცდი, მაგრამ არც წავექცეულვარ და არც აზროვნება დამიკარგავს, შემობრუნება მოვახერხე,

მომხედური კისრულზე წამოვიღე და თავით დავასვე მიწაზე.

- ნოდარ, თავს უშველე, ესენი ამათი მეგობრები არიან! ხუთთან ორს ვაგვიჭირდება გამკლავება.

ლიანდაგზე ეტლიანი მოტოციკლი გადმოვიდა და ხუთიოდე მეტრში გაჩერდა. გაჩერებისთანავე იქიდან სამი ახალგაზრდა გადმოხტა და ჩემსკენ გამოექანა.

- გაიქეცი! თავს უშველე! ჩემი ცხენით წადი! სტეპში აღმოსავლეთით გაიქეცი! იქ სტეები დახრამულია, ვერ დაგეწევინ!

მოტოციკლის საბარგულში თოფი შევნიშნე. იარაღს დავწვდი, ავიტაცე და რამდენიმე ნახტომით ჩოკანის ფაშატთან გაეჩნდი, ხელი ფაფარში ჩავავლე და უნაგირახსნილს ზურგზე მოვევლე.

ბრტყელ სტეპზე მიმაქროლებდა მეგობრის ფაშატი, რომელსაც ცალი ხელით ფაფარში ჩავფრენოდი, მეორე ხელში კი თოფი მეჭირა და არ ვიცოდი შიგ ვაზნები იყო თუ არა. მივქროდი და ვნატრობდი, თუნდაც ერთ ხრამს, სადაც ცხენი გავიდოდა და ვერ გადავიდოდა მოტოციკლეტი. არ ვიცი რამდენი ვირბინე, მაგრამ არა და არ გამოჩნდა დახრამული რელიეფი.

დაღლილი ცხენის სუნთქვის ხმა შამფურივით მესობოდა ყურებში. უკან მოვიხედე, მოტოციკლისტა ორივე „ეკიპაჟი“ თითქმის გვერდიგვერდ მოჰქროდა. ორ-სამ წუთში, თუ ბუნებრივმა დაბრკოლებამ არ შეაფერხათ, აუცილებლად დამეწევინ და მერე იქნება ჩემი ცემა-ტყემა თუ იქნება! სიკვდილის პირას მიმიყვანენ ეს არაკაცები.

თითქოს ღმერთმა მისმინა, მოულოდნელად ჩემს წინ ნანატრი ხრამი გამოჩნდა, ცხენი წამიერად შევაყენე და ნელი სვლით ვცადე შიგ ჩასვლა. პირუტყვმაც არნახული გონიერება გამოიჩინა, ადამიანივით შეარჩია ჩასვლის მეთოდი. მერე ერთიანად მოიკრიბა ძალა და ხრამის ფერდობზე რამდენიმე ნახტომით ამიყვანა.

უკან მოვიხედე. ზედ ხრამის პირას, რაღაც ათიოდე მეტრი თუ მაშორებდა მდევართაგან.

- ესროლე, ვასია! - უთხრა მოტოციკლის მესაჭემ ეტლში

მჯდომ ახალგაზრდას.

გავიფიქრე, ამათ ჭკუა, მაინცდამაინც, არ მოეკითხებათ -მეთქი. გულწრფელი რომ ვიყო, მართლაც, შემეშინდა. ცხენს ისევ შევეუძახე და სტეპში გავევარდი. მოულოდნელად უცნაური ხმა შემომესმა, მახსოვს ცხენის თავს როგორ გადავევლე ძირს დავეცი და გონი დაგვარგე.

\* \* \*

გონს ღამით მოვეგე. წამოჯდომა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. მთელი სხეული მტკიოდა, საკუთარი სისხლის სუნი მცემდა ტანსაცმიდან. ჯერ ხელები ავწიე და დავატრიალე, მერე ფეხები. არც ერთი კიდური მოტეხილი არ აღმომაჩნდა და ღმერთს მადლობა შევწირე. გახარებულმა ისევ ვცადე წამოჯდომა. ვცადე და შევეძელი კიდევ. ცხენი გამახსენდა. თუ ამაღამ სტეპში დარჩა საეჭვოა ნადირს გადაურჩეს -მეთქი გავიფიქრე და პირუტყვი შემეცოდა.

- ფრუ... ფრუ - მომესმა ყურთან და მარჯვენა ბეჭიც გამითბა. თავს ფაშატი მადგა.

- არ მიმატოვე გასაჭირში? - ვკითხე პირუტყვის ისე, როგორც აღამიანს, - მან პასუხად ერთი კიდევ დაიფრუტუნა და ღრუნნი მხარზე დამადო. ცხენის ახლოს ყოფნამ ძალა შემმატა. ფეხზე დადგომა ვცადე და დავდექი კიდევ. ფაშატისაკენ შევბრუნდი, ხელები კისერზე მოვხვიე და მოვეფერე. მაშინ პირველად შევიგრძენი სულიერის ფასი.

სისუსტე ვიგრძენი, დაჯდომამდე ერთხელ კიდევ მოვაგლე თვალი ირგვლივ ბნელ სამყაროს. ოჰ ღმერთო ჩემო! ჩემგან მარცხნივ, ათიოდე მეტრში მანათობელი წერტილები შევნიშნე.

- ნადირი! ალბათ ჩემი სისხლის სუნი ეცათ და დაიგეშნენ. სულ ოთხი წერტილი მოძრაობს და წყვილ-წყვილად, ალბათ ორნი არიან. აქ მგელზე საშიში ცხოველი არ არსებობს. ორი მგელი ვერასოდეს გაბედავს აღამიანზე თავდასხმას, მითუმეტეს ორი სულიერი ვართ, მე და ფაშატი. მთავარია ეხლა ცხენს არ შეეშინდეს და არ გაიქცეს. თუ გაიქცა, აუცილებლად დაგლეჯენ და მეც მარტო დავრჩები. გავიფიქრე და ფაშატს ისევ

მოვეფერე. ყურში ჩავჭურჩულე, ნუ გეშინია –მეთქი.

მანათობელი წერტილები ერთ ადგილას გაქვავდნენ. თოფი გამახსენდა, სიბნელეში მიწაზე ხელების ფათური დავიწყე ეგა-ბა ვიპოვო –მეთქი. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ ვიპოვე. ნუთუ ის არაკაცები მოვიდნენ, გონდაკარგულს მცემეს და თოფიც წაიღეს? როგორ გამიმეტეს ასე?! გავიფიქრე და მანათობელი წერტილებისაკენ გავიხედე. ისინი უძრავად იყვნენ.

მე, დავრდომილი სად უნდა გავექცე ეხლა ამათ. ხვალ დილამდე თუ წყალი ვერ ვიშოვე სიცხიანმა, ალბათ, საეჭვო გახდება ზეგ დილით მზის ამოსვლის ხილვა. მერე კი დარჩებათ მაგათ ბურთი და მოედანი. გავიფიქრე და ისეთი ძალით დავძახე გაეთრიეთ აქედან –მეთქი, რომ ლამის ფილტვები დამისკდა. ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს, არ ვიცი დილამდე გონდაკარგული ვიყავი თუ მეძინა. როცა გამოვიღვიძე, თუ გონზე მოვეგე, მზე უკვე ამოწვერილი იყო ჰორიზონტზე, ცა და მინდორი ერთიანად აგალობებულოყო ფრინველთაგან. ჩემგან ერთ–ორ მეტრში ულახუ იწვა. ის ისეთი სევდიანი თვალებით მიცქერდა, რომ გული შემეკუმშა, თავი დამნაშავედ ჩავთვალე მის წინაშე.

– რა ვქნა თუ ვერ მოვითმინე შეურაცხყოფა? – როგორც ადამიანის წინაშე, ისე მოვიბოდიშე ცხენის წინაშეც. ნუ გეშინია მეგობარო, ალბათ, განწირულნი არ ვიყავით, თორემ დაგვეწეოდნენ. რადგან ერთხელ გვიმველა ღმერთმა, მეორეთაც მოგვხედავს.

ისევ თოფი გამახსენდა. პირუტყვთან საუბარს თავი ვანებე და მას დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერ ვიპოვე. რის გამოც, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იმ არაკაცებმა გონდაკარგულს მართლა მცემეს, თოფი კი წაიღეს. ცხენთან დავბრუნდი.

– შენ რალა მოგივიდა მეგობარო, ვის გაუგონია შენისთანა ბედაურის მხარ–თეძოზე წამოწოლა, შე ზარმაცო, შენა! პირუტყვი არ განძრეულა, მხოლოდ სევდიანად შემომხედა. მისმა გამოხედვამ დამაეჭვა. მასთან მისვლა და მოფერება გადავწყვიტე. ახლოს მისული საშინელი სურათის მნახველი გაგხდი. ცხენს მარჯვენა წინა ფეხის წვივი გადამსხვრეული ჰქონდა.

ძვალს ტყავი გაეხია და თეთრად მოჩანდა.

- ოჰ ღმერთო, ეს რა საშინელება მოჰყოლია ჩემს წინდაუბე-  
დავ ქმედებას. ღმერთო, შემინდე ამ საცოდავისთვის მიყენებ-  
ული უბედურების გამო. როგორ შევხვდე ჩოკანს, რა ვუთხრა,  
ანდა როგორ დავაღწიო თავი ამ უკიდევანო სტეპს ცხენის  
გარეშე. ამერია ათასი კითხვა გონებაში. ცხენს ყურებთან ხელი  
მოვუსვი:

- ნუ გეშინია მეგობარო, მე შენ არ მიგატოვებ. ახლა  
კი მაპატიე წყალი და საჭმელი უნდა გიშოვო, - ვუთხარი  
პირუტყვს და სტეპს გავხედე. ჩემგან ჩრდილოეთით რალაც  
მოძრაობა შევნიშნე.

ნუთუ ცხვარ-მეცხვარეა! ხმამალა შევძახე გახარებულმა და  
მათკენ გავემართე მისუსტებული. თითქმის კილომეტრის და-  
შორებით შემნიშნეს ძაღლებმა და ყვევით ჩემსკენ გამოიქცნენ.  
მე არ გავქცეულვარ, ან სად მქონდა გაქცევის თავი. მიწაზე  
დავჯექი და ასე დაველოდე განაჩენს. თვალუბრაზე ველოდი  
სიტუაციის განვითარებას. მოულოდნელად შეწყდა ძაღლების  
ყეფა. თვალი გავახილე და რას ვხედავ, - თორმეტამდე მეცხვა-  
რის ნაგაზი ჩემს ირგვლივ დასკუბულან და განაბულან. ნეტავ  
რას ნიშნავს ამათი ასეთი ქმედება? - გავიფიქრე და წამოდგომა  
დავაპირე. წამოდგომა ასე არ უნდაო, ყველას ერთად აენტო  
თვალები ველური სხივით. მივხვდი ისევ უნდა დავმჯდარიყავი  
და დავჯექი კიდევ. მეცხვარეებმა ერთმანეთს გადასძახ-გადმო-  
სძახეს, მერე ერთი მათგანი ჩემსკენ გამოემართა.

- ასალამ-ალეიქუმ! - მომესალმა მოსვლისთანავე ახალგაზ-  
რდა მეცხვარე.

- ალეიქუმ-ასალამ! - ვუპასუხე მეც.

- ვინ ხარ და სად მიდიხარ, მეგობარო? აქ უცხოს იშვია-  
თად შევხვედრივარ.

მე ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე ახალგაზრდა მწყემსს  
და ისიც ვუთხარი, რომ ჩემმა ცხენმა წვივში ფეხი გადაიძსხ-  
ვრია. მე წყალი და ცოტაოდენი საჭმელი ვთხოვე, თან მოვუ-  
ბოდიშე, ცხენს ვერ დავტოვებ მგლები დაგლუჯენ -მეთქი.

- შენს ცხენს აღარაფერი ეშველება, უნდა დაიკლას.

- რატომ, რატომ არაფერი არ ეშველება?! - კკითხე შეშფოთებულმა.

- ცხენის ფეხის მოტეხილი ძვალი აღარ ხორცდება. ასე რომ, მოგიწევს მანქანის მოყვანა და მისი სახორცედ ჩაბარება.

ამის გამგონე ძალიან შევწუხდი, რაც ახანს არ გამოპარვია. (ახან. ასე გამაცნო თავი ახალგაზრდა მწყემსმა.) ახლა კი ჩვენთან წამობრძანდი ერთად ვისადილოთ. შენს ცხენს არაფერი მოუვა შენს დაბრუნებამდე. მიმიპატიჟა მწყემსმა. მეც უხმოდ გავყევი მასპინძელს.

- აქ საიდან გაჩნდი, ეს უცხოელი კაცი, ამ მივიწყებულ მხარეში? - მკითხა მეცხვარეთა ბრიგადირმა.

- რატომ მივიწყებულ მხარეში, რკინიგზაზე გადასასვლელიდან აქამდე მოსვლას სულ რაღაც ნახევარი საათი მოვანდომე.

- მოგიკლავს ცხენი, ბიძია.

- რატომ?

- აქამდე იმ გადასასვლელიდან მინიმუმ ოცდაათი-ოცდათხუთმეტი კილომეტრი მაინც იქნება.

- შენ რომ მოგდეგდეს ხუთი გადარეული რუსი მოსაკლავად მოტოციკლეტით, არ მითხრა ეხლა ძია სუიუმბაი, რომ შენც ვერ გაირბენდი ამ მანძილს ნახევარ საათში ცხენით, - გაეხუმრა ახანი ბრიგადირს.

- ახან, ახლა შენ ჩემს შესაძლებლობებზე საუბარს თავი ანებე და სტუმარს მიმიხედე, შენი ტოლი ბიჭია, - შენიშვნა მისცა ბრიგადირმა ახალგაზრდას.

ბალახზე სახელდახელოდ გაშალეს მწყემსებმა პურ-მარილი. პურის, საუზმის, ყველისა და მშრალად მოხარშული ცხვრის ხორცის დანახვამ ჩემში მიძინებული შიმშილი გამოაღვიძა. მას შემდეგ დღემდე სად და როგორ პურ-მარილს არ შევსწრებოვარ, მაგრამ ისე გემრიელად, ისე მაღიანად არასოდეს არ მიჭამია.

- რას აპირებ, ქართველო? - მკითხა სუიუმბაიმ სადილის შემდეგ.

- ცხენის პატრონს უნდა დაველოდო, ჩემს მეგობარს. ვფიქრობ დღეს თუ არა ხვალ მაინც მიპაოვის.

- ახან, ჩაუწყე სტუმარს ბაღეში საჭმელ-სასმელი. ვინ იცის როდის იპოვის ამ უკიდევანო ტრამალზე მეგობარს, - დაავალა ბრიგადირმა ახალგაზრდა მეცხვარეს.

- ძია სუიუმბაი, იქნებ ცოტაოდენი წყალიც მომცეთ ცხენისათვის, - ვთხოვე ბრიგადირს.

- ცხენს ცოტაოდენი წყალი არ ეყოფა, დღეში მინიმუმ ოცი-ოცდაათი ლიტრა მაინც უნდა დალიოს. ახან, მიეცი მეგობარს ოცლიტრიანი წყლით სავსე.

- ოცლიტრიანიდან წყალს ცხენი რომ ვერ დაღევს?

- ტაშტიც გაატანე. პური, ყველი, ხორცი, საუზმეც არ დაგავიწყდეს ბლომად ჩაუღაგე.

- ახლავე, ძია სუიუმბაი.

მეცხვარეებს მადლობა გადავუხადე და ცხენისაკენ გავემართე.

- ნოღარ, თუ შენს მეგობარს დაავიანდება, იცოდე ჩვენგან დასავლეთით, დაახლოებით ოთხ კილომეტრში, მტკნარი ტბაა, მისი წყლის დაღევა შეიძლება, - დამაწია ხმა ბრიგადირმა.

უკან დაბრუნებულს ცხენმა ისე შემომხედა, თითქოს მელოდაო. დაწოლილს ტაშტი წინ დავუდგი და წყლით ავუფსე. მან სულმოუთქმელად შესვა ოცი ლიტრა წყალი. ცხოველს თვალებში სიცოცხლე ჩაუღდა.

- ნუ გეშინია! - ვუთხარი და თვალი მოვარიდე ცხენს. შემრცხვა, რადგან უსინდისოდ ვტყუოდი.

\* \* \*

უკვე მესამე დღია გათენდა, რაც ძეხორციელი თვალით არ მინახავს. მხოლოდ მგლები მაკითხავენ ლამღამობით, დილით ისინიც უკვალოდ ქრებიან. კიდევ კარგი, რომ დღისით ისინი სტეპში არ დაწანწალებენ, თორემ მე და ცხენს აქამდე წყურვილი დაგვანჩობდა. ჩოკანიც რომ აღარ გამოჩნდა! ალბათ აქეთ არ გვეძებს, თორემ უკვე მეოთხე დღეა და როგორ ვერ გვიპოვიდა. შეიძლება იმ არაკაცებმაც უამბეს, რაც მე და ცხენს დაგვემართა. ჩოკანი კი ის ბიჭი არ არის, მათთვის ასეთი რამ ეპატიებინა. მერე კი ვინ იცის რა მოხდა. მე მგონი ასე უნდა იყოს. მას რომ რაღაც უბედურება არ სჭირდეს აქამდე



აუცილებლად გვიბოვიდა. დღეს ყველიც გამითავდება, ხვალიდან შიმშილი მომიწევს, - გავიფიქრე და ცხენთან მივედი, მის ფეხს დავხედე ბუზებით დაფარულს, რომელსაც საშინელი სუნი ასდიოდა. ნანახმა შემზარა. უკან გამოვბრუნდი, ბალონს ხელი დავტაცე და აჩქარებული ნაბიჯით ვცადე უბედურების ადგილის დატოვება.

დავბრუნდი თუ არა ტბიდან ცხენს იარა მოვბანე, მერე ჩემი პერანგი დავხიე და ჭრილობა შევუხვიე. დარჩენილი წყალი დავალევი და ისევ ტბისკენ გავწიე ახლის მოსატანად. უკან დაბრუნებულს ჩემდა გასაკვირად ფაშატი ფეხზე დამდგარი დამხვდა.

- ვითომ მოხდება სასწაული? - ვკითხე საკუთარ თავს და გახარებული ბალონის შესაგროვებლად გავიქეცი ხრამისაკენ. ამის მეტი განსაკუთრებული იმ დღეს არაფერი მომხდარა.

\* \* \*

შუალამისას ცხენს მოუსვენრობა დაეტყო. მიძიმედ სუნთქავდა, ხანდახან დაიხვიხვინებდა -ხოლმე. ნეტავ რა ხდება, თუ ნადირი იგეშა, ასე მაინც არ იზამდა. ეს ნადირის გამო არ უნდა ხდებოდეს, ალბათ, რაღაც უჭირს. ასანთის ერთი ღერიც რომ აღარ გამაჩნია, გამხმარ ბალონს ავანთებდი და რამეს მაინც დავინახავდი, - წავიწუწუნე მე.

თითქმის ერთსაათიანი ბორჯვა-კენესის შემდეგ ცხენი დამშვიდდა და რამდენიმე წუთში ფეხზე წამოდგა, შებრუნდა და რაღაცას დაუწყო ყნოსვა მიწაზე.

- რა უჩვეულოდ იქცევა?! - გავიფიქრე და ინტერესით დავაცქერდი იმ ადგილს, სადაც ცხოველი ყნოსავდა. სიბნელეში რაღაც სულიერი არსება აღვიქვი.

- ნუთუ კვიცი გააჩინა?! - გავიფიქრე და ცხენისკენ წავედი. მის ახლოს კვიცი შევნიშნე. არ გასულა ოცი წუთიც რომ ჩვენს ირგვლივ ათეულობით ნადირთა თვალები აინთო.

- კვიცი არ წამართვან ამ უღმერთოებმა! ასანთი მაინც მქონდეს, ცეცხლს დავანთებდი და ასე შევაშინებდი. რა ვქნა ახლა მე? - ავწუწუნდი ისევ. მე ძაღლივით დავიწყე ყფვა და

ნადირთ გამოფუდექი. ჩემმა ხმამ ეტყობა შეაშინა ისინი და ერთხანს სტეპში გაიფანტნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოგროვდნენ ჩვენს ირგვლივ.

- არ მციოდებით ხომ? - შევძახე და ისევ დავედევნე. ნადირი დაფრთხა და გაიქცა. მე სიცილი ამიტყდა. რანი ვართ ჩვენ ადამიანები ასეთნი, რომ ყველაფერს ეშინია ჩვენი და ჩვენ ყოველივე ჩვენზე ძლიერისა, მათ შორის ერთმანეთისაც.

ინათა თუ არა ჩემს წინ პატარა კვიცი გამოჩნდა, ლამაზი და მზიარული, მსგავსი საკუთარი დედისა. მე მისი მოფერება მომიხდა და შუბლი შუბლზე მივადე. ამის მნახველმა ფაშატმა იჭვინულად გადმოხედა. მის თვალბში სევდა გამქრალიყო და მშობლის ეჭვი და შიში ჩასახლებულიყო. მე ის შემეცოდა, მიველ და მოვეფერე. ამის შემდეგ მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მინდორზე.

როგორც იქნა მზის გავარვარებული დისკოც გამოჩნდა აღმოსავლეთით. წყლის ბალონს ხელი დავტაცე და ტბაზე გავიქეცი. წყლის ავსებისას ჩემს წინ ღუმიანი კიბო შევნიშნე. უკნიდან წამოგეპარე და ხელი ვტაცე. ძალიან გამეხარდა ღმერთმა რომ საუბმე მიწყალობა, მართალია უმი, მაგრამ მაინც საუბმე.

- ალბათ ტბაში ბევრი იქნება კიბო. ახლა მთავარია როგორ დავიჭირო ისინი. ტბის თავთხელში შევედი და კიდევ ორი კიბო დავიჭირე.

უკან დაბრუნებულმა ცხენს „ვახარე“ რომ შიმშილის შიში აღარ მქონდა. მას რომ შეძლებოდა და ტბის პირას გადაესახლებულიყავით ყოველდღე შევძლებდი საჭირო რაოდენობის კიბოს დაჭერას. ერთი სიტყვით ძალიან გამიადვილდებოდა ცხოვრება, მაგრამ ცხენის ტბის პირას გადაყვანაზე ფიქრი მხოლოდ ფანტაზია იყო.

ისევ მოვუხმე ცივ გონებას და შექმნილ ვითარებაში მოქმედების გეგმის განხილვა დავიწყე. ცხენი და კვიცი აუცილებლად ცოცხალი უნდა დამეხვედრებინა ჩოკანისათვის, რომელიც არა და არ ჩანდა.

ფიქრში გართული, ჩემგან სულ რაღაც ორიოდ მეტრში,

მიწიდან ამომძვრალმა მინდვრის ზაზუნამ თუ თახვმა მიიქცია ჩუმი ყურადღება, ის უკანა ფეხებზე დასკუპული მთელი „სერიოზულობით“ მიცქერდა.

- რა მოხდება ახლა მე რომ ეს ზაზუნა დავიჭირო და კიბოებისათვის სატყუარად გამოვიყენო?

- კიბოებს ბლომად დავიჭერ, მაგრამ ზაზუნას დაჭერა რომ არც ისე ადვილი საქმეა?

- რალაცას მოვიფიქრებ. თუნდაც წყალს ჩავუხსამ სოროში და როცა თავს ამოჰყოფს იქიდან, მერე მე ვიცი.

ამის შემდეგ ბევრი აღარ მიფიქრია, ისევ ავიღე ბალონი და წყლის მოსატანად გავწიე. უკან დაბრუნებულმა დაბინდებამდე ორი ზაზუნა მოვინადირე და გავატყავე. მერე პერანგი გავიხადე და ზედ დანით ოციოდე ნახვრეტი გავაკეთე. დილით შეიარაღებული მონადირე აღრიანად შევუდექი, ლელის ღეროებზე დაჭიმული მასურით და ზედ დაკრული ზაზუნებით, ნადირობას. ნანადირევის რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა დაახლოებით ერთ საათში მინიმუმ ორი კილოგრამი კიბო დავიჭირე და გულდაიმედებული დავბრუნდი ცხოველებთან. ასე გავგრძელდა ხუთი დღე. მე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ჩოკანის საქმე ძალიან ცუდად იყო. ამ ხნის განმავლობაში კვიცი ისე „გაცეკქდა“, ისეთი კუნტრუმი ისწავლა, რომ მასთან თამაშს არაფერი სჯობდა.

ჩემი დაკარგვიდან მეათე დღეს, ტბაში მონადირეს, თავს ორი ახალგაზრდა მეცხვარე წამომადგა კომბლებით ხელში. ისინი გაკვირვებულები მიცქერდნენ. მე მათ ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, რაც მოხდა. მკითხეს, რით დაგეხმაროთო. მე მათ ერთი დღით ცხენი ვთხოვე, სანაცვლოდ ჩემი პასპორტი და ფული მივაწოდე, არ აიღეს, გენდობითო მითხრეს.

\* \* \*

მეორე დღეს, დილით, მზის ამოსვლამდე მომგვარეს ბიჭებმა ცხენი. მითხრეს დარდი არ გქონდეს ცხენსა და კვიცს ჩვენ მიგხედავთო.

სულ რალაც სამი საათი დაჭირდა რკინიგზის გადასასვლე-

ლამდე მისვლას. იქ უცნობი მოხუცი დამხვდა ჩოკანის ნაცვლად. კითხვაზე, - თუ სად იყო ჩოკანი, მიპასუხა:

- ამბობენ ვილაკვებს უცემიათ, ძალიან ძძიმედ არის, რაიონული ცენტრის სავადმყოფოში წევსო.

ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა. ცხენი რაიონული ცენტრისკენ შევაბრუნე და ჩოკანის სანახავად გავემართე.

მხოლოდ თვალებიღა უჩანდა ჩემს თავშეხვეულ მეგობარს. კკითხე რა მოხდა -მეთქი. ყველაფერი არ ვიცი რაც მოხდა, მაგრამ რაც მიაძბეს, იმას გადმოგცემო, მითხრა.

არაკაცებს ხრამი გადმოუკვეთავთ, ჩოკანთან გამოუვლიათ და უტრაბახნიათ. უთქვამთ, რა დღეშია ც დამტოვეს. ჩემს მეგობარს ველარ მოუთმენია და ერთისათვის, რომელიც მეტისმეტად ამაყობდა ჩემი ცემით, სილა გაუწნავს. ამ ამბავს ჩვენი საერთო მეგობარი მურატი შესწრებია და ორს ხუთის წინააღმდეგ უბრძოლია. მხოლოდ გუშინწინ ამოვიდგი ენა ტვინის შერყევის შემდეგ, მითხრა მეგობარმა. გუშინ მამაჩემი იყო წამოსული შენს საძებრად და ვერ გიპოვა, ალბათ, დღესაც შენ გეძებს, თორემ აქამდე აუცილებლად გამოჩნდებოდაო. მთხოვა, მომავალ ზამთარსაც დასახლებაში დავრჩენილიყავი. არც არსად ვაპირებ წასვლას -მეთქი რომ ვუთხარი, გაიხარა ბიჭმა.

- არა, აუცილებლად უნდა მოგძებნო ის არაკაცები და სამაგიერო უნდა მივუზღო, - ავფეთქდი ქართულად საუბრისას.

- სამაგიერო უკვე მივუზღვევდით მე და მურატმა. ოთხი მათგანი სავადმყოფოში მოხვდა. ერთი ახლაც მეზობელ პალატაში წევს თავდაბინტული. ასე რომ, მშვიდად იყავი ქართველო, არც ჩვენ ვართ ბეჩავნი.

# დედის წერილი

ორი დღეა ოთხმოცს გადაცილებული ბაბუაჩემი თავისი ოთახიდან იშვიათად გამოდის. მაგიდაზე უამრავი გაყვითლებული ქაღალდი აქვს გაშლილი და შიგ რაღაცას დაეძებს.

- ბაბუ, იქნებ დაგესვენა, - ვთხოვე მოხუცს.

- ახლავე, შვილო. კონვერტს მარკებს დავაწებებ და გამოვალ.

მეტი არაფერი უთქვამს მოხუცს. ისევ უხმოდ გააგრძელა თავისი საქმე.

- ბაბუ, თუ საიდუმლო არ არის, მითხარი, რას დაეძებდი მაგ გაყვითლებულ ქაღალდებში?

- დედაჩემის წერილს დავეძებდი, ჩემო სეხნია.

- დედის წერილს?!

- ჰო, დედაჩემის წერილს დავეძებდი და ვიპოვე კიდევ.

- ბაბუ, არ წამაკითხებ?

- რატომაც არ წაგაკითხებდი, მაგრამ დავაგვიანდა, კონვერტი დაწებებულია. მოდი ახლა და შენი ლამაზი ხელით დააწერე ზედ მისამართი.

- სად გზავნი, ბაბუ?

- ეს წერილი სამოცი წლის წინათ მივიღე დედისაგან სოსოთა.

- მერე?

- მერე და სამოცი წლის შემდეგ ისევ მინდა მივიღო დედისაგან წერილი.

- ეს როგორ, ბაბუ?!

- შენ აქ მოდი და ამ კონვერტიდან შეუცდომლად გადმომიწერე ახალ კონვერტზე ადრესატისა და ადრესანტის მისამართები.

მოხუცმა კონვერტი მომაწოდა და საკუთარი სკამი ღამით-მო, რომელზედაც უხმოდ დავჯექი და კონვერტიდან კონვერტზე მისამართები გადავწერე.

- კიდევ რა ვქნა, ბაბუ?

- დღეს არაფერი. ხვალ, როგორც ვიცი, ჩემი ბიძაშვილის შვილიშვილის ქორწილში მიდიხარ სოფელში. ჰოდა, ჩემო სოსოია, ჩაუძახე ეს კონვერტი ჩემი სოფლის საფოსტო ყუთში.

ბაბუასათვის აღარაფერი მიკითხავს. ჩემს ოთახში გავვდი და კონვერტი სოფელში წასაღებ ხელბარგში ჩავდე.

\* \* \*

სოფლიდან დაბრუნებულს ბაბუაჩემმა მომხარა დედის წერილი მივიღეო.

- რას გწერს, ბაბუ?

- შენ თვითონ წაიკითხე, - თქვა მან და გაყვითლებული ფურცელი გამომიწოდა.

- მერედა შეიძლება სხვისი წერილის წაკითხვა?

- შეიძლება. ეს ხომ დედაჩემის წერილია და არა იმისი...

- ვინ იმისი, ბაბუ?

- წაიკითხე და მიხვდები ვის ვგულისხმობ.

ინტერესით გავშალე ექვსი ათეული წლის წინათ დაწერილი წერილი. ჩემი დიდი ბებია თავის ჰაბუკ შვილს წერდა: გაზაფხული მოვიდა და მდინარის პირას იასამანი და შქერი აყვავდაო. სულ მთლად გადაიკარგნენ ზამთრის ცივი ქარები. ახლა მხოლოდ თბილი სიო ეთამაშება მინდორში ყვავილებსო. წყაროზე ხშირად ვხვდები დოქით ხელში იმ გოგონასო. შენ გელის, გული მეუბნება შვილოო. არწმუნებდა დედა შვილს. შენს მოლოდინში გზას გავყურებ ყოველ დღეო. ჩამოდი, სხვა თუ არა ჩვენს წყაროზე ცივი წყლის დაღვევა არ მოგენატრაო?

წერილი ჩავამთავრე და ბაბუჩემს კვითხე:

- ბაბუ პასუხი...

- პასუხის დაბრუნებას არ ვაპირებ, სოსოია.

- მაშ, როგორ?

- მე თვითონ ჩავალ, ჩავალ და შქერის ყვავილსაც ვაჩუქებ, როგორც მაშინ, - თავისთვის ჩაიჩურჩულა მოხუცმა.

- რა თქვი, ბაბუ?

- ჩავალ და შქერის ყვავილს ვაჩუქებ -მეთქი.

- ვის უნდა აჩუქო?

- იმ გოგოს, წყაროზე რომ ჩამოდიოდა დოქით ხელში და მელოდა.

- ბაბუ, მართლა აპირებ სოფელში წასვლას?

- კი არ ვაპირებ, უკვე გადავწყვიტე. მახსოვს ეს წერილი რომ მივიღე, მაშინ მეორე დღესვე სოფელში წავედი. სახლში მისვლისთანავე ჩაფს ხელი დავავლე და ჩვენს წყაროზე წავედი.

- მოხუცი გაჩუმიდა.

- მერე, ბაბუ?

- მერედა მოვიდა ის გოგო დოქით ხელში.

- მერე, მერე.

- მერე, ჩემი ჩაფი წყაროზე დავტოვე. გოგონას დოქი გამოგართვი და საკუთარ ჭიშკრამდე მივაცილე.

- მერე, ბაბუ, მერე?

- მეორე დღეს, დილით, მზის ამოსვლასთან ერთად შევხვდით მდინარის პირას ერთმანეთს. იქ უამრავი ჩიტი გალობდა. იასამნის, იელის, შქერის და ვინ მოთვლის რამდენ ყვავილთა სურნელი იყო ერთმანეთში შეზავებული. სიცოცხლე ლალობდა ირგვლივ. ჩვენ მდინარის პირას ვიდექით. იმ გოგომ, ზევით, სულ ზევით, კლდეზე, რომელიც მდინარეს დაჰყურებდა, აყვავებული შქერის ბუჩქი დაინახა. მისი ყვავილთა ფერი მკვეთრად განსხვავდებოდა ირგვლივ მყოფ ყვავილთა ფერისაგან.

- ხედავ? - მკითხა გოგონამ და ბუჩქისაკენ მიმითითა.

- ვხედავ.

- რა ლამაზია, არა?

- მოგწონს?

- ძალიან.

- ახლავე მოგართმევ.

- იქამდე აღამიანი ვერ ავა.

- მე ავალ.

- ნუ ეცდები, მეშინია.

მე მისთვის აღარაფერი მითქვამს, ციცაბოს ავუყევი. კლდეზე ცოცვის დიდი ოსტატობა დამჭირდა, ვიდრე შქერის ბუჩქთან მივიღოდი.

- ეს რა ჩაიდინე? შენ, მართლაც, გამბედავი ბიჭი ყო-

ფილხარ, - შემაქო მან.

- არც ისე, მაგრამ შენთვის მეტსაც გავებდავ.

- მჯერა, - დამეთანხმა ის.

- მე შენთან სათქმელი მაქვს, - ვუთხარი გათამამებულმა გოგონას.

- რა გაქვს სათქმელი?

- ის, რაც ჯერ არავისთვის მითქვამს.

- ვიცი, რაც უნდა მითხრა.

- წყაროზე მართლა მელოდები -ხოლმე? - გკითხე გოგონას.

- ვინ გითხრა?

- დედამ.

- დედის გულისთქმას ყოველთვის დაეჯერება. ახლა კი წავედი, - თქვა და წავიდა. მინდორ-მინდორ მიმავალს ნიავი უწვალებდა კაბის კალთას. მე იმ წუთში ყველა და ყველაფერი მიყვარდა. იყო მაისი. ოცდაორ ივნისს კი ომი დაიწყო. მე ომში წავედი და ქერჩში, ტყვედ ჩავარდნილს, მთელი ევროპა შემომატარეს ფაშისტებმა. ომის შემდეგ მაგადანში ამომაცოფინეს თავი კომუნისტებმა. შინ მხოლოდ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში დავბრუნდი.

- ის გოგო?

- ის თურმე დიდხანს მელოდა, მერე კი გათხოვდა.

- ბაბუ, სოფელში მარტო ვერ გავიშვებ. მეც თან უნდა გამოიყვე.

- სად უნდა გამოიყვე, სოსოია, შენ?

- სოფელში, ბაბუ.

- მე სოფელში კი არა ჩემს სიჭაბუკეში ვბრუნდები. იქ ძალიანაც რომ გინდოდეს, მაინც ვერ გამოიყვები, შვილო, და არცაა იქ შენი ადგილი. შენ იქ არ არსებობ.

\* \* \*

ცისფრად შეღებილ რკინის ჭიშკარს შქერის ყვავილებით ხელდამშვენებული მოხუცი მიადგა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. არ გასულა ერთი წუთიც, რომ ურდულმა გაიჩხაკუნა და ჭიშკარი მოხუცმა ქალბატონმა გააღო.



ნუთუ ეს არის ის? ოდესღაც შოლტივით მოქნილი გოგო. ოჰ, ღმერთო ჩემო!.. - გაიფიქრა მოხუცმა და ქალბატონს ჰკითხა:

- თქვენ ბრძანდებით, ქალბატონი მარიამი?
- მე ვარ.
- ეს თაიგული თქვენ მოგართვით, ქალბატონო.
- თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო.
- მარიამ, გახსოვს 1941 წლის მაისის თვის ბოლო დღე?
- არა, არ მახსოვს.
- არც ის შექერის ბუჩქი გახსოვს მდინარის პირას კლდეზე განსაკუთრებული ფერის ყვავილებით?
- ნუთუ შენ?!
- ჰო, მე ვარ. დედაჩემის წერილი მივიღე გუშინ.
- დედაშენის?!
- ჰო, დედაჩემის წერილი მივიღე და ერთი დღით სიჭაბუკეში დავბრუნდი.

## კომშის ფოთლები

უკვე მეოთხე ღამეა, შინ არ მიძინებია. დედა ჩვენს მეზობელ ნინო დეიდასთან მაგზავნის ხოლმე დასაძინებლად. ვიცი, რატომაც აკეთებს ასე - ჩემს უმცროს ძმას, მიძიმე ავადმყოფს, ორი ღღე-ღამეა არც თვალი გაუხელია და არც ხმა ამოუღია. დედა მოსალოდნელი უბედურების მოლოდინში თვითონ დაემსგავსა მკვლარს. ვხვდები ყველაფერს, მაგრამ კრინტს არ ვძრავ. როცა დედა მეტყვის ხოლმე ნინო დეიდასთან უნდა წახვიდე დასაძინებლად, უნმოღ მივდივარ, თუმცა დედასთან და ჩემს ძმასთან მირჩევნია დარჩენა. ძილით არც იქ მიძინავს, მთელი ღამე თვალდახუჭული უძრავად ვარ. აბა, რა დამაძინებს ამ ღღეში მყოფს? ცოტაოდენი ფული მაინც გვქონდეს, კარაქს ვუყიდვით სნეულს! აკი თქვა ექიმმა: ვიტამინები აკლია, კარგად უნდა კვებოთო. აქ ახლა ისე უჭირს ყველას, კაპიციკ რომ დაგჭირდეს, ვერ ისესხებ. ისე, რა თბილი ხალხი ყოფილა აქაურები, თუ რამ გააჩნიათ, არ ენანებათ ჩვენთვის, მაგრამ რა ჰქნან, თვითონაც არაფერი აქვთ. ზაფხული მაინც იყოს, ბოსტნეული და ბანჩეული წაგვადგებოდა ცოტა.

- თაზია, რას გაჩუმებულხარ? მოიჩოჩე ლუმელისკენ, ცოტა შეთბი და ჩაგორდით შენ და გოგიტა ლოჯინში. ჩამთბარებს გოჭებივით ჩაგეძინებათ.

ნინო დეიდას ნათქვამი ფიქრში გართულმა კარგად ვერ მოვისმინე და ვერც გავიგე. ისევ უძრავად დავრჩი ჩემს ადგილას.

- რა ხდება, თაზია, რას ჩაფიქრებულხარ? ყველანი შენი სარჩენნი კი არ ვართ, - გამეხუმრა ისევ.

მე ჩემი სამფეხა ხელოში არ ამიღია და არც ავმდგარვარ, ისე მივჩოჩდი სკამიანად ლუმელთან.

- ახლა, ბიჭებო, კომშის ფოთლის ჩაის დავალევინებთ. თუ ექიმებს დავუჯერებთ, ვიტამინებით არის სავსე და ხველასაც უხდება.

- კომშის ფოთლის ჩაი ხველას უხდება, ნინო დეიდა?

- როგორც ექიმები ამტკიცებენ, უხდება.
- ცოტას ვერ მომცემ ჩემი ძმისათვის?

ჩემს კითხვაზე ნინო დეიდამ არაფერი მიპასუხა, მეზობელ ოთახში გავიდა და კარგა ხანს აღარ დაბრუნებულა.

ლუმელზე ქვაბით დადგმული წყალი ათუხთუხდა. დიასახლისმა მე და გოგიტას შაქარყინულის ნატეხები მოგვცა და „მალენკოვის“ ჭიქები ფერმეცვლილი ცხელი წყლით აგვივსო.

- ნინო დეიდა, მომცემ კომშის ფოთლებს ჩემი ძმისთვის?
- ბოდიში, თაზია, კომშის ფოთოლი აღარ გვაქვს, მაგრამ ქვაბში დარჩენილ წყალს შიგნაყრილი ფოთლებით აუცილებლად გაგატან შინ.

- გმადლობთ, ნინო დეიდა.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. მიხაროდა, სახლში მისული ჩემს ძმას ვიტამინებით გატენილ კომშის ფოთლების ნახარშს რომ მივუტანდი.

დილით, მართლაც, ამივსო ნინო დეიდამ ლიტრიანი ბოთლი სითხით და გამაფრთხილა: თუ გაყინულ გუბებს გადაეყრები, გვერდი აუარეო. ჩემს სახლამდე ცოტაღა მქონდა დარჩენილი, რომ გზის პირას ყვავი შევნიშნე. ბოთლით მიმავალს მისი დანახვა არ მესიამოვნა. დავიხარე, კენჭი ავიღე, ვესროლე, ყვავი არ გაფრენილა, უბრალოდ შეკრთა. საკმაოდ დიდი ნახტომი გააკეთა და საშინელი ხმით დაიჩხავლა.

- „ყვა“ შენ და თავის გახეთქვა! - მივადანე მჩხავანას და უფრო დიდი კენჭში ვესროლე. მანაც პირველზე უფრო გრძელი ნახტომი გააკეთა და უფრო ხმამაღლა დაიჩხავლა, თანაც ორჯერ.

- „ყვა-ყვას“ მოგცემ ახლა მე შენ! - დავემუქრე ყვავს და საკმაოდ მოზრდილი ქვა მთელი ძალით ვესროლე. ქვა მიზანს მოხვდა. ფრინველმა საშინელი ჩხავილი მოართო და გაფრინდა.

- ასე მოგიხდება, ასე, შე მჩხავანავ, შენა! - მივძახოდი და კენჭს კენჭზე ვესროდი ფრინველს. დევნაში გართულს მთლად გადამავიწყდა ნინო დეიდას გაფრთხილება და დავისაჯე კიდევ. უნებლიედ, ყინულზე ფეხი გამიცურდა, ძირს დავეცი და ბოთლი გავტეხე. არც მანამდე და არც მას შემდეგ დღემდე

არ მახსოვს, გული ისე დამწყვეტოდეს, როგორც იმ ბოთლის გატეხვამ გამოიწვია.

ერთხანს გულამოსკვნით ვტიროდი. ის ბოთლი მაშინ ჩემთვის დიდი იმედი იყო. ტირილით გული ვიჭერე და გაგჩუმდი, ადგილიდან ფეხი აღარ მომიცვლია, მაგრამ საღ და როგორ უნდა მეშოვა კომმის ფოთოლი, არ ვიცოდი. ერთხანს გოგიტასთან დაბრუნება დავაპირე, რომ მეკითხა, საღ იშოვა ფოთლები, მაგრამ მივხვდი, კიდევ ერთხელ რომ შეძლებოდა შოვნა, ნინო დედა აუცილებლად მოატანინებდა ჩემთვის.

- არა, გოგიტასთან დაბრუნება გამოსავალი არ არის, მე თვითონ უნდა ვიშოვო ის. ეგება სულ ახლოს, სარწყავი არხის პირას ბაღებშიაც კი არის, - ჩავილაპარაკე ჩემთვის ხმამაღლა და არხის პირისკენ გავწიე. დიდხანს ძებნა არ დამჭირებია, კომმის ხე მალე ვიპოვე, მაგრამ ფოთლები მხოლოდ ტოტების ბოლოებზე ჰქონდა აქა-იქ შერჩენილი. მართალია, ძირს ბევრი ეყარა, მაგრამ მათგან ერთი-ორი თუ გამოდგებოდა, უმეტესობა უკვე გაშავებული იყო.

მავთულბადის ღობეზე გადასვლა ვცადე, მაგრამ პირველივე ცდაზე ძირს ჩამოვვარდი. მიწაზე დაცემული ღობეს ავხედე და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ქურდობას ვაპირებდი.

- ეს როგორ, ნაქურდალი უნდა მიფუტანო ჩემს ავადმყოფ ძმას? არა, არავითარ შემთხვევაში! დედაც ხომ ყოველთვის გვაფრთხილებს, ნაქურდალი ლუკმა არამიაო. მართლა თუ ასეა, ჩემი ძმა გამონაკლისი იქნება, რომ შეერგოს? უმჯობესია, სახლში წავიდე ახლავე და მომხდარის შესახებ კრინტიც არ დავძრა.

წამოვდექი თუ არა, ტანისამოსი გავიფერთხე და გულგასიებულიმა სახლისაკენ გავწიე. სახლში მისულს დედამ დაგვიანებისათვის მისაყვედურა. მე თავის მართლება არ დამიწყია, უხმოდ გავწიე ლოჯინში მწოლიარე ძმისკენ.

- ხომ კარგად ხარ, თემურიკო?

- ავადმყოფმა თვალი გაახილა, გადმოხედა და მანიშნა კარგადო, - მივხვდი ჩემს ძმას სიტყვის თქმის თავი არ ჰქონდა.

- ისევ ცუდადაა, მე კი ქურდიაო რომ არ თქვან, ამიტომ ვერ შევძელი მისთვის ვიტამინებით გატენილი კომმის ფოთ-

ლის მოტანა. იქნება არც კი ითვლება ქურდობად კომმის ფოთლის სხვის ხეზე მოკრეფა, ნაყიფს ხომ არ ვკრეფ. არა, აუცილებლად უნდა მოვუტანო. ვიცი, რომ უშველის, - ვთქვი და სახლიდან ყველას დაუკითხავად გამოვედი. მივდიოდი აჩქარებული ნაბიჯით. ქურდი კი არა, როგორც მაშველი. ღობეზე ოსტატურად გადავძვერი.

ბაღში გადასულმა ერთი ახალგაზრდა კომმის ხე შევარჩიე, ზედ ავცოცდი და მთლად გამოგვკრიფე ყველა ფოთოლი, რომელსაც კი ხელით მიგწვდი. უბე თითქმის მთლიანად ავივსე. ის იყო, ძირს ჩამოსვლა დავაპირე, რომ სულ ახლოს ღობესთან ცხენზე ამხედრებულმა ახალგაზრდა ყაზახმა ჩაიჭროლა. მე შევშინდი და ძირს ჩამოვხტი. ვარდნისას ტოტს გამოვედე და მეტად უხერხულად მოვადინე ზღართან მიწაზე. მერე აღარაფერი მახსოვს. გონზე მოსული უცნობ ყაზახს ვეწვინე მკლავებზე. ის ვილაცას უხმობდა. მისი ხელებიდან დასხლტომა ვცადე. უცნობი მიხვდა ჩემს განზრახვას და უფრო მჭიდროდ შემომხვია ხელები.

მისი ძახილი რაიონის ცენტრიდან მომავალ ბაგრატ ძიას გაეგონა და აქომინებული მოვარდა ჩვენთან.

- რა ხდება, თაზი? - მკითხა.

- მე ქურდი არა ვარ, ბაგრატი ძია, არა! - ავტყხე ტირილი.

- მერე და ვინ გაბრალებს ქურდობას? დამშვიდდი და ყველაფერი ისე მიაბე, როგორც მოხდა.

- მადლობა ღმერთს, რომ ბავშვმა არაფერი მოიტეხა, - იმეორებდა ყაზახი წამდაუწყებლად.

- მაინც რა მოხდა, თაზია, არ გვეტყვი? - გამიმეორა კითხვა ბაგრატმა.

მე მას ყოველივე ისე ვუამბე, როგორც სინამდვილეში იყო.

- ნუ გეშინია, ეგ არაფერიაო, - მითხრა სევდიანად და ყაზახისკენ შებრუნდა. მეონი მადლობა გადაუხადა. ყაზახმაც დამტვრეული რუსულით, რაღაც უთხრა ძია ბაგრატს და მათ შორის მოკლე საუბარი გაიმართა. როცა დაგვიკლდი უცნობს, ბაგრატ ძიას ვკითხე, ჩემზე ხომ არ უთქვამს ქურდიაო?

- ნუ გეშინია თაზია. ყაზახმა თქვა კარგი ბიჭი ყოფილა

ძმა რომ ასე ჰყვარებიანო და ისიც დაამატა, ხველას კომუნი-  
ფოთოლოზე მეტად მისი ნაყოფი უნდებო.

- მერე და სადაა ნაყოფი?

- ყაზახი მოგიტანს.

- რაო, ბაგრატ ძია?!

- რა და ის ძია მოგიტანს სახლში კომუნს.

- მართლა?

- ჰო, მართლა.

- წავედი მაშინ სახლში! - ვთქვი და შინსაკენ მოგკურ-  
ცხლე.

# მოჭიდავე

- კარგი იქნებოდა, რომ გეჭიდავა.
- ჩემი ხნის კაცის ჭიდაობა ვის გაუფონია, ადამიანო!
- კარგი უნისი კი იყო ჭედილას მოგებისა.
- რას ამბობ, თამრიკო, ომგამოვლილსა და ნატყვიარს სა-  
დლა შემიძლია ტალიკ-ტალიკ ბიჭებთან ჭიდაობა. წამომიკიდებს  
ვინმე და ტომარასავით დამახეთქებს ძირს. რომ რამე მომ-  
ტყდეს, ხომ მთლად დაგვევსო ოჯახი, ნუ მთხოვ მაგას, შენი  
ჭირიმე!

- თხოვნას რა აზრი აქვს, თუკი არ შეგიძლია, მაგრამ  
წარმოგიდგენია, ჩემპიონი რომ გამხდარიყავი, ჯილდოდ მიღე-  
ბულ ჭედილას მეწველ თხაზე გავცვლიდით და ჩვენს პატარას  
ჭიქა რძე ექნებოდა ყოველდღე. ამას კი ენაცვალოს დედა,  
- ჩაილაპარაკა ქალმა და მძინარე პატარას სახიდან მარლა  
გადაუწია.

მამამ მძინარე შეილს დახედა. ბავშვის ფერი არ მოეწონა.

- მარლა ისევ დაათარე, ბუზები შეაწუხებენ, - ურჩია  
კაკომ და გაჩუმდა. კაცი ფიქრმა გაიტაცა. ფიქრობდა სიჭარ-  
მაგეში ღმერთისაგან ნაჩუქარ ერთადერთ შეილზე.

- თამრიკო, მართალია უნდა ვიჭიდაო, ეგებ კი მოვიგო  
ჭედილა. კაპიკ-კაპიკ როდის შეგაგროვებ მეწველი თხის საყ-  
იდლად საკმარის ფულს. მართლაც, რთულია ბავშვის მდგო-  
მარეობა, არც წონაში იმატებს და არც ფერი ადევს სახეზე.

- რას ჩაფიქრებულხარ, ადამიანო? - ჰკითხა ცოლმა ქმარს.

- უნდა ვიჭიდაო! უნდა ვიჭიდაო და მოვიგო კიდევ.  
აუცილებლად უნდა მოვიგო ჭედილა, თამრიკო!

- რა თქმა უნდა, მოიგებ, შენ ხომ მოჭიდავე ხარ.

- ჰო, ვარ. რომ არ გყოფილიყავი, ახლა გავხდებოდი და  
აუცილებლად მოვიგებდი ჭედილას. დღესვე ვნახავ აბაის და  
ვეტყვი, რომ თანახმა ვარ ჭიდაობაზე.

- მაშ, იჭიდავებ, კაკო?!

- ვიჭიდავებ, თამრიკო, ვიჭიდავებ!

- ეჰ, ჩემო კაკო, ახლაც თვალწინ მიდგას შენი ახალგაზრდობისდროინდელი ცერული, მოგვერდი და კისრული. პარტერში ხომ ბადალი არ გყავდა. რაღა შენს მკლავებში მოქცეული მოწინააღმდეგე და რაღა მარწუხებში.

- თამრიკო, ღღეს ჩვენმა ქათმებმა კვერცხი დადეს? - მოულოდნელად შეცვალა საუბრის თემა კაცმა.

- ორი, მინდა მჭაუნის წვნიანი გავაკეთო.

- მაგ ორი კვერცხით ერბოკვერცხი მომიმზადე.

- მერე?!

- მერედა ხვალ რომ დადებენ, იმასაც მე მივირთმევ.

- რას ამბობ, ადამიანო!..

- ისეთს არაფერს, ხომ არ გავიწყდება, ზეგ დილით ათ საათზე რომ უნდა ვიჭიდაო. ჰო მართლა, დანაზოგი ფულიდანაც ერთი კილოგრამი ხორცის საყიდლად საჭირო ფული აიღე და დილისათვის ცხელ-ცხელი ბრინჯიანი ხარჩო მომიმზადე. მე ყველაფერი გითხარი, დანარჩენი შენ იცი, ჩემო კარგო!

\* \* \*

შეველი თუ არა კაბინეტში, აბაი ფეხზე წამოდგა, მომესალმა და თავაზიანად მთხოვა დავმჯდარიყავი.

- რაო, რა თქვეს ბიჭებმა, არ აპირებენ შეჯიბრებაში მონაწილეობას?

- სწორედ მაგისთვის გეახელით. მეც ჩამრთეთ, ბატონო აბაი, მონაწილეთა სიაში.

- თვითონ შენ აპირებ შეჯიბრებაში მონაწილეობას?!

- დიახ, მე ვაპირებ ჭიდაობას.

- შენ ხომ... - თქვა აბაიმ და აღარ გააგრძელა.

- დიახ, მე, ომგადანდელი ვაპირებ ახალგაზრდებთან შერკინებას.

- და მერე... - ისევ აღარ დაამთავრა სათქმელი აბაიმ.

- აუცილებლად უნდა გავიმარჯვო. ჭედილა აუცილებლად უნდა გახდეს ჩემი. მე მას მეწველ თხაზე გადავცვლი. - ინსტიქტურად გავვეცი გულში ნაღები.

- შენ, ძმაო, ჭედილა გდომებია, მე კი მეგონა ამ კაცში



- ქართულმა სისხლმა იყივლა –მეთქი, – გამეხუმრა აბაი.
- განა ყოველთვის შესწევს სისხლს უნარი ყივილისა?
  - ფაშისტების შემშინებელი გაჭირვებამ ხომ არ შეგაშინა, მეგობარო?
  - შიში რა საკადრისია, მაგრამ რაც ვთქვი, ისიც ჭეშმარიტებაა. ახლა კი ნახვამდის.
  - კარისაკენ გავწიე. კართან მისულს აბაის ხმა მომწვდა.
  - კაკო!
  - გისმენთ, ბატონო აბაი.
  - გთხოვ, არ იჭიდაო.
  - რატომ?
  - კაკო, მხარში დაჭრილი კაცისთვის ჭიდაობა, ჩემი აზრით, სარისკოა. ჩვენს დასახლებას ერთი ჭედილას ჩუქება შენთვის ისედაც არ გაუჭირდება.
  - ჩუქება, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდება, მაგრამ მოგებული მაინც სხვაა. ამასთან ერთად, თავის გამოცდაც ხომ არის საჭირო ხანდახან.
  - ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმაო!

\* \* \*

ჩემს წინ ოცი-ოცდაერთი წლის ახოვანი ახალგაზრდა დგას. მე მას თვალთ ვზომავ და ჩემს ბედს ვსაყვედურობ, პირველივე წრეში ასეთ მეტოქესთან რომ მარჯუნა შეხვედრა.

მსაჯმა ნიშანი მისცა. ჩემმა მოწინააღმდეგემ ისე სწრაფად დაიწყო მოძრაობა, რომ მის მღვეარს ერთ-ორ წუთში სუნთქვა ამიჩქარდა.

პირველ პერიოდში თუ ვერ დავიჭირე და ვერაფერი მოგუხერხე, მეორეში მან კიდევაც რომ ვერ გამაგოროს ხალიჩაზე, ალბათ, ჩემით გავგოროდები. გავიფიქრე და ცოტა არ იყოს შევშინდი კიდევ. პერიოდის დასასრულს მოწინააღმდეგის დევნას თავი ვანებე და თვითონ გადავედი პასიურ ჭიდაობაზე. გათამამებული მეტოქე გადმოვიდა შეტევაზე, რამაც საშუალება მომცა მასთან დაკონტაქტების და მოგვერდის წყალობით ორი ქულა ამერთმია. ამის შემდეგ მსაჯმა პირველი პერიოდის დას-

რულემა გვაუწყა.

შესვენებისას მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ გავაპარე თვალი. ახალგაზრდა მშვიდად იდგა ბავშვური სახით, რის გამოც, მასთან ჭიდაობის ხალისიც დაგვარგე. წარმოვიდგინე როგორ ეტკინებოდა გული, თუ დავამარცხებდი.

მსაჯმა მეორე პერიოდის დაწყება გვამცნო. ჩემი მოწინააღმდეგე ჭიდაობის დაწყებისთანავე ჯიქურ გადმოვიდა შეტევაზე. მე ასეთ ქმედებას ველარაფერი დავუპირისპირე, თითქმის ერთბაშად მოვეშვი და დავეყვი მის ნებას. მან ჩემი ჰაერში ატაცება სცადა, მაგრამ ფეხის ჩახვევა მოვასწარი და ორივენი პარტერში გავფორდი. ერთხანს ღირსეულ წინააღმდეგობასაც ვუწევდი, მაგრამ ბოლოს მაინც გამტეხა, ზემოდან მომექცა და ჩემი ბეჭებით ხალიჩაზე გაკვრა სცადა. მივხვდი, წაგებამდე წამები იყო დარჩენილი. ჩემი პატარა გავისხენე, მაგრამ ვერც ამან მიშველა. ის მთელი ძალით დამაწვა მარჯვენა მხარზე.

თითქოს ვიღაცამ მოულოდნელად გახურებული შამფური მადგერა მხარში. ვაი, დედა! – ერთხელ კი მოვასწარი დაძახება და გონი დაგვარგე.

გონზე მოსულს თავს ჩემი მოწინააღმდეგე, ექთანი, აბაი და რამდენიმე ყაზახი მადგა.

- ეს რა ჩაიდინე, ამხელა ჭრილობა თუ გქონდა, რატომ გაბედე ჭიდაობა, – მისაყვედურა აბაიმ. პასუხად მინდორზე წამოვყვიქი და მარჯვენა წრიულად დავატრიალე.

- როგორ ხარ, ძია? – მკითხა მოწინააღმდეგემ.

- მგონი გადავრჩი, შვილო. ხელს თავისუფლად ვამოძრავებ.

- მაპატიე ძია, მე არაფერი ვიცოდი.

- შენ რა შუაში ხარ, შვილო, თვითონ მე არ უნდა გამერისკა.

- ჭამალ, შენი ჭიდაობის დრო მოვიდა. ყველა მეოთხე ფინალისტი გამოვლენილია, – მოახსენა ახალგაზრდას გულშემატკივარმა მეგობარმა.

- რა დროს ჭიდაობაა, ამალგელდი?

- როგორ თუ რა დროს, თუ არ იჭიდავებ, ძალიან მაწყენინებ. შენ მე დამსახურებულად მომიგე, – ვუპასუხე ჭამალს

მისი მეგობრის ნაცვლად.

ქამალმა აბაის გადახედა.

- ქამალ, უნდა იჭიდაო, აბა როგორ. დღეს შენ ჩემპიონი უნდა გახდე!

კაკო ძიამ ხომ უნდა ირწმუნოს, რომ მართლა ღირსეულ-თან წააგო.

- აბაი მართალს ამბობს. მეც ხომ მინდა ვთქვა, ღირსეულ-თან წავაგე მეთქი. აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო, - გავაქეზე ახალგაზრდა.

ამის გამგონე ქამალი წამიერად ჩაფიქრდა. მერე ერთბაშად კი არ წამოდგა, უფრო წამოხტა, მითხრა -ბოდიში, კაკო ძია და ხალიჩისაკენ გაემართა.

- კაკო, წამოდექი, მე გავაცვილებ სახლამდე.

- სახლში რა მინდა, აბაი. აქ უნდა დავრჩე და ქამალს ვუფულშემემატკივრო. მართლაც რომ, ნაღდი მოჭიდავეა.

დანარჩენ სამ შეხვედრას ქამალმა სულ რამდენიმე წუთი მონადგო. გამარჯვება ოლქის ახალ ჩემპიონს პირველმა აბაიმ და კაკომ მიულოცეს.

ჭედილა მთავრით გამარჯვებულს, ჭედილა! - ახმაურდა ხალხი, ცოტა ხანში ახალგაზრდებმა ჭედილა შემოიყვანეს და ჩემპიონს კისერზე გადაჰკიდეს. ქამალმა სამჯერ შემოუარა ხალიჩას და ჩემკენ გამოემართა. მოსვლისთანავე არხარის ტოლა ჭედილა კისრიდან ჩამოსვა და მის ყელზე მობმული ბაწარი გამომიწოდა.

- აილე, კაკო ძია, ჩემი ჯილდო.

- ეს როგორ, ასე არ შეიძლება?!

- გთხოვ ნუ მეტყვი უარს. იცოდე, კაკო ძია, ამ ჯილდოს მოპოვებაში თქვენი დიდი წვლილი დევს.

ნაღდი მოჭიდავე, ნაღდი ადამიანი, - ვთქვი, ახალგაზრდას გადავხვით და გამარჯვება კიდევ ერთხელ მივულოცე.

## ეჭ, ჭული, ჭული!

საათმა კიდევ ერთხელ დაიწკრიალა და ორის შესრულება მამცნო.

- დალახვროს ეშმაკმა, ეს რა დღე გათენდა, ამ დილით ასეთი, რომ კაციშვილმა ჩემი მალაზიის კარისაკენ ერთხელაც არ გამოიხედა? - დავიწუწუნე, დახლზე დადებულ ბოქლომს დავწვდი და კარისაკენ გავემართე. ის იყო ზღურბლისათვის უნდა გადამებიჯებინა, რომ გზაზე უცხოურმა მანქანამ დაამუხრუჭა.

- ერთი წუთით ქალბატონო, ფურნეს ნუ დაკეტავთ, - მითხრა უცნობმა და მანქანიდან გადმოვიდა.

- აქ ფურნე აღარაა.

- მაშ რაა? მახსოვს აქ ფურნე იყო.

- არა ბატონო, აქ ფურნე დიდი ხანია აღარ არის. აქ ახლა ჩემი მალაზიაა.

- ცუდია, - გულდაწყვეტით ჩაიჩურჩულა მზგავრმა.

- რა ვქნა, ასე და...

- ნუ დაკეტავთ, ქალბატონო მალაზიას, იქნებ კი მომეწონოს რაიმე და შევიძინო.

- მობრძანდით, ბატონო.

- შენც გადმოდი, ბაბუ, არ გაინტერესებს?.. - სთხოვა შვილიშვილს მზგავრმა.

- ამ ტალახში როგორ გადმოვიდე, ბაბუ?! - უპასუხა ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭმა ჭალარაშერეულს და აზელილ ტალახზე მიანიშნა.

- ზარმაცი ხარ შენ, რეზიკო! - უსაყვედურა ბაბუამ შვილიშვილს და მალაზიისაკენ წამოვიდა.

- ტყუილად მოდის ეს კაცი. მდიდარი ინტელიგენტის მოსაწონი მე რა უნდა მქონდეს აქ, - გავიფიქრე და ტალახში კოჭებამდე დასვრილი მუშტარი მალაზიაში შემოვიპატიყე.

- აქა მშვილობა, ხვაგი და ბარაქა, - თქვა შემოსვლისთანავე ასაკში შესულმა კაცმა.

- ღმერთმა გაგიმარჯოს!
- თქვენ თვითონ ამარაგებთ? - მკითხა კაცმა და მალაზიის თითქმის ცარიელი თაროები აათვალ-ჩაათვალიერა.
- მე ვამარაგებ, ამას თუ მომარაგება ჰქვია.
- რატომ ამბობთ, ქალბატონო, ასე. აქ შეიძლება აღადმიანმა ბევრი რამ იყიდოს.

მოსულის პასუხმა იმედის ნაპერწკალი ჩამისახა. გავიფიქრე, ალბათ, რალაცას მართლა იყიდის და ნავსს გატეხს -მეთქი.

- ანიკო! - შემომესმა ეზოდან მეზობელ ჯულიეტას ხმა. მგზავრს ბოდიში მოვუხადე და კარისწინა ბაქანზე გავვი.

- ანიკო, ჩემი ძონძებიდან ხომ არაფერი გაყიდულა, გოგო?
- არა, ჯული. ორ დღეს კაციშვილს არ შემოუხედავს მალაზიაში, - ვუპასუხე ჯულის.

- დაიქცეს ჩვენი დამაქცევარი, გზის ფული რომ მეშოგა თბილისში წავიდოდი სავაჭროდ. ქათმებს გავყიდდი და ხელს მოვიბრუნებდი. შემჭამეს ამ სამგლეებმა.

- აბა, მე რით ვიშველო, დამ?
- შენ რომ შველა შეგეძლოს... - აღარ დაამთავრა სათქმელი ჩემმა გაჭირვებულმა მეზობელმა. უხმოდ შებრუნდა და წავიდა.

უკან შემობრუნებული სახტად დავრჩი. ჩემი კლიენტი მალაზიის შუაგულში იდგა, ქანდაკებასავით უძრავად, და ჯულის გაპყურებდა. დახლში შევედი და კლიენტის მოთხოვნას დაველოდე, მაგრამ ის ამის გაკეთებას არ ჩქარობდა. დაჟინებით უცქერდა უკან გაბრუნებულს. უცნობის ყურადღება რომ მიმექცია, იძულებული გაფხდი სასწორის პინაზე გირი წამექცია. ხერხმა გაჭრა. მან ჯერ ჩუმად, თავისთვის ჩაილაპარაკა: ეჰ, ჯული, ჯულიო! მერე კი ნელ-ნელა შემობრუნდა ჩემსკენ.

- ქალბატონო!
- გისმენთ, ბატონო!
- ქალბატონო, „კილკის“ კონსერვი მარტო ეგ გაქვთ? - მკითხა და თაროზე შემოდებულ ორ „კილკის“ ქილაზე მიმითითა.

- არა, რვა ცალი მაქვს.

- ყველას ავიღებ და ხუთ-ხუთი შეფუთვა ასანთი და მარილიც დაუმატეთ ზედ.

- ეგ სათამაშო მანქანების კომპლექტი რა ღირს? - მიმითა სათამაშო მანქანების კომპლექტზე კაცმა.

- თხუთმეტი ლარი.

- მაგასაც ვიყიდი, - თქვა და ჯულის შემოტანილ ძონძებისაკენ შებრუნდა.

- ეს „კურტკა“ რა ღირს, ქალბატონო?

- ოცი ლარი.

- გადმოიღეთ. ავიღებ, ჩემს შვილიშვილს გამოადგება.

მე „კურტკა“ შევუფუთე უცნობს და ზრდილობიანად კვითხე:

- კიდევ ხომ არაფერს ინებებთ, ბატონო?

- ახლავე, - მიპასუხა მან და ისევ ძონძებისაკენ შებრუნდა. თითქმის ერთიანად იღებდა თითოეულს და მკლავზე ილაგებდა. მე გაოგნებული შევცქეროდი მას.

- დამითვალეთ, ქალბატონო, - თქვა ბოლოს და ძონძები წინ დამიყარა.

ვთვლიდი და ვაფასებდი საქონელს, თან უცნობისაკენ გავაპარებდი -ხოლომე მზერას. ის ოდნავ სევდიანი ჩანდა.

- სამასი ლარი.

- ძალიან კარგი, - თქვა და ჯიბიდან ფული ამოიღო.

- ყუთს მოგძებნი და შიგ ჩაგილაგებ.

- არაა, ქალბატონო, აუცილებელი ყუთის მოძებნა. ახლა მინც ვერ წავიღებ. სტუმრად მივდივარ ზემო სოფელში.

- მაშ, როგორ?

- ჩემი წასვლის შემდეგ ჩაალაგეთ და თუ ერთი კვირის განმავლობაში არ მოვედი შეგიძლიათ სხვაზე გაყიდოთ.

- მაშინ ფულს რად მიტოვებთ, ბატონო?

- გთხოვთ ფული დღესვე გადასცეთ ჯულის, - თქვა უცნობმა და კარში გავიდა თავდახრილი.

## ჩანჩურა - კულაბახალა

- თემო, ეკა, ჩანჩურა-კულაბახალა ძია მოდის! - გასძახა ნიკამ მოთამაშე ბავშვებს. ბავშვებმაც სილის ორმოში თამაშს თავი დაანებეს და გარს შემოეხვივნენ ეზოში შემოსულს.

- ხომ გამიკეთებ, ჩანჩურა-კულაბახალა ძია, ხისაგან ხმალს?  
- მკითხა ნიკამ.

- გაგიკეთებ, როგორ არ გაგიკეთებ, შენ ხომ ჩემი უახლოესი ძმაცაა ხარ, ნიკა.

- მეც ხომ გამიკეთებ?

- შენც გაგიკეთებ, თემო, როგორ არ გაგიკეთებ. აბა, ომში შენ და ნიკა ერთი ხმლით ხომ ვერ წახვალთ.

- მე არ გამიკეთებ, ძია?

- შენ, ეკუნა მოჩუქურთმებულ სარკეს გაჩუქებ.

- სარკე ომში რომ არ გამომაღება?! - აწუწუნდა ეკა.

- იცოდე ეკა, სამშობლოს მარტო მეომრები არ სჭირდება, სამშობლოს ლამაზი გოგონებიც სჭირდება და რომ ლამაზი იყო, ამისათვის სარკეა საჭირო.

- მე მაინც ბიჭებთან ერთად მიჩვენია!

- ომი ქალის საქმე არ არის. ომში ვაჟაკებმა უნდა იბრძოლონ, აი ზუსტად ასეთმა ვაჟაკებმა, როგორიც თემო და ნიკაა.

- როდის იქნება ჩვენი ხმლები მზად, ჩანჩურა-კულაბახალა ძია?

- რად ეძახი ჩანჩურა-კულაბახალას, ეს ხომ ზაზა ძიაა. - შენიშნა ნიკას თემომ.

- თუ ზაზა ჰქვია, მაშ, რად მკითხა ეთერმა და თამრიკო დეიდამ, სად დაიკარგა შენი ჩანჩურა ძიაო.

- მართლა, სად დაიკარგე, ზაზა ძია? - ჰკითხა თემომ.

- სამსახურსა და ოჯახში ვიყავი ცოლთან. ცოლთან, რომელმაც ჩანჩურა-კულაბახალა დამარქვა, - ჩაიჩურჩულა ზაზამ.

- რა თქვი, ზაზა ძია?

- არათფერი, ჩემო კულრაჭა, ისე ჩავილაპარაკე ჩემთვის.

- რატომ არ მეუბნები, როდის გამოიკეთებ სარკეს?  
- ახლავე გაჩუქებ, მე ის უკვე გაკეთებული მაქვს, - ვუთხარი პატარას და წინ გავუძიხი.

დაბოლოებული შეგვიდო ბინაში, რომელიც სავესტო იყო გასაყიდად გამზადებული სასურათე ჩარჩოებით და სარკეებით. ერთი პატარა სარკე მოჩუქურთმებული ჩარჩოთი ავიღე და პატარას გავუწოდე.

- ეკა, ესეც შენი საჩუქარი. აბა, შენ იცი, როგორ მოიხმარ, სამახსოვროა ჩემგან.

- გმადლობთ, ძია.

- ეკა, ნუ დამიძახებ ჩანჩურა-კუდაბახალა ძიას. მე ჩანჩურა არა ვარ, ტყუილია ეგ, - დავუწყე ხვეწნა ბავშვს.

- არა, აღარ დაგიძახებ ჩანჩურა-კუდაბახალა ძიას. შენ ხომ ჩვენი კეთილი ძია ხარ. - მითხრა ბავშვმა და გახარებული ეზომი გავარდა. მე, მარტოდ დარჩენილმა, ყველაზე დიდი სარკე კედელზე ჩამოვკიდე და მის წინ დავდექი. სარკეში თმიდან ტერფამდე ვჩანდი. ჩემს ანარეკლს დავაკვირდი.

- ეს რა კარგი ვაჟკაცი ვყოფილვარ ისევ! - ჩავილაპარაკე ჩემთვის. ნეტავ რა მიგავს ჩანჩურას?! სიმაღლე, სივანე თუ გამოხედვა და სილამაზე. მართალი რომ ვთქვა, ახლა უკეთ გამოვიყურები, ვიღრე ათი წლის წინათ. ჯანი მე არ მაკლია და მოქნილობა. არამკითხვა ეს ხალხი. ვინ ჰკითხავს ჩემს მეზობელ ქალებს, მე ჩანჩურა ვარ თუ რაინდი?!

ერთხანს ჩავფიქრდი და ისევ შემეპარა ეჭვი ჩემს თავში.

თუ მართალია ასეთი ვაჟკაცი ვარ, მაშინ რატომ დაემთხვა ერთმანეთს ჩემი მეუღლისა და ჩემი მეზობლების აზრი. ნეტავ, მართლა ჩანჩურა ხომ არა ვარ? - დამეზავა კითხვა, რომელმაც კარადასთან მიმიყვანა და ჩემი საუკეთესო ტანისამოსი ჩამაცვა, ჰალსტუხიც გამაკეთებინა და ისევ სარკის წინ დამაყენა.

- ჩანჩურაო! ჩანჩურა კი არა რაინდი ვარ, ნამდვილი რაინდი! ნეტავ რად განვიცდი? ჰკვიან კაცს ხომ აქვს ნათქვამი: „ვინც რა უნდა თქვასო“ ჰოდა, თქვან. ყველა ბრმა კი არ არის, რომ ვერ დამინახოს, ვინცა ვარ? ზაზამ ერთხელ კიდევ აათვალ-ჩათვალიერა თავისი ანარეკლი სარკეში და გარეგ-



ნობით მოხიბლული მაგიდასთან დაჯდა, მომავლის გეგმებზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ მოულოდნელად შეკრთა. ისე შეკრთა, თითქოს, წინ რაღაც საშინელება აესვეტაო.

- სულ ეს დარჩა ჩემგან?! — წამოიყვირა და წამიერად გაირინდა. ასე იყო ერთხანს, შემდეგ თვალი კედელზე დაკიდებულ მეუღლის სურათს მიაპყრო და როგორც ცოცხალს, ისე გაუბა საუბარი.

- რატომ მითხარი, ჟუჟუნა, ჩანჩურა კაცი ხარო? გამეცი პასუხი. რას ღუმხარ? ეგებ პასუხის გაცემის ღირსადაც აღარ მთვლი, ნება შენი იყოს. ისე, უბრალოდ, შეგეკითხე, თუ არა, ძალიან კარგადაც ვიცი, რატომაც დამარქვი ჩანჩურა. არ გეგონოს მარტო შენ ფიქრობ ასე ჩემზე. სრულიადაც არა, უკვე ბევრი ფიქრობს ჩემზე შენსავით. რაკი ფიქრობთ და ასე გგონიათ, ალბათ, საბაბიც გაქვთ. დღეს, შენ ჩვენი ერთად ცხოვრების პერიოდში პირველად მაკადრე ჩანჩურა კაცი ხარო. იცი როგორ განვიცადე შენი ნათქვამი? მაგრამ შენს გაღიზიანებულ, დაღლილ თვალებს რომ შევხედე, მივხვდი, რომ მეც რაღაც შემეშალა, შენ კი მეტი აღარ შეგეძლო. მართალი ყოფილა ნათქვამი: „ჭირი თავს არ დამალავსო“ და არც დამალა. ვინ იცის რამდენი ფიქრი, დარდი და საკუთარ თავთან ბრძოლა გადაიტანე ვიდრე ჩანჩურას მაკადრებდი. ახლა გთხოვ, ნუ ვიჩხუბებთ. ჩვენ ხომ არასოდეს ვჩხუბობდით. გთხოვ, მშვიდად მომისმინო, ეგება მეც მაქვს სათქმელი. შევთანხმდით? კარგი, რაკი შევთანხმდით, დავიწყებ:

- გახსოვს როგორ გქონდა ჩემი იმედი ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში? ან რატომ არ უნდა გქონოდა? მე ხომ ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა ინჟინერი ვიყავი, დროსა და პირობებს მორგებულნი. ისიც ხომ გახსოვს, როგორ ამყოფობდი ამით? როგორი ტკბილი და თბილი იყო მაშინ ცხოვრება ჩვენს ორ პატარასთან ერთად. დრო რომ არ შეცვლილიყო, ყველაფერი კარგად იქნებოდა. შრომა მე არ მეზარებოდა, ნიჭი მქონდა და ენერჯია. მიყვარდა ჩემი საქმე და ვიყავი ამით ბედნიერი. ახლა კი დრო შეიცვალა. ჩემნაირების დრო წავიდა. თაღლითთა და მლიქვნელ-ავაზაკთა დრო დადგა. ასე მგო-

ნია, თითქოს ადამიანებმა ზნე იცვალეს, ღვთის მოშიში კაცი, სანთლით რომ ეძებო, ველარ ნახავ. ამიტომაც ავიკარ გულა-ნაბადი, ყველას დავცილდი და ჩემთვის ჩავიკეტე, ვიფიქრე, ისე როგორ დაანგრევენ ქვეყანას, პურის ფული რომ ვერ ვიშოვო მეთქი, მაგრამ შევცდი. ქვეყანაც დაანგრიეს, ხალხიც დაამშვიეს და მეც მათ მიმავალეს. გული მაინც არ გაგიტეხე, მეგობარს, აი, ეს ოთახი ვთხოვე, შიგ ჩავიკეტე და დავიწყე სურათების ჩარჩოების დამზადება, მაგრამ ხომ გაგიგონია „ზარბაზნები როცა ქუხან, მუზები ღუმანო“. ვის სჭირდება ახლა სურათის ჩარჩო! რა ესურათება გაჭირვებულ ხალხს? მივხვდი, ჩემი საქმიანობით არაფერი გამოვიდოდა, მივდექ-მოვდექი და რა ვნახე, ჩემისთანა კაცი ასეთ ღროს აღარავის სჭირდება. მე მაინც ვეძებ ჩემს ადგილს ცხოვრებაში, ვეძებ და ვერ ვპოულობ. მხოლოდ დღეს მივხვდი რაღაცას. დილას რომ მითხარი ჩანჩურა კაცი ხარო და აქაც ჩემმა მეზობლებმა გამიმეორეს. ახლა მართლა მჯერა თქვენი, მე, მართლაც, ჩანჩურა-კუდაბახალა კაცი ვარ. კიდევ იცი რას მივხვდი? თუ ცხოვრებაში პატარა მსახიობი მაინც არა ხარ, ჩანჩურა-კუდაბახალობას ვერ ასცდები. მე ვიცი, რომ ყველაფერი შემიძლია, მაგრამ ამქვეყნად კაცი იმით კი არ ფასდება, თუ რა შეუძლია, არამედ, თუ რა გააკეთა მან. არ მინდა ასეთი დავრჩე და არც დავრჩები, მაგრამ ვიცი, რომ ღმერთთან მომიწევს დაცილება. არ თქვა, ადამიანო, სად სცალია ღმერთს, ამქვეყნად რამდენი ზაზა იქნება იმისთვისო. ჰაი, ჰაი, რომ სცალია, ყოველ ადამიანში ხომ საკუთარი ღმერთი ზის და თუ ადამიანი იმ საქმეს აკეთებს, რომელიც მის ღმერთს არ მოსწონს, მაშინ ადამიანს სტანჯავს საკუთარი ღმერთი. ამ ტანჯვას ჩვენ, უბრალოდ, სულიერ ტანჯვას ვუწოდებთ. ასე რომ, დღეიდან მე დამტანჯავს საკუთარი ღმერთი, მაგრამ მაღიარებ შენ, მაღიარებენ ჩემი მეზობლები და საერთოდ, მაღიარებენ ადამიანები. მხოლოდ აღარ შეგებრალები ჩემს ღმერთს. აღარ შეგებრალები იმიტომ, რომ დაცილებული ვიქნები მასთან. მე ვიცხოვრებ შენი, ჩემი შვილების, ჩემი მეზობლების და საერთოდ გულნამცვეა ადამიანების კარნახით.

## X X X

იმ ღამეს ზაზას გვიან ჩაეძინა და დილით ადრე გაეღვიძა. გაეღვიძა და ისევ ჟუჟუნას ნათქვამი გაახსენდა, ჩანჩურა კაცი ხარო. ისიც გაახსენდა, რომ დღეს ბავშვი უნივერსიტეტში ვერ წავიდოდა, გზის ფულის უქონლობის გამო. ზაზა წამოდგა და იმ ოთახში გავიდა, სადაც ჩარჩოები ჰქონდა დალაგებული.

- დილითვე უნდა ვიშოვო ბავშვისთვის გზის ფული. რომ უნდა ვიშოვო, ეს ცხადია, მაგრამ როგორ უნდა ვიშოვო, საკითხავი აი ეს არის, - ჩაიჩურჩულა და თვალი ისევ კუთხეში მილაგებული ჩარჩოებისაკენ გაექცა. იქნებ ვინმემ ჩაიბაროს? ან ბაზრობაზე გავალ ადრინადად. ხომ შეიძლება, რომელიმე მხატვარმა, თუნდაც ნახევარ ფასად იყიდოს. აუცილებლად რაღაც უნდა მოვახერხო, თორემ ბავშვი აიცრუებს გულს სწავლაზე.

ფიქრებში გართულ ზაზას გაახსენდა წასასვლელი რომ იყო, ჩარჩოები ჩანთაში ჩააწყო და ქუჩაში გავიდა. სად არ იარა, ვის არ შესთავაზა ისინი, მაგრამ ერთი ცალიც ვერ გაყიდა. საღამოს დაღლილ-დაქანცული დაბრუნდა. მარტო დარჩენილს ფიქრი მოეძალა. - რა ვქნაო, - ჩაილაპარაკა ხმამაღლა და მოცულილივით დაეცა ტახტზე. ფიქრი უფრო და უფრო დაფათურობდა მის ტვინში.

- თუ გარეთ არ გავედი, გავგიჟდები, - გაიფიქრა და ზეზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ეზოს ბოლოში, ღობის გადაღმა, ჩოჩქოლი შენიშნა. რამდენიმე ახალგაზრდა ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებდა და საკუთარ ღედებს აგინებდნენ.

- საცოდავები! - ჩაილაპარაკა ზაზამ და ფიქრი გააგრძელა, - ახლა ამათ ვაჟკაცობის ნატმალი რომ ჰქონდეთ და ერთმანეთის არ ეშინოდეთ, ფრაზის ნაცვლად „ჩემი ღედა“, „ჩემი კარგებიო“ იტყოდნენ: „შენი ღედა“, „შენი კარგებიო“. ეჰ! სანამღე დაეცა ჩვენი ახალგაზრდობა!

ახალგაზრდების ბილწისიტყვაობით შეწუხებული ისევ მივიდა ფანჯარასთან, გამოალო იგი და ახალგაზრდებს ზრდილობისაკენ მოუწოდა. მოკამათე ახალგაზრდებმა ერთმანეთთან კამათს თავი დაანებეს და ზაზას ამოსძახეს:

- ჰეი, შენ ბიძავ, შენს საქმეს მიხედვ. თავი მაკარენკო რომ გგონია. ვერ ხედავ აქ „რაზბორკა“ მიდის?

- თქვენი „რაზბორკა“ არ ვიცი მე, მოწყდით აქედან! თქვენ რომ რამის თავი გქონდეთ, საკუთარ ღედას არ დაიგინებდით.

- გინდა შენც შეგაგინო ღელა? - ამოსძახა ერთ-ერთმა მოკამათემ.

- აბა გაბედე!

- მე შენი ღელა ..., ძია კაცო!

X X X

- ეს რა შეკაფივით კაცი იყო, ბიჭო! რა დარტყმა ჰქონდა! მომლო თუ არა, ცა განათდა, მეტი აღარაფერი მახსოვს. რა გვიყო ექვს კაცს! ნაცნობმა, თუ ვინმემ დაინახა, ჩვენი „ვაჟკა-ცობა“, თავი აღარ გამოგვეყოფა ქალაქში.

- სულ შენი ბრალია, მურთაზ, რად აატლიკინე ენა! - უსაყვედურა ერთმა ახალგაზრდამ მეორეს.

- ჩვენი ბედი რომ ქართველებმა მიშველება არ ვიცი, თუ არა, გაქვევასაც ველარ მოგახერხებდით, - ჩაერთო კიდევ ერთი თვალდალურჯებული საუბარში.

X X X

სალამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც კარზე კაკუნი გაისმა. ზაზამ კარი გააღო.

- თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო თამრიკო? - გაიკვირვა კაცმა.

- დიახ, მე ვარ, დღეს ჩემი სტუმარი მინდა იყო, რამდენი ხანია მეზობლები ვართ და კიდევ არ გაგვიცვნია ერთმანეთი.

- გმადლობთ, ქალბატონო თამრიკო!

ცოტა ხნის შემდეგ ზაზამ თითი დააჭირა მეზობლის კარის ღილაკს.

- მობრძანდით, ბატონო ზაზა, - შეიპატიჟა ქალმა.

- ეს თქვენ, ჩემგან საჩუქრად, - უთხრა ზაზამ ქალბატონს და ჩარჩოში კობტად ჩასმული სურათი მიაჩვენა.

- რა ლამაზია! რომელ მხატვარს ეკუთვნის?

- მე დავხატე.
- შენ ხატვა გეხერხება?
- მე ყველაფერი მუხერხება, - გაიხუმრა ზაზამ.
- ამ სურათის სახელი, ალბათ, „ემმაკები სამოთხეშია“, არა?

- უყურე ამათ როგორ ნებივრობენ და როგორ სცემენ თაყვანს ფერიები. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ამის ავტორს რომ დავუჯერო, სამოთხე ემმაკების ყოფილა. არაფერი მესმის, ვერაფერი გამიგია!

- არა უშავს, ყველაფერს ჩქარა გაიგებ. ისე, კაცმა რომ თქვას, მარტო მე ვიქნები შენი სტუმარი? - შეცვალა საუბრის თემა კაცმა.

- ჩემთან გეშინია? - გაიხუმრა ქალმა.
- არა, ისე...
- მარტონი არ ვიქნებით, ეთერი გვესტუმრება.
- ეთერი, ალბათ, ის ქალბატონია თქვენთან ხშირად რომ სტუმრობს?

- შენ რა იცი ვინ, როდის და რატომ სტუმრობს ჩემთან, თუ მარტო ეთერი გაინტერესებს?

- ჩვენს შორის დარჩეს და შენი ეთერი...
- რა ჩემი ეთერი, ხომ არ მოგწონს?
- რატომაც არა, ჯიშინი ქალია, - თქვა ზაზამ და თამ-რიკოსაკენ გააპარა თვალი, რა რეაქცია ექნებაო.
- მართლაც, კარგი ქალბატონია. იცოდე სხვისი ყურადღე-ბაც არ აკლია მას.

- ეჰ, რომ იცოდე! - თქვა კაცმა და გაჩუმდა.
- რა ვიცოდე, აბა, თქვი ჩქარა.
- თუ შემეხვეწები, გეტყვი.
- გეხვეწები!
- მე შენ ავირჩევდი. შენს და ეთერს შორის არჩევანის უფლება რომ მქონდეს.

- შენ ის კაცი არ ყოფილხარ, მე რომ მეგონე, ზაზა!
- არა, მე ის კაცი არა ვარ, შენ და ეთერს რომ გგონივართ.
- მე და ეთერს ვინ გგონივართ? - ქალი ყველაფერს მიხვდა

და „გაანჩხლდა“.

- თამრიკო, შენი მეუღლე სადაა? - ისევ შეცვალა კაცმა საუბრის თემა.

- მეორე წელია ამერიკაშია.

- მერე არ გიჭირს მის გარეშე? ჯერ ისევ ახალგაზრდა ბრძანდები.

- რას ვიზამ, ვითმენ, სხვანაირად არ შეიძლება.

- თამრიკო, მე შენ ძალიან მომწონხარ.

- რას ამბობ ზაზა?! არ იცი, რომ მეზობლის ქალთან მსგავსი ხუმრობა არ შეიძლება.

- არა, არ ვიცი, მე სხვანაირად არ შემიძლია. მე ეს აუცილებლად უნდა მეთქვა შენთვის, დღეს თუ არა ხვალ. მე შენ თავდავიწყებით მომწონხარ, როგორც ქალი. გეხვეწები გემუდარები, თამრიკო, ნუ მეტყვი უარს, შემიბრალე, მეც აღამიანი ვარ, ამასრულებინე წადილი, თუნდაც ამ ერთხელ და შემდეგ შენს მონად მაქციე.

კაცის სიტყვებმა ქალი ერთიანად მოაღბო, მოეშვა.

ზარის ხმა გაისმა. მასპინძელმა კარი გააღო, ოთახში ეთერი შემოვიდა, ზაზას მიესალმა და სავარძელში ჩაჯდა. ორ ქალს შორის ზაზა ენად გაიკრიფა.

- ჰა, გოგონებო, მითხარით ვინ ვარ მე?

- ვინ და ჩვენი რაინდი მეზობელი, რომელმაც დღეს ექვს ხულოგანს სიფათი მიუწაყა.

- არა, არა, რაინდის გარდა, ვინ ვარ მე?

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და ხმამაღლა გადაიკისკისეს.

- თქვით, ნუ გერიდებათ.

- ჩანჩურა-კუდაბახალა, - წამოიძახა ორთავემ ერთად.

- მართალი ხართ, გოგონებო. ამქვეყნად თუ ღმერთი გწამს და სინდისი შეგრჩენია, ჩანჩურად მოგნათლავენ. ახლა ჩვენთან კაცობა, პატიოსნება და ღმერთთან სიახლოვე ჩანჩურა კაცის დამახასიათებლად ითვლება, ყველა დრო თავისთვის შესაფერის გმირებს ქმნის. კონკრეტული დროისათვის შეუფერებელი ყველა ჩანჩურაა, ვინც არ უნდა იყოს ის.

- ახლა ფილოსოფოსობას თავი ვანებოთ, ჩემო სტუმრებო, და ნალექიანი ყავა მივირთვათ. ხომ უმკითხავენ, ეთერ, ჩემი კარის მეზობელს?

- კი არ ვუმკითხავენ, ფინჯანში ჩავუხედავ.

- ესე იგი, ფინჯანში ჩაიხედავ და იქ ეწერება ჩემზე ყველაფერი?

- დიახაც რომ ეწერება, შენ თვითონ ნახავ, რომ იქ მართლა წერია შენზე ყველაფერი.

- აბა, შენ იცი, ქალბატონო ეთერ! ამ ბოლო წლებში მე თვითონ ვერაფერი გამირკვევია ჩემს შესახებ და თუ ამ სიკეთეს გამიკეთებ, შენ გახდები ჩემი ნომერ პირველი მეზობელი, - თქვა ზაზამ და დაცლილი ფინჯანი ეთერს მიაწოდა.

ქალმა ფინჯანთან დაკავშირებული ყველა პროცედურა გულდასმით შეასრულა, მერე შიგ ჩააცქერდა და ღინჯად დაიწყო:

- გული დარდიანი, დახურული, მწუხარე, - თქვა და თავი ასწია, ზაზას შეხედა და ჰკითხა:

- რა მოგივიდა მეზობელო, შენ გული უფსები ჭურჭელი ხომ არ გგონია, ყველაფერს რომ შიგ ინახავ, არ გენანება? - ქალმა ისევ გააგრძელა ფინჯანში ცქერა და თამრიკო მოიხმო.

- მოდი ნახე, რა გააგებული, მოსისინე ბატი მიიწვეს ბატონ ზაზას დასაკბენად. თამრიკომ გულიანად გადაიკისკისა. ზაზასკენ შებრუნდა და ჰკითხა:

- ბატონო ზაზა, ხომ ვერ გვეტყვი, ვინ უნდა იყოს ის გააგებული ბატი, ასე რომ ცდილობს შენს დაკბენას?

- ალბათ, ჩემი მეუღლეა, - უპასუხა ზაზამ. მის პასუხზე ყველამ ერთად ხმამაღლა გადაიხარხარა.

- ეს ორი ჭაბუკი, ბატონო რომ ახლავს, ალბათ, შენი შვილებია, არა? - ჰკითხა ეთერმა.

- დიახ, ეგ ორი ჭაბუკი ჩემი შვილებია, დედას ზურგს უმაგრებენ.

- ეს, მართლაც კარგი რამ ჩანს, ბატონო ზაზა!

- მაინც?

- ბატონო ზაზა, შენკენ სამი ამური მოფრინავს, ორი ერთად. ერთი ოღნავ უკან. ხომ იცით, რას ნიშნავს ეს?

- არა, არ ვიცი.
  - სამ ქალს შეუყვარდები და შენც შეგეყვარდება ისინი.
  - ორი უკვე შემეყვარდა.
  - აბა, აბა! ფრთხილად იყავ, მეზობელო. არ დაგავიწყდეს: „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებო“.
  - მე კი მეგონა, გოგონებო, რომ თქვენც მაროს დღეში იყავით, - თქვა ზაზამ და ეშმაკურად ჩაიღიმა.
  - რა დღეში იყო მარო? - იკითხა ეთერმა.
  - ჰოდა, გოგონებო, მაროს ჰყავდა მეზობელი მიხო...
  - მერე, მერე!
  - ერთხელ მარომ განიზრახა გაეგო, რა ედო გულში მის მიმართ მეზობელ მიხოს. ჰოდა, ერთ დილას შეხვდნენ მეზობლები ერთმანეთს ვენახის ბოლოს. აი მომენტ! - იფიქრა მარომ და პირდაპირ აჯახა მიხოს.
  - მიხო, ჩემო მეზობელო, რას ფიქრობ ჩემზეო?
  - იმაი ვფიქრობ, რასაც შენ ფიქრობ ჩემზეო, - უპასუხა მიხომ.
  - არ გრცხვენია, მიხო, მე ხომ შენ ძმად მიმაჩნდიო.
- ქალებმა გულიანად გადაიკისკისეს, ეთერმა კი ისევ გააგრძელა ფინჯანში ცქერა.
- ჰოდა, ჩემო მეზობელო, მომავალში გელოდება დიდი ფული და ტკბილი ცხოვრება. ახლა კი ფინჯანში თითი ჩაჰყავი და დაატრიალე, - სთხოვა ეთერმა ზაზას. კაცმა ზუსტად შეასრულა ქალის თხოვნა.
  - ეს რას ჰგავს ზაზა? გულში ამდენი დარდი რატომ გაქვს?..
- ახლადგაცნობილი მეზობლები გვიან დაიშალნენ.

X X X

ახლადჩაძინებული ზაზა კარზე ფხაჭუნის ხმამ გამოაღვიძა.

- ნეტავ ერთი ამ კატას საქმე რომ არ აქვს, ამ შუალამისას სადმე რომ მიიძინოს, არ ურჩევნია? ფხაჭუნი ისევ განმეორდა. ნეტავ რას მერჩის ეს კატა, ამასაც ჩემი შური აქვს? - გაიფიქრა და წამოდგა, კარი გააღო, რომ კატა დაეფრთხო.



ოთახში როგორც ნიავი ისე შემოიპარა ეთერი.

- ეთერ!.. - ზაზას ენა დაება.

- ქალმა ტუჩზე თითი დაიღო და ასე ანიშნა, გაჩუმდით. ნახევრადმძინარე კაცი საწოლზე ჩამოჯდა უხმოდ. ეთერმა ერთი კი შეხედა, მერე ფრთხილად თითქოს ეპარებაო, ისე მიუახლოვდა, ხელები შემოხვია და თავდავიწყებით დაუწყო კოცნა, თან ჩურჩულით უთხრა:

- ზაზა, ის ამური ჩემგან იყო გამოგზავნილი.

ქალი ერთი საათის შემდეგ ისევ ნიავივით გაიპარა, როგორც შემოიპარა.

გათენდა. მზის შუქი უფარდო ფანჯარაში შემოიპარა. ზაზამ უსიამოვნოდ დახედა წინა დღით ჩალაგებულ სურათის ჩარჩოებით სავსე ჩანთას და საკუთარ თავს ჰკითხა:

- ვიშოვი თორმეტ საათამდე ორ ლარს? - ჰკითხა და აბაზანაში შევიდა, სახეზე ცივი წყალი შეიშხაპუნა, წყალმა ცოტა გამოაფხიზლა და ხალისიც დაუბრუნა. ყველაფერი კარგად იქნება, - დაიმშვიდა გული და ისევ მოჰკიდა ხელი ჩარჩოებით სავსე ჩანთას. სადარბაზოში გასულმა ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ თამრიკომ თავისი ბინის კარი გააღო და ზაზას დილაშვილობისა უსურვა.

- დილა შვილობისა, თამრიკო. ჩვენ ორთავეს ადრე ადგომა გვყვარებია, - გაეხუმრა ზაზა.

- თუ შეიძლება, ერთი წუთით ჩემთან შემობრძანდით. - სთხოვა ქალმა კაცს.

- ხომ შვილობაა, თამრიკო?

- შემობრძანდით და ნახავთ.

გაოცებული ზაზა თამრიკოსთან შევიდა. ქალმა კარი სასწრაფოდ მიხურა, კაცს ყელზე ჩამოეკიდა და თავდავიწყებით დაუწყო კოცნა. ზაზა ჩანთით ხელში გაოგნებული იდგა და ვერ გაეგო, რა ხდებოდა. დაბნეულ-დამორცხვებული ცდილობდა ქალის მკლავებიდან თავის დაღწევას.

- ზაზა, ვერსად ვერ გაგიშვებ, ჩემთან უნდა დარჩე. მთელი დღე უნდა დარჩე ჩემთან.

- რას ამბობ?! -

- ზაზა, მეც ადამიანი ვარ. ქალი ვარ ჩვეულებრივი. ქალი, ცოცხალი ადამიანი და ყველაფერი ისევე მჭირდება მიწიერი, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს. რატომ უნდა ვიცხოვრო ასკეტივით? მე ხომ ერთხელ მოველ ამქვეყნად და აღარასოდეს განვმეორდება. რატომ არ უნდა ვაკეთო ის, რაც მე მინდა და რაც მე მჭირდება!..

ქალმა მამაკაცს პერანგის ღილების გახსნა დაუწყო. კაცს, რომელიც ქანდაკებასავით უძრავად იდგა ჩარჩოებით სავესე ჩანთით ხელში. მორჩა თუ არა მამაკაცის პერანგის ღილების გახსნას ოდნავ უკან დაიხია, ხელები სარაფანის საყელოში ჩაივლო და მთელი სიგრძე ჩაიხია. ზაზას წინ "შიშველი ქალი იდგა მთელი თავისი მომზიბვლელობით, რომელმაც კაცს გონზე მოსვლა არ აცალა, კისერზე ჩამოეკიდა და თავისი "შიშველი მკერდი მის "შიშველ მკერდს მიაკრა.

X X X

ზაზამ ჩანთა აიღო და კარისაკენ გაემართა.

- სად მიდიხარ? - ჰკითხა ვნებადამცხრალმა.

- ოჯახში, ბავშვს გზის ფული უნდა მივუტანო.

- მერე გაქვს? - კაცი გაჩუმდა.

- ზაზა, შენ ფული არასოდეს არ გექნება.

- რატომ არ მექნება, სხვა რითი მჯობია?

- არა, არ გექნება, შენ ორ სხვადასხვა, სრულიად განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობ. ადამიანს თუ სურს მატერიალურ კეთილდღეობას მიაღწიოს, აუცილებელია მხოლოდ რეალურ სამყაროში იცხოვროს და მისი ნაწილი გახდეს მთლიანად. შენ კი სხვა კაცი ხარ. თუმცა გატყობ, ესეც შეგიძლია.

- როგორ მატყობ?

- გატყობ. შენ ერთ ღლეში შექელი, რომ მთლიანად შემცვლოდა შენზე შეხედულება.

- მართლა?!

- მართლა, - თქვა თამრიკომ და მეზობელ ოთახში გავიდა, ფული გამოიტანა და ზაზას მიაწოდა.

- აიღე ზაზა ფული. აიღე, ნუ გრცხვენია. მე ვიცი, რომ

ფული არა გაქვს და ვერც იშოვი. ეგ შენი ჩარჩოები არავის სჭირდება. მიკვირს თავს რად იტყუებ. რეალობაში დაბრუნდი, ის სულ სხვაა, ის ყოფითია და ძლიერი. ყოფითი კი ყოველთვის წინ აესვეტება ადამიანს და აიძულებს რეალობას ანგარიში გაუწიოს. აიღე ეს ფული, აიღე, თორემ, დღეს შენი შვილი უნივერსიტეტში ვერ წავა. წასვლა კი აუცილებელია. აიღე ფული და დარჩი ჩემთან. მე მიწიერი ვარ, შენც მიწიერი ხარ, ისეთი, როგორც მე და სხვა ყველა. შეიგნე ეს, შეიგნე, თორემ დაიღუპები. ჯერ არ გაგონილა, ადამიანს მიწიერი ცხოვრების გარეშე ეარსებოს. მიწიერება მართავს სამყაროს, ჩაესმოდა ზაზას თამრიკოს ხმა, თუმც, თამრიკო ჩუმიად იყო და სიტყვას არ ამბობდა.

ზაზამ ჩარჩოებით სავსე ჩანთას დახედა. არა, არავის არ სჭირდებოდა, - უთხრა. ხელი დაავლო და ფანჯრიდან ეზოში მოისროლა.

იმ დღეს ზაზას შვილი უნივერსიტეტში წავიდა.

X X X

- ზაზას გაუმარჯოს, ზაზას! - ხმამაღლა შესძახა ალექსანდრემ და მეგობრისაკენ გაემართა.

- როგორ ხარ, ძმაო? სად დაიკარგე, შეიძლება ასე მეგობრის დავიწყება? ჩვენი საქმიანობის შეწყვეტით მოკვდება ქართული მხატვრობა.

- არა მიშავს, ვცოცხლობ, ვფიქრობ და ვმოქმედებ.

- შენ რაღაც სხვანაირად გამოიყურები. საიდან ახალი პერანგი და ფეხსაცმელები? საქმე ხომ არაფერი გამოგიჩნდა? - გაეხუმრა მეგობარი.

- არა, არ გამომჩენია, უბრალოდ რეალობაში გადავსახლდი. სადაც ყველაფრის შოვნა შეიძლება, თურმე.

- თუ ძმა ხარ, პირდაპირ მითხარი, რისი თქმა გინდა. შენი მიკიბულ-მოკიბულის ვერაფერი გავიგე.

- რა ვერ გაიგე, ალექსანდრე? რეალობას დავემოჩილე. მორჩა და გათავდა.

- დამორჩილებული, დამარცხებული და დაბეჩავებულის

მეტი რა მინახავს მე, შენ კი მათ არ ჰგავხარ, დაცვარული კიტრივით ცოცხლად გამოიყურები.

- ახალი პერანგი და ფეხსაცმელი ბევრს არაფერს ნიშნავს, მეგობარო.

- კარგი, კარგი ზაზულა. შენ ხომ იცი ფილოსოფოსი არ ვარ, მაგრამ ხანდახან ჭიქა არყის გადაკვრას კი ვახერხებ. სჯობს ჩემს სახელოსნოში შევირბინოთ და ვიჭუკჭუკოთ ცოტა. ოცთეთრიან ჩხირებს აქვე ვიყიდი ჯიხურში. ამის მეტი რა უნდა ხელოვან ხალხს, დროის გასატარებლად.

- თანახმა ვარ, მხოლოდ ცოტა ცივი ლუდი, თევზი და სხვა დასაყოლებელიც გავაყოლოთ ხელს. მარტო არაყი „პაჟარს“ გაგვიჩენს.

- კაცო, შენ ხომ არაფერი გიპოვნია?

- როგორ თუ მიპოვნია, სხვაზე ნაკლები გგონივარ? საქმეებს ვმანსავ, ფული შემოდის.

- არ მჯერა ზაზა, შენ რომ იმ წესებით მოულობდე ფულს, როგორი წესებითაც დღეს საქართველოში იშოვება.

- ვმოულობ, ალექსანდრე, ვმოულობ, კაცი რეალობას უნდა მოერგო, თუ არა, ხალხი ჩანჩურას დაგიძახებს.

- მერე ასე ადვილია რეალობის მორგება?

- ადვილი არაფერია, მაგრამ, საჭიროება თუ მოითხოვს, ყველაფერი უნდა შეიძლოს. ალექსანდრე, ეს რა მშენებლობა დაუწყიათ შენს მეზობლად? გადაიტანა ზაზამ საუბარი სხვა თემაზე.

- ზუსტად არ ვიცი, ამბობენ ვილაც მილიონერი სახლ-კარს აშენებსო.

- ეტყობა, მართლაც, მილიონერია, თუარა ამხელა მშენებლობას როგორ წამოიწყებდა?!

- კი არ წამოიწყო, უკვე ამთავრებს. ყოველ დღე ოცდაათი-ორმოცი მუშა მუშაობს აქ.

- ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, ვისაც უნო აქვს!

- ეს რა მანქანები მოგრიალდნენ? - თქვა ზაზამ და ქუჩაში მომავალ მანქანებს დაუწყო ცქერა.

- სწორედ ეგ ბატონია აქაურობის ბატონ-პატრონი.

- რომელი?
- აი, ის, - ალექსანდრემ ზაზას ჩია ჭარმაგ კაცზე მიუთითა.
- ეს დაგვალოლი?
- დაგვალოლი მე და შენ ვართ, თორემ ეგ კი დადის გაჯგიმული. აი, იმ ქალბატონს ხედავ?
- ვხედავ, როგორ ვერ ვხედავ, კარგი ვინმე კი არის.
- მაგ „დაგვალოლის“ მეუღლეა.
- არ გადამრიო!
- ასეა და...
- ნეტავ რად უნდა?.. - ჩაილაპარაკა ზაზამ და მეგობარს გადახედა.
- მგონი ძალიან მოგეწონა ეგ ქალბატონი. გირჩევ გულში არაფერი გაივლო, - ურჩია ნახევრად ხუმრობით ალექსანდრემ ზაზას.
- რომ იცოდე, ქალს მარტო მილიონები არ სჭირდება, კაციც სჭირდება მას. ჰოდა, ჩემო ალექსანდრე, მაგას თუ ქმარი მილიონერი ჰყავს, კაციც ეყოლება ვინმე.
- იქნებ არ ჰყავს და ელოდება. რას იტყვი, ბედს ხომ არ სცდი? - გაიხუმრა ალექსანდრემ.
- შანსი იყოს და რატომაც არა. როგორ, მაკლია რამე თუ?..
- აბა, შენ იცი, მეგობარო. წარმატებებს გისურვებ, - გაიხუმრა ალექსანდრემ.
- შენ იცინე და...
- ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძამიკო.

X X X

ღამის სამი საათი სრულდებოდა, როცა ნასვამი ზაზა ოჯახში დაბრუნდა.

- ჟუჟუნა, მოდი ჩემთან. მოდი აქ დადექ და მომისმინე მე შენი...
- გთხოვ, დაწყნარდე და დაიძინო ზაზა. უკვე გვიანაა, უნერხულია ხმამაღლა ლაპარაკი.
- მოდი, აქ დადექი -მეთქი!

ჟუჟუნა უხმოდ დადგა მთვრალი ქმრის წინ.

- სად ვიყავი დღეს მე? - ჰკითხა ზაზამ.

- მე კი ვადამირიე და... ასე ნულარ დაიგვიანებ, ბავშვებიც რომ არ არიან სახლში.

- სად არიან?

- ხომ გითხარი, მეგობარს სურამში, იტრიაზე მიჰყვებიან -მეთქი.

- იტრიას და იტრიალეს გასწავლი მე შენ! ბავშვებს მიხედე, თორემ!..

- რა მოგდის ზაზა? ასე არასოდეს მეპყრობოდი. იცოდე მეტის ატანა აღარ შემიძლია.

- შენ არც შარშან, ამ დროს შეგეძლო.

- რა არ შემიძლო? რა მჭირდა შარშან ამ დროს?

- არ შეგეძლო ჩანჩურა ქმრისა და უფულობის ატანა. ახლაც გაიძახი არ შემიძლიაო. რა არ შეგიძლია, მითხარი, მე შენი!.. არ გაინტერესებს, ქალბატონო, სად ვიყავი დღეს?

- სად იყავ? - ჰკითხა თვალცრემლიანმა ქალმა.

- სად ვიყავ და წარსულში, ალექსანდრესთან. ხომ გახსოვს ერთ მხატვარზე რომ ვიტყოდი -ხოლომე, ვალს ვერ მისტუმრებს გაჭირვებულია -მეთქი, მასთან ვიყავი და ძალიანაც დავითვეერი. მერე იცი სად წავედი?

- სად?

- სად წავედი და ლევანის ბინაში. სწორედ იმ ბინაში, ერთდროს შენ რომ გემალებოდი -ხოლომე. ჯერ ეთერთან შეგძვერი, მერე თამრიკოსთან. ოცი წუთის წინ გამოვძვერი მისგან რომ იცოდე.

- რას ამბობ, ადამიანო, რომელ თამრიკოსთან, რომელ ეთერთან?

- აი, მათთან, ვინც შენსავით ჯერ ჩანჩურა-კუდაბახალა დამარქვა, მერე კი რაინდი.

- დაიძინე ზაზა.

- არა, არ დავიძინებ, ყველაფერი ბოლომდე უნდა გითხრა.

- რა უნდა მითხრა?

- სიმართლე უნდა გითხრა, გეტყვი კიდევ. შენ ხარ ის

ქალბატონი მე რომ ჩანჩურა მიწოდე! შენ ხარ ის ქალბატონი, რომელმაც ფული არჩიე ქმარს. შენ ხარ ის, ვისაც მოთმინება არ გააჩნია და შენდობის უნარი აქვს დაკარგული.

გთხოვ ნუ მაგინებო. სარისკო საქმეს ნუ გააკეთებო. არ ხარ შენ გულწრფელი, როცა ამას ამბობ. შენ მე ყოველთვის გამწირავ შენი კეთილდღეობისათვის. ვიცი მე ეს! – თქვა ზა-ზამ და თითქოს გამორთესო ისე გაჩუმდა, ტახტზე გულაღმა გადაწვა და ჩაიძინა.

ღლით, ახალგამოღვიძებულ ქმარს ჟუჟუნამ უსაყვედურა, ცუდი სიმთვრალე დაგჩემდა, ასე ხშირად ნულარ სვამო.

X X X

- ალექსანდრეს გაუმარჯოს!  
- გაგიმარჯოს, ზაზა!  
- როგორ ხარ, ალექსანდრე, როგორ მიდის შენი შემოქმედება.

- ვილას ახსოვს შემოქმედება და ვის სცალია ღღეს შემოქმედებისთვის. როგორც ყველა, ისე ვდგავარ ელიავაზე და ველოდები სამუშაოს გამოჩენას. ნეტავ აქამდეც ასე მოვქცეულიყავი, ხანდახან მაინც გამოჩნდება –ხოლმე საქმე.

- როგორ, სახელოსნო დახურე?  
- დავხურე, ძმაო, დავხურე! საღებავისა და ტილოს ფულსაც ვერ ვინაზღაურებდი.

- ახლა საით გაგიწევია, ალექსანდრე?  
- ისევ „ბირჟაზე“ მივდივარ.  
- მართლა ასე გიჭირს, ბიჭო?  
- შენ გილხინს? თუ გილხინს, მასწავლე როგორ დაილხინე.  
- აბა, რა გასწავლო, ალექსანდრე, ამას სწავლა არ შეგლის. კიდევ სხვა რამაა საჭირო.

ბოლო ფრაზა ისე ჩუმად ჩაიჩურჩულა ზაზამ, თითქოს, ეშინია არავინ გამიგოსო.

- აბა, ნახვამდის, ზაზა, წავედი, მაგვიანდება.  
- ალექსანდრე!  
- გისმენ ზაზა!

- ნუ წახვალ დღეს სამუშაოს საძებნელად.
- ალექსანდრემ ზაზას შეხედა. ის ქანდაკებასავით უძრავად იდგა და თვალგაუტეხლად უცქეროდა ღარიბ მეგობარს.
- მაშ, რა გქნა, ზაზა? ხომ გითხარი ბავშვს არც წიგნი და არც რვეული არ გააჩნია -მეთქი.
- ნუ წახვალ, ალექსანდრე, - გაიმეორა ისევ.
- რატომ არ გინდა რომ წავიდე, გჭირდები რამეში?
- ეს დღე ერთად გავატაროთ, ალექსანდრე. ვილაპარაკოთ მხატვრობაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, სულზე ვილაპარაკოთ, ალექსანდრე!
- ყველაფერი კარგია, ძმაო, მაგრამ მაგის დრო რომ არ მაქვს.
- წავიდეთ შენს სახელოსნოში, წავილოთ პურ-მარილი, ჩავჯდეთ ჩუმიად და ვილაპარაკოთ ყველაფერზე, გარდა გაჭირვებისა. ვიყოთ მხიარული, მართალი და ბედნიერი. ჩვენვე შეგქმნათ და ვაჩუქოთ საკუთარ თავს თუნდაც ერთი ბედნიერი დღე.
- ეჰ, ძმაო ზაზა, მოჩვენებითი ბედნიერი დღე დიდი ბედენა ვერ იქნება და პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. დამთავრდება დღევანდელი დღე და გაჰყვება მას ის მოჩვენებითი ბედნიერება, როგორც ტუბილი სიზმარი. პრობლემები ისევ დარჩება, დარჩება და დამიღრღნის გულსა და ნერვებს. პრობლემებზე თვალის არიდება არავის არ ძალგვიძს.
- მაინც წავიდეთ შენს სახელოსნოში. ნუ მეტყვი უარს! ამდენ დაკარგულ დღეებს, ერთი ჩემთვის დაკარგული დღეც მიუმატე, გთხოვ.
- ალექსანდრემ და ზაზამ პროდუქტები შეიძინეს და სახელოსნოსკენ გასწიეს. სახელოსნოს კარის ვალებითსანავე ისეთი ჩახუთული ჰაერი შეეგებათ, რომ ლამის სუნთქვა შეეკრათ. ზაზამ ყველა კუთხე-კუნჭულს მოავლო თვალი. არ მოეწონა, თუმცა ყველაფერი თავის ადგილზე იყო, ძველებურად, მაგრამ ყველაფერს პეწი დაჰკარგოდა. სიცოცხლე და მოძრაობა აღარ იგრძნობოდა.
- ეტყობა დიდი ხანია აქ აღარ ყოფილხარ, ალექსანდრე?
- ორ თვეზე მეტი იქნება, ალბათ.



- მერე არ მოგენატრა?
- არა!
- რატომ არა, ეს ხომ ყველაფერი შენი ხელითაა შექმნილი, შენი ნააზრევია და შენი სულის ნაწილია?
- ჩემი სულის ნაწილიც უნდა იყოს და კიდევ უნდა ჩანდეს ამ სურათებში ჩემი სული, მაგრამ, აბა, კარგად დააკვირდი და მიიღებ ჩემს არაზე პასუხს.
- ზაზამ ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა და ღრმად ამოიხგნემა.
- არა, ეს სურათები ალექსანდრეს აღრინდელ ნამუშევრებს არ ჰგავს, აქ მისი სული არ ჩანს. რა უაზრობა ყოფილა უსულო სურათი! - გაიფიქრა ზაზამ.
- ალექსანდრე, ადრე შენ სხვა სტილი გქონდა, ეს სურათები სულ სხვაა.
- მაგ სურათებს სტილი არ აქვთ და არც შეიძლება რომ ჰქონდეთ. ეს სურათები ფულის საშოგნელადაა გამიზნული.
- რატომ? მე მომწონს.
- არა მგონია.
- დამიჯერე, მართლა მომწონს. მაგალითად ეს. აი ესეც. ეს კიდევ მთლად უკეთესია. მე არ მომეყიდი, ალექსანდრე ამ სურათებს?
- ზაზა, შენ ის კაცი არ ხარ, ეს სურათები რომ მოგეწონოს. ეს შენისთანებისათვის არ არის დახატული.
- მე მომწონს, მითხარი რამდენია საჭირო?
- ზაზა პასუხს აღარ დაელოდა და სამასი ლარი მაგიდაზე დადო.
- აიღე, ზაზა, ფული. გჩუქნი მაგ სურათებს.
- ალექსანდრე, ეს საქმე ხომ შენი პურია, შენი ნიჭის და შრომის გასამრჯელო, აუცილებლად უნდა აიღო. დაბადების დღეზე რომ მომიტან საჩუქრად იმაში კი არ შემოგთავაზებ ფულს, შე კაცო!
- ალექსანდრემ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ნახატებს და გაიფიქრა, სადაც სიდუხჭირე სუფევს, იქ სულს აღარაფერი ესაქმებაო და იძულებით შექმნილ სურათებს მზერა მოაცილა.

- ყოჩაღ შენს მილიონერ მეზობელს, ეს რა სასახლე აუშენებია! ასეთ გალავანს ჩვენი წინაპრები ციხეებს თუ შემოაგლებდნენ -ხოლმე. ერთი ისიც მითხარი, ალექსანდრე, ქალი ეთერი თუ გამოდის აივანზე, - შეცვალა საუბრის თემა ზაზამ.

- ვინაა „ქალი ეთერი“?

- ვინ და მილიონერის ცოლი.

- როგორ, ეთერი ჰქვია?

- „შიგა ზის ქალი ეთერი ყელი მოუღერებია“, - წაილიღინა ზაზამ.

- ოჰ, ზაზა! ზაზა! შენზე მუსუსი კაცი მეორე არ მეგულება ქვეყანაზე. რამ გაგახსენა ერთი წლის წინ ნანახი მილიონერის ცოლი?

- მას რა დამავიწყებს, ალექსანდრე. გულწრფელი რომ ვიყო, მართლა, აფსუსი არ არის იმისთანა ქალი ქონდრის კაცის მკლავებში.

- შენს მკლავებში?..

- ჩემს მკლავებში? რას ინებივრებდა!

- შენ რას იზამდი, შენ?

- ვიბუქნავებდი და რას ვიბუქნავებდი მის ფუმფულა მკერდზე.

- ძალიან ჩაგვარდნია გულში ჩემი მეზობელი.

- ჩამვარდნია რომელია, რაც ვნახე, მას შემდეგ მგონი ათასჯერ გამახსენდა.

- გინდა ისევ რომ დაინახო?

- რას ჰქვია მინდა. ლამაზი ქალი ჩემი ოცნებაა.

- ჰოდა, აგიხდა ოცნება. გადმოდგა აივანზე „ქალი ეთერი“.

- ზაზამ აივნისაკენ გაიხედა, აივანზე ოცდარვა-ოცდაათი წლის ქალი გადმომდგარიყო, ცხოვრებისაგან გათამამებული-გალაღებული.

- უწინდელზე დღეს უფრო მომეწონა შენი მეზობელი, ალექსანდრე. აი ასეთი მწამს ქალი!

- ზაზა, შენ ასეთი თამამი არ იყავი, რა მოხდა შენში?

- ღარიბი ადამიანი თამამი ვერ იქნება, ალექსანდრე, სითამამე მდიდართა ხვედრია. ორი წლის წინ მე თამამი ვერ

ვიქნებოდლი, მაშინ ლარიბი ვიყავი, ძალიან ლარიბი და ძალიან მორცხვი. არ მწამს მე უფულოდ ბედნიერება. ვიდრე ამას მივხვდებოდლი, საზოგადოებამ განაჩენი გამომიტანა და ჩანჩურა-კუდაბახალა დამარქვა. მაშინ ისინი, ალბათ, მართალნი იყვნენ. ახლა კი ბატონ ზაზად მცნობს ყველა.

- დაწყნარდი ზაზა და მეზობლის ავნისაკენ გაიხედე. შენი გულის ვარდი ისევ აივანზეა, შეყვარებულოო!

- ალექსანდრე, ნახე ახლა რა მოვიმოქმედო.

- აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ.

ზაზა ეზოში გავარდა, მანქანასთან დადგა და გამომწვევად დაუწყო ცქერა „მილიონერის ცოლს“. ქალმა თითქოს რაღაცა იგრძნო, მართალია თვალი მოარიდა მამაკაცს, მაგრამ შინ შესვლას არ ჩქარობდა.

X X X

გადიოდა დღეები, მილიონერის მეუღლე ხშირად ხედავდა მისი სახლის აივანისაკენ მაკცქერალ ახოვან ვაჟაკს.

- ნებისყოფაა საჭირო, ნებისყოფა! - შემოუძახებდა -ხოლმე საკუთარ თავს ზაზა. რაც არ უნდა იყოს, მაინც ქალია, ალამუთის ციხე ხომ არაა, რომ არ გატყდეს, თუმცა ბოლოს ისიც გატყდა.

ერთხელ მილიონერის მეუღლე აივანზე გამოვიდა და ისევ დაინახა მანქანა და იქვე მდგომი ზაზა. დაინახა და პირველად დააცქერდა დაჟინებით. კაცი მიხვდა, რომ მისი „განკითხვის“ დღე შორს აღარ უნდა ყოფილიყო. ნეტავ რას ფიქრობს? ეს კითხვა გახდა იმ წუთში ზაზას გონების გამოცანა და ააფორიაქა ის.

ჯანდაბას რაც მოხდება მოხდეს, არც ასე შეიძლება, ხომ უნდა გაირკვეს ბოლოსდაბოლოს ყველაფერი.

ზაზამ ისევ გააგრძელა ქალბატონის ცქერა. ასე გაგრძელდა, ვიდრე ქალი შინ არ შევიდა. კაცი გრძნობდა, რომ ის ისევ გამოჩნდებოდა და მოთმინებით განაგრძო ლოდინი. მართლაც, მალე გამოჩნდა ქალბატონი აივანზე ხელჩანთით ხელში.

- ჩემთან შესვედრა გადაწყვიტა, - ჩაილაპარაკა ზაზამ და

შესახვედრად მოემზადა. ქალი ისევ შევიდა შინ. კაცმა მზერა ჭიმკარზე გადაიტანა. დიდხანს ლოდინი არ დასჭირებია. ჭიმკარი გაიღო და მილიონერის მეუღლე გამოვიდა, ზაზასკენ არც კი გაუხედავს, ისე განაგრძო გზა.

- უნდა მივიღე და გავეცნო, ასეა საჭირო. ასეთი მომენტი მე აღარასოდეს მექნება. გაიფიქრა და ქალბატონს აედევნა. ქალმა მეზობელ ქუჩაზე შეუხვია. კაცი მიხვდა, რომ მეტის დევნა საჭირო არ იყო. სწრაფად წამოეწია და თამამად მიესალმა.

- გამარჯობა, ქალბატონო!  
- გაგიმარჯოს!  
- მე ზაზა მქვია და თავხედი ვარ, მეტისმეტად თავხედი,  
- გაიხუმრა ზაზამ.

- თუ მეტისმეტად თავხედი ხარ და ბადალი არ მოგეპოვება თავხედობაში, მაშინ შეგიძლია იამაყო შენი თავხედობით,  
- ხუმრობაზე ხუმრობითვე უპასუხა ქალმა.

- მე შენ ძალიან მომწონხარ, ქალბატონო! უფრო მართალი ვიქნები ვითხრა: მე შენ მიყვარხარ.

- შენ, მართლაც რომ, თავხედი ყოფილხარ, როგორ მიბედავ ასეთ რამეებს, - შეუტია ქალბატონმა და ფეხს აუჩქარა.

- მე მაინც ყოველდღე მოვალ შენს სახლთან, - დააწია სიტყვა კაცმა.

ამის გამგონე ქალბატონი შემობრუნდა, ზაზა მუშტრის თვალით შეათვალიერა და მკაცრი ტონით უთხრა:

- ბატონო ზაზა, თქვენ მისამართი შეგეშალათ, მე მეუღლე მყავს.

- მეც მყავს მეუღლე და შვილები, მაგრამ მე შენთან მინდა, ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ.

- მემუჭრები?  
- როგორც გენებოს, ისე გამიგე.

- მე დიანა მქვია, ზაზა ბატონო, მომავალში სახელით შეგიძლია მომმართო, - უთხრა დიანამ და კიდევ ერთხელ შეათვალიერა მუშტრის თვალით.

- დიანა, მე შენ დიდიხანია, რაც შორიდან გეტრფი.  
- ვიცი ზაზა, ვიცი, მაგრამ ხომ ვითხარი, მეუღლე მყავს,

რომელიც მიყვარს და ვაფასებ. ახლა კი ბოდიში, მაგვიანდება. ჩემგან თანაგრძნობას ნუ ელი.

ზაზა დიდხანს იდგა უძრავად. ქალს ერთხელაც არ მოუხედავს უკან, ისე მოეფარა თვალს.

პირველი ბარიკადი დაძლეულია, - ჩაილაპარაკა კაცმა და მანქანასთან დაბრუნდა.

X X X

ზაზამ უფრო მოუხშირა ღიანას სახლის აივანთან დგომას, მაგრამ ქალისათვის ერთხელაც აღარ მოუკრავს თვალი. ქალი აივანზე აღარ გამოდიოდა. ნუთუ არაფერი გამომივა? - ნერვიულობდა ზაზა.

იმ დღესაც დიდხანს ელოდა ღიანას აივანზე გამოსვლას, მაგრამ ქალი არა და არ ჩანდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, არაფერი გამოვიდაო და ძრავი ჩართო. წასვლამდე საბოლოოდ შეავლო თვალი „სატრფოს“ აივანს. ღმერთო, სასწაული! ღიანა აივანზე იდგა ხელჩანთით. კაცი მანქანიდან გადმოვიდა ისე, რომ ძრავი არ გამოურთავს. კაცის და ქალის თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვდნენ და ყველაფერი გაუმხილეს. კაცმა მანქანა დაძრა, მეზობელ ქუჩაზე გავიდა და დაელოდა.

- გამარჯობა, ღიანა!
  - გაგიმარჯოს!
  - როგორ ხარ, ღიანა? იცი როგორ მომენატრე.
  - შენ, მართლაც რომ, თავხედი ყოფილხარ ზაზა, მაგრამ...
  - ქალმა სათქმელი შეწყვიტა.
  - რა მაგრამ?
  - მაგრამ ის, რომ მე მაინც ძალიან მომწონხარ.
  - მოგწონვარ, ღიანა?
- ქალი გაჩუმდა.

X X X

ათ წუთში ზაზამ ღიანასთან ერთად დატოვა ქალაქი.

- ღიანა, ხედავ აქედან, როგორც ხელისგულზე, ისე ჩანს ქალაქი?

- ვხედავ, შორიდან რა წყნარია და მშვიდი.

- დიანა, ასე ჰგონია შორიდან მაკვებრალს!
- სად მივდივართ ზაზა? - შეცვალა საუბრის თემა ქალმა.
- შორს, მთაში, სადაც ასწლოვანი მუხებია და მზე მათ ტოტებში ვერ აღწევს.
- ნუ წავალთ ასე შორს, მეშინია.
- უნდა წავიდეთ, მე შორს და მაღლა მიყვარს წასვლა.

X X X

ჭირვეულ მარტის დღეს მგონი ათასჯერ შეიცვალა ამინდი. ხან წვიმდა, ხან თოვდა და ხან მზეც გამოანათებდა ხოლმე ღრუბლებიდან. ზაზამ მთელი დღე ბუხართან გაატარა. შებინდებისას ყურმილი აიღო და დიანას დაურეკა.

- სალამო მშვიდობისა, დიანა!
- სალამო მშვიდობისა ზაზა! მთელი დღე გელოდი. რატომ არ დარეკე? - უსაყვედურა ქალმა.
- ჩამოსული მეგონა...
- დღეს არ ჩამოდიხ, დამიკავშირდა და მითხრა: დღეს წამოსვლას ვერ ვახერხებო.
- დიანა, მოსამსახურე უკვე გაუშვი?
- ადრე გავუშვი, შენს ზარს ველოდი.
- დიანა, ჭიშკარი დატოვე ღია, ჩქარა მოვალ. ვინ იცის მისი ჩამოსვლის შემდეგ შეიძლება რამდენხანს ველარ შეგხვდეთ ერთმანეთს.
- გელოდები!
- მოგენატრე, ჩემო ფუმფულა?
- მომენატრე და მერე როგორ?!

ზაზა მოჩვენებასავით შეძვრა დიანას ეზოს ჭიშკარში. ორი დღის წინათ დაშორებული ქალი და კაცი ისე ეხვეოდნენ და ეალერსებოდნენ ერთმანეთს, როგორც ორი წლის უნახავები. ალერსში თითქმის ერთი საათი გაილია. გართულთ ზარის ხმა შემოესმათ.

- ვაიმე ზაზა, ღომენტია! - თქვა და თავი ძლივს შეიმავრა ძირს რომ არ დაცემულიყო.
- იყოს მერე!
- როგორ თუ იყოს, განა გვაბატეებს, ორივეს დაგვხოცავს.